ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

"LA GÉORGIE COMBATTANTE"

1 იანვარი 1996 წელი - Nr. 18/36 - JANVIER 1996

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

ბ-760

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო   მ ო ლ ო ც ვ ა ... 1

ხოხუმის დაპყრობის ორი წლისთავი

ლტოლვილები უნდა იქნან დაბრუნებული აფხაზეთსა და შიდა ქართლში ... 4
"...ჩვენ უნდა გავერთიანდეთ" ... 6
"ნუველ ობსერვერი" და ვლადისლავ არძინბა ... 8
გაერო აფხაზეთის შესახებ ... 10
ვლადისლავ არძინბა "...ომის პოტენციური ბოროტმოქმედთა" ... 11

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

საქართველოს ახალი კონსტიტუცია ... 12
"საქართველოს ნახევრადდამლა" ... 13
გარუსებული არა-რუსები? - ... 17
"ეთნიკური წმენდები?.." ... 20

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

"ეს იყო როგორც ათიათასი მზე" ... 23
"გეორგიევსკის ტრაქტატი" ... 24
"რუსეთის სიდიდე რუსეთის უბედურებაა?" ... 29
რა ღირს ადამიანის სული? - ... 34
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები ... 37

მსოფლიო ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება.......

"7 გ" - შვიდი ინდუსტრიული ქვეყანა ... 47
როგორაა განაწილებული მსოფლიო? - ... 47
"შიმშილი" ... 48
- საქართველოს ფული "ლარი" ... 49

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

კომპოზიტორი გია ყანჩელი ... 50
"რჩევა" (ლექსი) ... 50
"მამ, გამარჯვება!.." - ... 51

ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

ლევილობა ... 52
ლევილის ქართული მამული ... 53
შესაძლებელია ერთობა მრავალფეროვნებაში? - ... 57
"ჩვენი ბიბლიოთეკა" ... 58

საუკუნო იყოს ხსენება მათი

შოთა აბაშიძის გარდაცვალება ... 67
ალიომა ბაღათურიას გარდაცვალება ... 67

"დემოკრატიის ორგანოა. მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, შებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 'მ ე ო თ ხ ე   ს ვ ე ტ ი'

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი - პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი - დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების 'მეოთხე სვეტია' სახელმწიფო ძალაუფლების 'სამი სვეტის' - მმართველობის(მთავრობა), კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების(სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა სიძლიერეა თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს მიჯნის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფუნქციანი ცხოვრების სარკე, რაც - თავის მხრივ - ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი; და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

## საქართველოს კონსტიტუცია
## Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

### მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

**Universal Declaration of Human Rirts**

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

### article 19

Everyone has the right to freedom of opinion and expression; this right includes freedom to hold opinions without interference and to seek, receive and impart information and ideas through any media and regardless of frontiers.

ძ-760
42672
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა ხ ა ლ წ ლ ო   მ ო ლ ო ც ვ ა

1 იანვარი, 1996 წელი

I.

როგორც გასული წლის დასაწყისში, ისევე დღესაც გვსურს გავცეთ პასუხი კითხვებს: რა მოგვიტანა 1995 წელმა და რას უნდა მოველოდეთ 1996 წელში ჩვენი სამშობლოს - საქართველოსა - და ჩვენი პირადი ცხოვრების სფეროებში, რადგან საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება ერთ მთლიანობაში უნდა იქნას განხილული.

II.

ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივი და პირად-ოჯახური ცხოვრების მასშტაბად აქციეს პირველ-დასაღებმა, გასულ საუკუნეში, "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!.." მესამე-დასელებმა კი აღნიშნული მრწამსი-ლოზუნგი 4 ივლისის (ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 1776 წლის დეკლარაციის) და 14 ივლისის(საფრანგეთის თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის რევოლუციის) იდეებით გაამოხიერეს და, ჯერ კიდევ 1893 წლის 7 თებერვალს, სამოქმედო პროგრამის საძირკვლად აქციეს მრწამსი-ლოზუნგი: "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა," რაც განხორციელების გზას დაადგა 1918 წლის 26 მაისს, როცა ისევ აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ.

III.

და ისევ გაბატონდა რა უცხო ძალა საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს, 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, და საქართველო ისევ გახდა, როგორც სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რაც დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია; მაგრამ რა?.. ჩვენ ვერ შევძელით - შინაგანი და გარეგანი "ბნელი ძალების" დამანგრეველი მოქმედების შედეგად - ეროვნული ერთობის განხორციელება, რომლის მკვირალა ფაქტებია ჩვენს აფხაზეთ=შიდაქართლში ექსტრემისტთა გაბატონება, რომელსაც დღემდე ბოლო ვერ მოვუღეთ.

IV.

ამდენად კარდინალური საკითხი გასულ 1995 წელშიც იყო ქართველი ლტოლვილების დაბრუნება თავთავიანთ სახლ-კარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რის განხორციელება ჩვენ ვერ შევძელით მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის 3 თებერვალს, ჩვენს დედაქალაქში, თბილისში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალით კიდევ ერთხელ დადასტურებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობა. ამის შემდეგ უკვე გავიდა ორი წელიწადი, მაგრამ ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება თავთავიანთ სახლკარში დღემდე მაინც ვერ მოხერხდა.

V.

მაგრამ, შეიძლება ითქვას, ამ ეროვნული ტრაგედიის გვერდით, რომელიც 1996 წელში მოითხოვს მოგვარებას, გასულ 1995 წელში ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელიც, ვიმედოვნებთ, დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოჯანსაღებაზე: ეს მოვლენა იყო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები, რომელიც ჩატარდა 1995 წლის 5 ნოემბერს, და რომლის საბოლოო შედეგები გამოქვეყნებულ იქნა 1995 წლის 16 ნოემბერს. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 54-მა პარტიამ და პარტიათა ბლოკმა, რომელთაგან ხუთი პროცენტის ბარიერა გადალახა მხოლოდ სამმა პარტია-ბლოკმა: 504 586 ხმა მიიღო საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, რომლის მეთაურად აღიარებულია ედუარდ შევარდნაძე(ხმების 23,71 პროცენტი), ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 159 216 ხმა, რომლის მეთაურია - მისი მეუღლის მოკვლის შემდეგ - ირინა სარიშვილი-ჭანტურია(ხმების 7.95 პროცენტი), და 145 626 ხმა მიიღო საქართველოს აღორძინების კავშირმა, რომლის მეთაურია აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე (ხმების 6.84 პროცენტი). ამრიგად, საქართველოს პარლამენტში არჩეულ იქნა 91-ი დეპუტატი საქართველოს მოქალაქეთა პარტიიდან, 31 დეპუტატი საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან და 31 დეპუტატი საქართველოს აღორძინების კავშირიდან.

VI.

უთუოთ, დადებითი მოვლენაა ის, რომ სულ 54-ე პარტია-ბლოკიდან, ხოლოდ სამი პარტიაა წარდგენილი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების სტაბილურობისაკენ მიუთითებს. ამდენად, საქართველოს წინა პარლამენტთან შედარებით, რომელშიც 24-ი პარტიის დეპუტატები იყო წარმოდგენილი,-1995 წლის 5 დეკემბერს არჩეული პარლამენტი ერთი დიდი ნაბიჯია წინ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციისაკენ; თუმცა ისეთი დიდი და ისტორიული პარტია, როგორიცაა "მესამე დასი", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი არ არის. ეს კი მით უფრო სავალალოა, რომ "მესამე დასი", თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე უფრო ეროვნულ-ევროპული პარტიაა საქართველოში, რომლის მესანიშნავმა თაობამ მოგვცა არა მარტო 1918 წლის 26 მაისი, არამედ 26 მაისის საძირკვლად აქცია კაცობრიობის ყველაზე უფრო მოწინავე იდეები და გააპოხიერა იგი ქართული ეროვნული სულით, როცა მისი სამოქმედო პროგრამის საფუძვლად აქცია, როგორც აღვნიშნეთ, "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". აქ "მესამე დასმა", როგორც საქართველოს უძველესმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელმაც 1993 წლის 7 თებერვალს იზეიმა 100 წლისთავი, - პირველმა პოლიტიკურმა პარტია, თვით მსოფლიო მასშტაბითაც კი,-ერისა და პიროვნების თავისუფლება დააკავშირა სოციალურ სამართლიანობასთან, რის შედეგად შეიქმნა სოციალური დემოკრატიის ცნება, რომლისაკენ მიილტვის დღეს განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნები, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიები უკვე ან ხელისუფლების სათავეებშია, ანდა ყველაზე უფრო ძლიერი ოპოზიციური პარტიებია. სამწუხაროა, რომ საქართველო - თუ 1995 წლის 5 დეკემბრის არჩევნების შედეგებით განვსჯით - დასავლეთ ევროპის მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების ამ გზას ჩამოშორდა. ეს გასაკვირი არ არის თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ "მესამე დასი" ხშირედ ბოლშევიკებთან გაერთიანდა ბლოკში...ბოლშევიკებთან, რომლებიც მთელი გასული 70-ი წლის განმავლობაში, სოციალ-დემოკრატების ფიზიკური განადგურებისაგანაც კი არ იხევდენ უკან თვით ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაშიც კი, რომლის ერთერთი მთავარი მსხვერპლი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

VII.

არჩევნებში, - საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატებიდან, ედუარდ შევარდნაძემ მიიღო, დე-პე-ას სააგენტოს ცნობით, - ხმების 75 პროცენტი, ხოლო მისმა აღიარებულმა მოქიშპემ ჯუმბერ პატიაშვილმა - ხმების მხოლოდ 17 პროცენტი. ეს ფაქტი კი ნათელჰყოფს იმას, რომ 1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში უფრო დიდ როლს თამაშობდა პიროვნებები, და არა იდეოლოგია, რომელსაც ყოველი პარტია თუ პიროვნება ეყრდნობა, ან, სულ ცოტა, უნდა ეყრდნობოდეს. როგორც ჩანს, არსებულ პირობებში ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის ალტერნატივა საქართველოში არ მოიპოვება.

VIII.

რაც შეეხება საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიების ბოიკოტს 1995 წლის 5 დეკემბრის არჩევნების ჩატარების წინააღმდეგ, მას, როგორც ჩანს, არავითარი არსებითი შედეგები არ მოყოლია.

საერთოდ ცნობილია, რომ "ბოიკოტი", "გაქცევა", "მონაწილეობის არ მიღება", "თავისებური პასიურობა" პოლიტიკურ ცხოვრებაში დადებით შედეგებს ვერ იძლევა. სამაგიეროდ, 1995 წლის 5 ნოემბრის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებიდან "მაფიოზური ელემენტები", არსებითად, გამოთიშულ იქნა.

IX.

და ვითომ 1995 წლის 5 დეკემბრის არჩევნები იმედის მომცემია 1996 წლისათვის, რომ საქართველო დაადგეს პოლიტიკური სტაბილიზაციის გზას? - უთუოთ. ამის იმედს გვაძლევს ის, რომ საქართველოს პარლამენტში უკვე სტაბილური მდგომარეობაა, რაც წინაპირობაა იმისათვის, რომ ყველა საჭირბოროტო საკითხი გადაჭრილ იქნას შესაძლებლობის ფარგლებში. არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ, რომ "გადაჭარბებული ინტერნაციონალიზმი" ისევე დამღუპველია საქართველოსავით პატარა სახელმწიფოსათვის, როგორც "გადაჭარბებული ნაციონალიზმი". საჭიროა "ოქ-

რის შუალედის" გზაზე დადგომა, რომლის დევიზად გვესახება: პოლიტიკა არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნებაა, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო!"

X.

აი, ამ რწმენით გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო თანამემამულენო, და გისურვებთ წარმატებებს თქვენს პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში!.. მრავალჟამიერ!...

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1996 წლის 1 იანვარი

## ნოე ჟორდანია ეროვნული ერთობის შესახებ

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ, ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილდება და ქვეყანას აოხრებას უპირობს. ამ შემთხვევაში ილვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.

## სოხუმის დაპყრობის ორი წლისთავი

„... „დაკარგეთ" აფხაზეთი, „დაკარგეთ" „სამხრეთ ოსეთი", — დაკარგეთ-მეთქი პირობითად ვამბობ. ყველაფერს დავიბრუნებთ და თუ იმ პოლიტიკოსით არა, რომელსაც დღეს აწარმოებს სახელმწიფოს მესაჭე, სხვა გამოინახება, დროთა ვითარებაში ყველაფერს მოვიგებთ. არ დაგვიკარგავს ჩვენ აფხაზეთი!"

ჭაბუა ამირეჯიბი

**ლტოლვილები უნდა დაბრუნებულ იქნან აფხაზეთსა და შიდა ქართლში**

1.

1995 წლის 27 სექტემბერს შესრულდა ორი წელი, რაც სოხუმი დაიპყრო ფორმალურად აფხაზ ექსტრემისტებმა, სინამდვილეში კი რუსეთის ჯარებმა; და ამით საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილში შეწყვეტილია, თუმცა იგივე რუსეთი საქართველო-რუსეთის 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულებით, - საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს.

2.

რაშია საქმე?.. რატომ რუსეთი ნებას არ აძლევს საქართველოს მისი იურიდიული უფლება ფაქტიურადაც განახორციელოს აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე?.. როგორც ჩანს, რუსეთი ვერ არის განთავისუფლებული უკვე მოძველებული იმპერიული ზრახვებისაგან, რომ როგორმე ისევ შექმნას ახალი რუსეთის იმპერია, რომლის ერთერთი ჩანაფიქრია, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილსაც - აფხაზი ექსტრემისტების ხელით - დაეპატრონოს, რომლის დროს რუსეთის მთავრობა ამგვარ იმპერიულ პოლიტიკას ეთნიკურ კონფლიქტად ნათლავს თითქოს საქართველო ჩაგრავდეს აფხაზებს და ამიტომ აფხაზი ექსტრემისტები ებრძვის საქართველოს; და თითქოს ოთხმოცი-ათასიანი აფხაზების ექსტრემისტებმა "გაამარცხეს" ხუთმილიონიანი საქართველო, რომლის დროს აფხაზ ექსტრემისტებს თითქოს რეაქტიური თვითმფრინავები და საზღვაო ფლოტიც კი გააჩნდათ, რომ დაემარცხებინა საქართველო!.. და ამგვარ ზღაპარს იჯერებს მხოლოდ სხვა დიდი სახელმწიფოები - აშშ, ინგლისი, გერმანია თუ საფრანგეთი, რადგან, როგორც ჩანს,- ეს, უთუოდ, დემოკრატიული ქვეყნები, რუსეთის მაღალ იმპერიალიზმს საქართველოს მიმართ "დასაშვებად" მიიჩნევენ.

3.

მაგრამ რუსეთმა, მისი ამგვარი ვაი-პოლიტიკის სამაგიერო პასუხი მიიღო ჩეჩნეთში, როცა ჩეჩნებმა, ჯერ დაეხმარეს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ე.წ-ლი "აფხაზური ბატალიონის" მეშვეობით, რომელიც - რუსეთის ჯარებთან ერთად - იბრძოდა სოხუმთან საქართველოს ჯარების წინააღმდეგ; და როცა ჩეჩნების "აფხაზურმა ბატალიონმა" და რუსეთის ჯარებმა სოხუმი აიღეს, რა თქმა უნდა, გამარჯვება იზეიმეს, მაგრამ ჩეჩნებმა ახლა რუსეთს აღარ დაემორჩილენ და ასე დაიწყო რუსეთის ომი ჩეჩნეთში, რის შედეგად ჩეჩნეთი უკვე თითქმის ნანგრევებადაა გადაქცეული.

4.

ამგვარად, ის რაც რუსეთმა გააკეთა საქართველოს წინააღმდეგ, როცა ოსი და აფხაზი ექსტრემისტები აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ და ამგვარი ხელით რუსეთის ჯარმა მოახდინა ეთნიკური წმენდა აფხაზეთისა და შიდა ქართლისა ქართველობისაგან, ახლა იგება ჩეჩნეთში, სადაც ჩეჩნებიცა და რუსებიც იღუპებიან, თუმცა ამგვარ "დანაკარგს" რუსეთი უფრო იტანს, ვიდრე მცირერიცხოვანი ჩეჩნები.

5.

და მდგომარეობა აფხაზეთში რთულია, ისე როგორც შიდა ქართლში, რადგან რუსეთი სამას-ათასზე მეტ ქართველ ლტოლვილებს თავიანთ სახლკარში დაბრუნების საშუალებას არ აძლევს, რის გამო საქართველოს ისედაც გართულებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება.

6.

რატომ ვერ ხერხდება ქართველი ლტოლვილების დაბრუნება აფხაზეთსა და შიდა ქართში? - ამის ერთადერთი მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, არის რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელიც, როგორც ჩანს, ქართველთა გენოციდისაგანაც კი არ იხევს უკან თუ მხედველობაში მივიღებთ არა მარტო ქართველთა გენოციდს [illegible] თუ ცხინვალში, არამედ საწამლავი ნივთი-

ერების გამოყენებასაც კი ქართველ მშვიდობიან დემონსტრანტების წინააღმდეგ თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს.

7.

და რა გამოსავალია ამ თითქოს გამოუვალ მდგომარეობიდან? - გამოსავალი, ვიმეორებთ, ერთადერთია: რუსეთმა უნდა შეცვალოს თავისი იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რადგან ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის თუ მას სურს კავკასიაში არ შეიქმნას ფუნდამენტალისტების საშიშროება, რაც ჯაჭვური რეაქციით მოედებოდა მთელ რუსეთის ფედერაციასაც, რომელშიც მილიონობით მაჰმადიანები ცხოვრობენ.

8.

ამგვარად, სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური და არა "სტაბილური არა-სტაბილური" მდგომარეობის შექმნაა კავკასიაში რუსეთის სასიცოცხლო ინტერესი, რომლის ბაზა იყო, არის და იქნება საქართველო, ე.ი. ჯებირი ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ კავკასიაში. ეს, ვფიქრობთ, უკვე შეიგნო რუსეთმა. ახლა საჭიროა ამ მიმართულებით კონკრეტული ღონისძიებების მიღება, რომლის პირველთაგანი გადაუდებელი ღონისძიებაა ქართველი ლტოლვილების დაბრუნება თავ-თავიანთ სახლ-კარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

9.

მაშ, მხოლოდ ლაპარაკის, დიპლომატიური მოლაპარაკებების ხანა გასულია; ახლა საჭიროა მოქმედება, მოქმედება და კიდევ მოქმედება, რომ ლტოლვილები დაბრუნდენ თავ-თავიანთ სახლ-კარში. დამაბრკოლებელი ჯებირი ამ გზაზე მხოლოდ რუსეთია და არა აფხაზები თუ ოსები, რომლებმაც - მიუხედავათ მათი უგუნური ვაი-პოლიტიკისა საქართველოს, ქართველების მიმართ - საკმარისი ზიანი მიაყენეს მცირერიცხოვან აფხაზ თუ ოს ხალხს; და უკვე დროა შეიგნონ საქართველოს ტერიტორიულ დაქუცმაცებას ისინი ვერ შესძლებენ, რადგან ეს უკვე, მათი მფარველის - რუსეთის - ინტერესებშიც აღარ შედის.

10.

ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ კი დაუყონებლივ უნდა მივიღოთ ზომები,რომ რუსეთი დავითანხმოთ მოხსნას მისი ჯარები მდინარე ენგურზე, რომ ქართველობა დაბრუნდეს თავთავიანთ სახლ-კარში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ - რუსეთის თანხმობის გარეშე - გაეროს წარმომადგენლები საქართველოში უძლურნი არიან მოაგვარონ ეს პრობლემა, თუმცა ყოველი ძალღონით ცდილობენ ლტოლვილთა დაბრუნებას ხელი შეუწყონ.

11.

ამიტომ რუსეთი უნდა დავითანხმოთ, რუსეთმა უნდა განაცხადოს თანხმობა, რომ ქართველი ლტოლვილები, რომელთა რიცხვი, როგორც აღვნიშნეთ, სამასი-ათას აჭარბებს, - დაბრუნდნენ თავიანთ პირველ მიწა-წყალზე.

აი, ეს უნდა იყოს ჩვენი მოთხოვნა სოხუმის დაპყრობის მეორე წლისთავზე.

12.

პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო; და ამგვარი საჭიროებაა ამჟამად ქართველი ლტოლვილების დაბრუნება აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 28-29 აგვისტო

## გაეროს უშიშროების საბჭო და საქართველო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 1996 წლის 12 ივლისამდე გააგრძელა გაეროს უშიშროების საბჭოს კომისიის მუშაობა საქართველოში. უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომ გაეროს 136-მა მეთვალყურემ გააგრძელოს მუშაობა საქართველოში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიზნით. გერმანიის ელჩმა გაეროში - [illegible] - ბრალი დადო აფხაზებს იმაში, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ამჟამად არსებული მოლაპარაკებების პროცესის გაყინვაში, რაც აფერხებს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ნიუ-იორკი, ფრანს-პრესის სააგენტო: 15.1.1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „...ჩვენ უნდა გავერთიანდეთ საქართველოს გადასარჩენად“

## თამაზ ნადარეიშვილი

ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბატონ თამაზ ნადარეიშვილის მიერ აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, დღემდე გამოთქმული ყოველი მოსაზრება და პროგნოზი გამართლდა. ამიტომაც, ჩემთვის ერთობ ღირებულია მისი იმედიანი განწყობა, ერთგვარად სიმბოლურიც, რომ ეს ახალი წლის დღეებს დაემთხვა. ღმერთმა ინებოს და საქართველოსთვის ფეხბედნიერი ყოფილიყოს 1995 წელი.

— ბატონო თამაზ, აფხაზეთში ომის დაწყებამდე ქართულმა დეპუტაციამ აფხაზეთში სეპარატიზმისადმი პროტესტის ნიშნად დატოვა აფხაზეთის უზენაესი საბჭო. 1994 წლის 10 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კანონის აპარტეიდულად და ამ კანონის საფუძველზე არჩეული ორგანოს უკანონოდ გამოცხადების შესახებ. ამ დღეებში კი თქვენ აღდგენილად გამოაცხადეთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქცია. ეს უკანასკნელი რა შესაბამისობაშია წინა ორ გადაწყვეტილებასთან?

— 1992 წლის 24 ივლისს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიაზე არძინბამ გამოაცხადა, რომ ჩვენი პარლამენტი გადადის 1925 წლის კონსტიტუციაზე და აქედან გამომდინარე, დღეიდან მას არაფერი საერთო არა აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან. ამით, პრაქტიკულად, აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ჩვენი ფრაქცია ჩემი ხელმძღვანელობით, რა თქმა უნდა, ამას არ დაეთანხმა, გამოთქვა თავისი პროტესტი და დატოვა სესია.

აქვე უნდა ვთქვა, რომ იმ დროისათვის ჩვენ უკვე ვგრძნობდით ომის სუნს: აფხაზეთში შემოსული იყო უამრავი „ბოევიკი“, შემოდიოდა დიდძალი იარაღი, ტელევიზიაში ჩვენ არ გვიშვებდნენ, აფხაზეთის საინფორმაციო წყაროები სეპარატიზმის სასარგებლოდ მუშაობდნენ, ხოლო სესიები ჩვენთვის დამამცირებლად და შეურაცხმყოფელად ტარდებოდა. უზენაესი საბჭოს შენობა გარშემორტყმული იყო აფხაზი „ბოევიკებით“, რომლებიც გვემუქრებოდნენ: თუ არძინბას არ დაუჭერთ მხარს, ფიზიკურად გაგანადგურებთო.

ასეთ სიტუაციაში ძალიან რთული იყო რაღაც პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოხდა ამ სესიაზე, პრაქტიკულად ჩვენი თანამშრომლობა აფხაზ დეპუტატებთან შეუძლებელი გახდა. რამდენიმე დღის შემდეგ დავნიშნეთ ჩვენი შეკრება და იმის გათვალისწინებით, რომ 1925 წლის კონსტიტუციის მიღებით აფხაზთა მხარემ [illegible] დააყენა თავისი თავი, ჩვენთვის კი საკანონმდებლო ძალა ჰქონდა იმ კონსტიტუციას, რომელიც იმ დროს არსებობდა აფხაზეთში, გადავწყვიტეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რიცხვი 31 დეპუტატით განსაზღვრულიყო.

ეს ის პერიოდია, როდესაც აფხაზეთის უზენაესი საბჭო ორ ნაწილად დაიყო და მასში პარალელური სტრუქტურები შეიქმნა. სინამდვილეში, შეიქმნა ორი უზენაესი საბჭო: პირველში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა არძინბა, გაერთიანებული იყო 33 დეპუტატი და მას დაარქვეს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, მიიღეს თავისი ჰიმნი, გერბი, დროშა და პრაქტიკულად, გამოაცხადეს სუვერენიტეტი, მეორე ნაწილში, ჩემი ხელმძღვანელობით, გაერთიანებული ვიყავით 31 დეპუტატი, დავრჩით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოდ, ჩვენი დროშა, ჰიმნი, გერბი დარჩა ქართული და ჩვენ ჩვენი თავი და ტერიტორია საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოვაცხადეთ.

მოგეხსენებათ, ამ პერიოდში მთელ საქართველოში ძალზე რთული ვითარება იყო. ის 300 ათასი ქართველი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა, იყო ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული, უფრო მეტიც, მტრულად განწყობილი, რაც, რა თქმა უნდა, სეპარატისტთა წისქვილზე ასხამდა წყალს, ქართული მოსახლეობა დაყოფილი იყო: „ზვიადისტებად“, დღევანდელი ხელისუფლების მომხრეებად, ნაწილი — აფხაზთა მხარდამჭერებად, ნაწილს კი, სრულიად არ აინტერესებდა არაფერი, საკუთარი თავის გარდა. ბუნებრივია, ასეთი სპექტრი ჩვენს ქართულ ფრაქციაშიც შეიქმნა, ამიტომ, ძალზე რთული იყო რაიმე ერთიანი გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც, ჩვენი მუშაობა შევაჩერეთ და მთელი ძალაუფლება გადავეცით დროებით კომიტეტს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი გივი ლომინაძე. ცოტა მოგვიანებით, დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელი აფხაზეთში ბატონი გოგა ხაინდრავა, ხოლო ნოემბრის თვეში მე ჩავუდექი სათავეში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს.

ყველაზე მძიმე და რთულმა პერიოდმა (მხედველობაში მაქვს ომის წელი, ომის შემდგომი პერიოდი) გადაიარა მინისტრთა საბჭოს მხრებზე. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ბატონი ძიული შარტავა, რომელმაც მე შემცვალა, ბატონი ზურაბ ერქვანია, რომელიც დღესაც უდგას სათავეში მინისტრთა საბჭოს. ამ მძიმე წლებმა გადაიარეს აგრეთვე ჩვენი დეპუტატების უმრავლესობაზე. მათმა დიდმა ნაწილმა არ დატოვა სოხუმი; ბევრი მათგანი მე დავნიშნე მინისტრთა საბჭოს სტრუქტურებში, სადაც დღესაც მუშაობს.

ბოლო ხანს აფხაზეთში დაბრუნების რეალური შესაძლებლობა გამოიკვეთა — მე ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — აქ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ რუსეთში, კერძოდ, ჩრდილო კავკასიაში შექმნილ მდგომარეობას (მოსკოვშიც ცოტა სხვანაირად შეხედეს სეპარატიზმს), იმ ვითარებას რომელიც თვით აფხაზეთშია, ამიტომ ამის არგამოყენება იქნება არა გულგრილობა, არამედ დანაშაულიც. დღეს ბევრი აფხაზი სხვანაირად უყურებს მიმდინარე პროცესებს და სხვანაირად აფასებს შექმნილ ვითარებას.

ამ ეტაპზე მაინც, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლეგიტიმურ ორგანოს; მხედველობაში მაქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, არჩეული იმ მოსახლეობის მიერ, რომელიც ომის დაწყებამდე ცხოვრობდა აფხაზეთში. ჩვენმა პირველმა შეკრებამ ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში. უახლოეს პერიოდში ვაპირებთ გამგზავრებას მოსკოვში, სადაც დაგეგმილი გვაქვს უამრავი შეხვედრა, რომელიც დარწმუნებული ვარ, სასიკეთო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შეჩერებას, — გიპასუხებთ შემდეგნაირად: როდესაც აფხაზთა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება და ის დაუბრუნდა 1925 წლის კონსტიტუციას, მიიღო თავისი გერბი, დროშა, ჰიმნი, შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, შექმნა სასაზღვრო ჯარი და ამით დააფიქსირა საზღვრები, ჩვენ მოვთხოვეთ საქართველოს პარლამენტს ასეთი თვითმარქვია უმაღლესი საბჭოს გაუქმება. გაუქმდა, აგრეთვე, ძველი ის გადაწყვეტილება, რომელიც ამ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ორი წლის განმავლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. სეპარატისტებმა ქართველების ოლქებში (სადაც ჩვენ ვიყავით არჩეული) ხელახალი არჩევნები ჩაატარეს და ჩვენს მაგივრად სხვა დეპუტატები აირჩიეს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გასაუქმებელი იყო. გაუქმდა აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხოლო ჩვენი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დარჩა და 1994 წლის 28 დეკემბერს მივიღეთ მისი აღდგენის გადაწყვეტილება. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს მივმართეთ თხოვნით დაადასტუროს ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

აქედან გამომდინარე აფხაზეთის უზენაესი საბჭო განაგრძობს მუშაობას და არავითარ შემთხვევაში (როგორც ეს ბევრს ჰგონია) ჩვენ არ ვაპირებთ მინისტრთა საბჭოს დაშლას. ეს არის ორი სხვადასხვა ორგანო: ერთი საკანონმდებლო, რომელმაც უნდა იღვაწოს პოლიტიკურად და მეორე კი აღმასრულებელი, რომელმაც უნდა განაგრძოს დღეს ლტოლვილთა წინაშე მდგარი ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა პრობლემების გადაჭრა.

**— თქვენი უზენაესი საბჭო პრაქტიკულად რაში წაადგება აფხაზეთის დაბრუნებას?**

— მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუთავებელი საუბრები იყო ლტოლვილთა დაბრუნებაზე. მე ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ არა როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, არამედ როგორც ლტოლვილი. ვიცი ლტოლვილთა აზრი და ორჭოფობა. სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გადაწყდება ხელისუფლების საკითხი, არ ჩამოყალიბდება სტრუქტურები, რომლებიც უსაფრთხოების გარანტიები იქნებიან, მანამ არა მგონია, ვინმემ გარისკოს გალში, ოჩამჩირეში, სოხუმსა თუ სხვა რაიონებში დაბრუნება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იქ პირველად დაბრუნდეს აფხაზეთის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის მინისტრთა საბჭო, გამგებლები — ყველა თავიანთი სტრუქტურებით, მომზადდეს ნიადაგი და რაიონების მიხედვით დაიწყოს ხალხის დაბრუნება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ძალიან მალე სოხუმში შეხვალთ, რა გაძლევთ ამის გარანტიას?**

— ამის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს, კიდევ ვიმეორებ, რუსეთში შექმნილი ვითარება, ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთმა პრინციპში გააკეთა ის, რასაც ვაკეთებდით ჩვენ. აქ არის ერთი პრინციპი, კონსტიტუციის დაცვა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თუ კი რუსეთმა გასაქანი მისცა სეპარატიზმს და ვერ აღადგინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთი დაიშლება, ანალოგიური სიტუაცია არის ჩვენთანაც. თუ კი აფხაზეთი გამოეყო საქართველოს, ეს ასევე ნიშნავს საქართველოს დაქუცმაცებას. აქვე მინდა განვაცხადო, რომ მე პარალელს არ ვავლებ აფხაზეთსა და ჩეჩნეთს შორის. ეს სრულიად განსხვავებული საკითხებია. ამიტომ ჩვენი პოზიციები რიგ შემთხვევებში შეიძლება ეწინააღმდეგება კიდეც ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მომხრე ვარ, ქალაქებისა და სოფლების მასიური დაბომბვების, მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტის, ერთი სიტყვით, ნამდვილი ომისა და გენოციდის გაჩაღების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რაც ქართულ მხარეს არც უკადრია. აფხაზეთში ჩვენი ჯარის შესვლის შემდეგ სოხუმში ჩვენს გვერდით სახლობდა უამრავი აფხაზი, რომელიც ისეთივე მძიმე ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც ჩვენ. ბევრი მათგანი სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა, ფუნქციონირებდა აფხაზეთის ხსნის კომიტეტი, რომლის წევრთა უმრავლესობა აფხაზები იყვნენ, და თითქმის ყოველგვარი მკვლელობები, ყაჩაღობები, დაბომბვები, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა მიერ ხდებოდა. მაგრამ როდესაც დაიწყო შემოტევები ქალაქ გაგრაზე, სოხუმზე, მაშინ ხდებოდა ის, რაც დღეს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ხდება.

**— რა ურთიერთობა გაქვთ ეროვნულ ფრონტთან და აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაციასთან?**

— მე, რა თქმა უნდა, უდიდეს პატივს ვცემ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას, საზოგადოებას, რომელიც აქტიურობს და გულისტკივილით საუბრობს აფხაზეთზე. მაგრამ მიუხედავად ჩვენი ბევრი საერთო ტკივილისა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რაიმე ქმედება ხდებოდეს ოფიციალური სახელმწიფოებრივი ორგანოების გარეშე. თუ კი ლაპარაკი არის აფხაზეთში შესვლაზე, ეს არ უნდა ხდებოდეს მოხალისეების ხარჯზე, ენთუზიაზმით. თუ ლაპარაკია სამხედრო ძალის გამოყენებაზე, ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს თავდაცვის, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროების დონეზე. გარდა ამისა, ყველაფერი ეს უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხს განვიცდით. და იქნება მსხვერპლი, რისი დაშვებაც დღეს აღარ შეიძლება.

**— თქვენი ინფორმაციით, რა მდგომარეობაა აფხაზეთში და როგორია არძინბას იმიჯი?**

— დღეისათვის ვითარება აფხაზეთში ძალზე რთულია. მდინარე ფსოუ გადაკეტილი არის რუსეთის საჯარისო ფორმირებების მიერ; გადაკეტილია არა ისე, როგორც, რამდენიმე თვის წინ იყო, არამედ ნამდვილად, არავის არა აქვს არც შესვლის და, არც გამოსვლის საშუალება. მოძრაობა შეწყვეტილია, მოხსნილია საბაჟო სამსახური და რუსეთ-საქართველოს მთელი საზღვარი რუსეთის სამხედროების კონტროლზე აქვთ აყვანილი. თვით აფხაზეთში დაძაბულობა იგრძნობა. დიდი დაპირისპირებაა სომხებსა და აფხაზებს შორის, კაზაკებსა და ჩეჩნებს შორის, რომლებიც ყოველდღიურად ტოვებენ აფხაზეთს. არ არის ელექტროენერგია, ფული, პროდუქტები და ბევრი აფხაზი, განსაკუთრებით ოჩამჩირეში, ნატრულობს ქართველების დაბრუნებას.

ამ ვითარებამ, რა თქმა უნდა, არძინბას ავტორიტეტიც ნოლამდე დაიყვანა. მე აქ არ ვგულისხმობ მის სეპარატისტ მომხრეებს. ნელნელა იკვეთა ოპოზიცია; ბევრმა აფხაზმა მიატოვა აფხაზეთი და ისე როგორც ქართველები, რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ლტოლვილებად არიან ქცეულნი. ლოზუნგი, რომელიც სეპარატისტებს ჰქონდათ („ქართველების გარეშე ჩვენ აფხაზეთს ორ წელიწადში მეორე შვეიცარიად გადავაქცევთ"), არ გამართლდა, პირიქით შიმშილის, სიცივის, სიკვდილისა და ტრაგედიის მეტს ხალხი იქ ვერაფერს ხედავს. თვით „ბოევიკებში" გავრცელებულია ნარკომანია, ბანდიტიზმი, რასაც აფხაზი ერი ფიზიკურ განადგურებამდე მიჰყავს; ეს ბევრ საღად მოაზროვნე აფხაზს აღარდებს და იძულებულს ხდის შეცვალოს თავისი მიდგომა არძინბასა და მისი ხროვის მიმართ.

**— გთხოვთ კომენტარი გაუკეთოთ რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებას ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ნათქვამს, რომ შეიძლება დავეთანხმოთ შუმეიკოს განცხადებას იმ შემთხვევაში თუ სამშვიდობო ძალებმა ვერ განახორციელეს თავიანთი ფუნქცია და ლტოლვილები ვერ დააბრუნეს.**

— სავსებით ვეთანხმები ედუარდ შევარდნაძის ნათქვამს, თუკი სამშვიდობო ძალები არ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, მათ უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია. ამიტომ მე მიმაჩნია, თუკი სამშვიდობო ძალები ჩვენ შეგვეწყობენ ხელს მოსახლეობის დაბრუნებაში, უსაფრთხოების პირობების შექმნასა და ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა ტერიტორიების განაღმვა, [illegible] სხვა, ანუ გააკეთებენ იმას, რაც დღეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია, მაშინ შეიძლება საუბარი მათ დარჩენაზე; ხოლო, თუკი ისინი, როგორც დღეს, გააგრძელებენ სასაზღვრო ჯარის ფუნქციების შესრულებას და შეგვიქმნიან რაღაც წინააღმდეგობებს, მათ იქ ყოფნას აზრი არა აქვს. ყველაფერი ეს უნდა გადაწყდეს უმოკლეს ხანებში.

**— ხომ არ არსებობს იმის საფრთხე რომ რუსეთმა ჯერ გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები აფხაზეთიდან, შემდეგ კი ქართველთაგან ვითომდა „დაჩაგრულ" აფხაზთა დასაცავად ისეთ სამხედრო ოპერაციებს მიმართოს, რომ გაეროს ექსპერტთა მიერ ნოემბერში შემოთავაზებული რეკომენდაციები საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ სანატრელი გაგვიხდეს?**

— მე კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო: ამ ბოლო ორი-სამი

წლის განმავლობაში იძულები ტკივილის, დაპირებას. ქაღალდზე დატანილი იმდენი გადაწყვეტილების მოწმე გავხდი, რომ ძალიან დიდი სიფრთხილით ვეკიდები ნებისმიერ დაპირებასა თუ გადაწყვეტილებას.

მე ასეთ გარანტიას ვერავის მივცემ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერზე ხელი ავიღოთ; ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, მის სამხედრო კომპლექსთან და გავაკეთოთ ყველაფერი, რათა გამოვრიცხოთ ის საფრთხე, რომლის წინაშე ამ ბოლო წლების განმავლობაში ვიმყოფებით.

— თქვენ როგორც ვიცე პრემიერი კურირებთ ძალოვან სამინისტროებს. გთხოვთ, შეაფასოთ მათი ქმედითუნარიანობა, იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე გრძელდება დაპირებები. თითქოს სულ მოკლე ხანში გამოაშკარავებენ ვისი მიზეზითაც წავაგეთ ომი აფხაზეთში. უფრო უარესი, დღეს საქართველოში ტერორი მძვინვარებს. გთხოვთ, აგრეთვე შეაფასოთ ამ უწყებათა ხელმძღვანელების გამოუცხადებლობა პარლამენტის იმ სხდომაზე, რომელზეც ისინი ანგარიშით უნდა წარმდგარიყვნენ.

— დღესდღეობით მე არ ვკურირებ ძალოვან სამინისტროებს. ჩემი ვიცე-პრემიერად მუშაობის მანძილზე იყო გარკვეული ეტაპი: 1994 წლის ივლის-სექტემბრის პერიოდი, როდესაც მე მევალებოდა ამ სამინისტროების კურირება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით სასურველი ურთიერთობების დამყარება (გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსი) და სწორი გადაწყვეტილება იყო მიღებული იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კონფრონტაცია საერთო საქმეს არაფერს მოუტანდა სასიკეთოს. მე სხვა ფუნქცია დამეკისრა, მაგრამ აფხაზეთი ისეთი საკითხია, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია არ იყოს ხიდი ჩემსა და უში- [illegible] სტროებს შორის. ამ უწყებებში უამრავი პატიოსანი და წესიერი ადამიანია. მე იქ უამრავი მეგობარი, თანამებრძოლი მყავს, იქ არიან საქართველოს სიყვარულით ნამდვილად გულანთებული ადამიანები და მე ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი ურთიერთობა ბატონებთან ვარდიკო ნადიბაიძესთან და იგორ გიორგაძესთან, ცოტა არ იყოს, დაძაბული და რთულია, არ მინდა ამ თემაზე ვისაუბრო, რადგანაც აფხაზეთი მაინც ჩვენი დასაბრუნებელია და ეს ყველამ უნდა გავიგოთ.

ჩემი აზრით, ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელთა გამოუცხადებლობა პარლამენტის სხდომაზე ძალზე ცუდი სინდრომია. პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი ორგანოა და მისი იგნორირება დაუშვებელია. მე კარგად მესმის დეპუტატების (როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის) აღშფოთება ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგანაც, ალბათ, თითოეულმა მათგანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ასეთი რამ მომავალში არავის მიერ აღარ უნდა განმეორდეს.

რაც შეეხება ტერორისტულ აქტებს, ეს არის ჩვენი, ქართველების სირცხვილი და დიდი ტკივილი. ჩემზე განსაკუთრებით ძლიერ იმოქმედა ბატონ გია ჭანტურიას [illegible] კაცს ბევრი რამ სასიკეთო შეეძლო გაეკეთებინა საქართველოსთვის. მე ხანდახან ვფიქრობ: ვის ჭირდებოდა მისი სიკვდილი? რით დაიმსახურა მან ასეთი ტრაგიკული დასასრული?

ჩვენ უნდა გავერთიანდეთ განურჩევლად პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა. დღეს ერთი საკითხი დგას: საქართველოს გადარჩენა, მისი აღორძინება და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბება. აქ შედის აფხაზეთის, სამაჩაბლოს, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებიც — ერთი სიტყვით ყველაფერი. ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, როგორც დამოუკიდებელი ერი და როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ერთად ვიქნებით.

მასალა მოამზადა
[illegible]

---

## ჟურნალი "ნუველ ობსერვატორი" და ვლადისლავ არძინბა

I.

ყოველი ჯურის დამნაშავე დასჯილის ბედს, როცა უკვე მისი დრო გასულია, და ისიც არ ესმის, რომ დამნაშავეს არავითარი მორალური უფლებაც კი არ აქვს "სხვას" დადოს ბრალი თვალთმაქცობაში, რადგან ამგვარი მოძალადეობის წყარო ის თვითონ არის – არ ესმის რა პოლიტიკური მოქმედების ანი და ბანი, როცა "სხვისი" ბრმა იარაღი ხდება, შეგნებულად თუ შეუგნებლად. და ამგვარი დამნაშავის ბედს იზიარებს ახლა ვლადისლავ არძინბა, რომლის ფანტასტიური მოქმედება ქვედა საზღვარს მორღვევა, როცა აფხაზების, ამ არც კი ასი-ათასიანი ხალხის "სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა" გამოაცხადა, და კრემლი იაე ხულად ჩათვალა, რომ თითქოს იცნობდა აფხაზეთის, საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და სუვერენობას!.. პოლიტიკური სიბრიყვე მართლაც რომ ძნელია უფრო შორს წავიდეს!..

II.

მაგრამ ვლადისლავ არძინბა უფრო შორს წავიდა, ვიდრე ფრაგელის როლში გამოდგებოდა, რომ მის და მის "მრჩევლების" ამგვარ სიბრიყვეს ათასობით აფხაზთა და ქართველთა სიცოცხლე არ ემსხვერპლა. გასაოცარია, გაუგებარია როგორ შეძლო არძინბამ და მისმა მომხრე ჭკუათხმულებმა ორი ძმის – აფხაზისა და ქართველის – ერთმანეთზე ისეთი გადაკიდება, რომ ერთმანეთი დაუწყვიტეთ "მესამე ძალის" გასახარელად, და ახლა თვითონ არძინბა გულამოსკვნილი მოთქვამს რომ "გვიღალატეს 'დაწყევლილმა რუსებმა'", როგორც ამას წერს განთქმული ფრანგული ჟურნალი "ლე ნუველ ობსერვატორი" 1995 წლის 11 ოქტომბრის ნომერში.

III.

ამ [illegible] ნაკვეთში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: "არძინბამ უკვე აღარ ესმის რუსების... ისინი შეიცვალნენ, მათ ნდობა უკვე აღარ გვაქვს... კონფლიქტის შემთხვევაში, აფხაზები იბრძოლებენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე!" "პრემიერმინისტრი" გენადი გაგულია კი იმუქრება ცეცხლს გავაჩენთ მთელს კავკასიაში!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

ვლადისლავ არძინბას, როგორც ჩანს, დღესაც არ ესმის, რომ "90-ათასიანი აფხაზების ექსტრემისტებმა გაიმარჯვეს ხუთმილიონიან საქართველოს მოსახლეობაზე რუსეთის ჯარისა და შეიარაღების წყალობით და, როგორც ჩანს, არც მაშინ და არც დღეს არძინბას არც ესმოდა და არც ესმის, რომ ის იყო უბრალო პაიკი კრემლის პოლიტიკურ ანგარიშში: მოსკოვს უნდოდა საქართველოს დაჩოქება და ეს გააკეთა ბრიყვი აფხაზის ექსტრემისტების წყალობით – მონათლა რა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ "ეთნიკურ კონფლიქტად"; და ეს როლი ვლადისლავ არძინბამ კარგად შეასრულა და ახლა ჯახჯირის თავის ბედს, რომ ბოროტმომქმედის სამარცხვინო იარლიყი როგორმე თავიდან მოიხსნას.

V.

ვლადისლავ არძინბამ კი დანაშაული ჩაიდინა არა მარტო საქართველოს, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის წინააღმდეგ, არამედ თვით აფხაზების წინააღმდეგაც, როცა ეს მართლაც მცირერიცხოვანი ხალხის ექსტრემისტები ჩააყენა დიდმპყრობელ-შოვინისტების სამსახურში, რაც – თავის მხრივ – აფხაზთა ფიზიკურ განადგურების გზაზე დაყენებას უდრის. ახლა კი "მავრმა", ე.ი. არძინბამ, შეასრულა თავისი როლი პირნათლად და უნდა "წავიდეს", რაც, თავის მხრივ, გამოიწვია იმან, რომ საქართველო უკვე დაჩოქებულია კრემლის წინაშე; ედუარდ შევარდნაძე უკვე დაჩოქილი მიადგა "კანოსას",კრემლს, საქართველო შეიყვანა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში", რუსეთს მისცა საქართველოში სამხედრო ბაზები 25 წლის ვადით, საქართველოს საზღვრებს საქართველოს შეიარაღებული ძალები იცავს რუსეთის სამხედრო ნაწილებთან ერთად, და განა დიდი ზარალია რუსეთისათვის 90-ათასიანი აფხაზების ექსტრემისტები ამ საერთაშორისო პოლიტიკურ ანგარიშს შესწიროს?..

VI.

არა, ბატონო ვლადისლავ არძინბა, თქვენ "გილალატეს" არა "დაწყევლილმა რუსებმა", არამედ თქვენმა თავმა, როცა უცხო იარაღის ძალა გამოიყენეთ საქართველოს, ე.ი. თვით აფხაზეთისწინააღმდეგ, გადაჰკიდეთ ერთმანეთს ათასწლეული ძმები – აფხაზები და ქართველები – და, როცა ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ ვიბრძოდით და ერთმანეთის სისხლს ვღვრიდით, "მესამე ძალა" თუ არ იცინოდა, ხუდ ვოცა იღიმებოდა, რომ თქვენ, ბატონო ვლადისლავ, და თქვენმა მეგობრებმა პოლიტიკური ანი-და-ბანი ვერ გაიგეთ და დაიჯერეთ, რომ რუსეთი სისხლს ღვრიდა საქართველოს შესანიშნავ კუთხეში, აფხაზეთში, თითქოს აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის!.. მართლაც რომ ძნელია წარმოიდგინოს კაცმა ამგვარი პოლიტიკური სიბეცე!..

VII.

მაგრამ თქვენი სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ პოლიტიკურ სიბეცესთან, არამედ პოლიტიკურ ბოროტებასთან, რადგან თქვენ ხელი შეუწყვეთ ათასობით აფხაზი და ქართველი ახალგაზრდობის ფიზიკურ განადგურებას ჩვენს მიწა-წყალზე, და ამიტომ გიწოდებთ თქვენ დამნაშავეს, რომელიც გასამართლებული უნდა იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ან საერთაშორისო სასამართლოს მიერ, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ე.წ. "ნიურნბერგის პროცესზე".

VIII.

თქვენ, ბატონო ვლადისლავ, ვერავითარი საშუალებით ვერ შეძლებთ მოიშოროთ ბოროტმომქმედის იარლიყი, და როგორც ასეთი უნდა წარსდგეთ საქართველოს ან საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. თქვენი და თქვენი ერთი მუჭა მომხრეების სახელი კი შავ ლაქად დარჩება საქართველოს და ამით აფხაზეთის ისტორიაში როგორც ნიშანი იმისა, რომ ვინც ორი ძმის – ქართველისა და აფხაზის – დაპირისპირებას ხელს შეუწყობს, როგორც ეს თქვენ ჩაიდინეთ, განწირულია და ამ ბედს თქვენ ვერ აშორდებით.

IX.

სხვათა შორის, აღნიშნული სტატიის ერთ ადგილას ვლადისლავ არძინბა უმტკიცებს ფრანგ სპეციალურ კორესპონდენტს – ლორან ბიჟარს, რომ თითქოს აფხაზეთში დღეს 400-ათასი მცხოვრებია; ლორან ბიჟარი კი შენიშნავს:"აფხაზეთში, აიშაბ-დვილეში, დღეს ცხოვრობს დაახლოებით 200-ათასი კაცი; აქედან 90-ათასი აფხაზი 60-ათასი სომეხი, 40-ათასი რუსი...და ბოლოს 12-ათასი ქართველი,უმთავრესად ხანში შესული ქალები, რომლებიც იცავენ თავიანთ სახლ-კარს. და აქ ვეკითხებით ბატონ არძინბასა და მის მომხრეებს: ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ

3CO-ათასი ქართველობა გაძევებულ იქნა თავთავიანთ სახლ-კარიდან?..

ნუთუ არძინბა და მისი მომხრეები ფიქრობენ, რომ ამგვარ პასუხისმგებლობას საქართველოს, ქართველი ერის და ამით აფხაზების წინაშე ისინი თავს აარიდებენ?..

კარლო ინასარიძე
პარიზი-ლევილი, 1995 წლის 27 სექტემბერი

-----------------------------

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადება აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) ვითარების თაობაზე

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის მოსამზადებლად, რომელიც დაკავშირებულია გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიასთან, გაემგზავრა დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიქვაიძის ხელმძღვანელობით.**

22 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს ღალი შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სრული ინფორმაცია მიაწოდა გენერალურ მდივანს აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე, იმ ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოწესრიგებისაკენ. აღნიშნა ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირების დაბრუნების და პოლიტიკური მოლაპარაკების საკითხებში პროგრესის სრული უქონლობა, რაც აფხაზეთის მხარის დესტრუქციული პოზიციით არის განპირობებული.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად საქართველოს საკითხზე გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის დაყენებული ძალისხმევისა, ამგვარი რთული ვითარება პრაქტიკულად შეუცვლელი დარჩა.

უშიშროების საბჭომ არა ერთხელ მოუწოდა კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარებისაკენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული ერთიანობის [illegible] პრინციპის გათვალისწინებით. რესპუბლიკის მთავრობამ [illegible] ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით [illegible] ჩატარა ფედერალურ პრინციპზე [illegible] თვითმმართველობის ფორმების შემუშავებისათვის. [illegible] ფარგლებში [illegible] აფხაზეთის მოსახლეობის [illegible]

[illegible] გენერალურმა მდივანმა [illegible] აღნიშნა [illegible] ვითარების [illegible] მოწოდებისათვის [illegible] მეთოდების [illegible] გამოყენებით [illegible] გენერალური მდივანი [illegible] ლტოლვილები და იძულებით ადგილნაცვალ პირები დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

**სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.**

■ „.... არის მსოფლიო, აფრიკა, ევროპა. არიან „ძლიერნი ამა სოფლისანი", გავლენის სფეროები დანაწილებულია. ისინი თანახმა არიან, რომ ამიერკავკასია რუსეთის გავლენის სფეროა, რომ იქ რუსეთის ჯარი უნდა იდგეს; დღეს ეს მსოფლიო სტაბილურობის აუცილებელ პირობად ითვლება. ეს ყველაფერი აშკარაა, ადვილი დასანახია, ძალით თუ არ დაიბრმავებ კაცი თვალებს. მაგრამ არა და არ დაისაჯერდა საყოველთაო ფსიქოზის ბატონობა, სიგიჟეები, ელემენტარული წინდაუხედაობა".

ჯაბუა ამერეჯიბი
-----------------

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადისლავ არძინბა "...ომის პოტენციური ბოროტმოქმედია"

### Vladislav Arzinba "...a potential war criminal"

ვლადისლავ არძინბას სისხლის სამართლის ბრალდებით გასამართლების საფუძველია ნიურნბერგის პროცესის დებულებანი, რომლის თანახმად 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრამდე გასამართლებულ იქნა, საერთაშორისო სამხედრო სასამართლოს მიერ,- ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობით, - ნაცისტური გერმანიის ომის დამნაშავეები, შემდეგი სისხლის სამართლის ბრალდებით:

1.აგრესიული ომის წარმოება;
2.ომის კანონების დარღვევა;
3.მოქმედება ჰუმანიზმის წინააღმდეგ მოსახლეობის განადგურებითა და გენოსიდით.

ეს დებულებანი, რომლებიც უკვე საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძველი გახდა, აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს მიერ, და ამით საქართველოს სახელმწიფოს მიერაც, როგორც გაეროს სრულუფლებიანი წევრისა.

ვლადისლავ არძინბას სისხლის სამართლის ბრალდება უნდა წაეყენოს მისი მოქმედების გამო ჰუმანიზმის წინააღმდეგ, რაც ფაქტობრივად გამოიხატა ეთნიკური შუღლის გაღვივებაში საქართველოს განუყოფელ და ისტორიულ ნაწილში აფხაზეთში, რომელსაც მოყვა-

1.ძმათა - აფხაზთა და ქართველთა - სისხლის ღვრა;
2.აფხაზეთის მთავარი მოსახლეობის - ქართველობის განდევნა საქართველოს ამ კუთხიდან;
3.ქართველი მოსახლეობის გენოსიდი განსაკუთრებით გაგრა-ლესელიძე-ოჩამჩირეში.
4.ე.წ-ლი ჩრდილოეთ კავკასიის ტომების კონფედერაციის დაქირავებული შეიარაღებული ბანდების შემოყვანაში საქართველოს ტერიტორიაზე.

რა თქმა უნდა, აქ წამოყენებულ სისხლის სამართლის ბრალდებას ვლადისლავ არძინბამ წინააღმდეგ, ესაჭიროება კონკრეტიზაცია და ფაქტთა და მოწმეთა საჭირო დაზუსტება, რომლის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს საბრალდებულო აქტი; და, ვფიქრობთ, ესაა საქართველოს გენერალური პროკურორის ამოცანა. საბრალდებულო აქტი, რა თქმა უნდა, იურიდიული სიფაქიზით უნდა იქნას შედგენილი, რომ შესაძლებელი გახდეს ვლადისლავ არძინბას ან საქართველოს უზენაესი სასამთლოს , ანდა გაეროს ჰააგის საერთაშორისო სასამთლოს მიერ გასამართლება.

ვლადისლავ არძინბა უნდა დაისაჯოს ყველა იმ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა ისედაც მცირერიცხოვანი აფხაზებისა და,საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქართველობის წინააღმდეგ. მართალია, ამჯერად ვლადისლავ არძინბას ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად ისე ფარფატობს ჩვენს აფხაზეთში, უცხო დიდმპყრობელ-შოვინისტების მხარდაჭერით, და საქართველოს ხელისუფლებას რეალური საშუალება არ გააჩნია დააპატიმროს ვლადისლავ არძინბა და პასუხისგებაში მისცეს. მაგრამ ეს მდგომარეობა მალე შეიცვლება და საქართველოს მართლმსაჯულების ორგანოები მზად უნდა იყოს დაუყონებლივ საქმეს მისცეს მსვლელობა, როცა არძინბა იძულებული იქნება პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულზე.

ვლადისლავ არძინბა ბოროტმოქმედია და უნდა დაისაჯოს საქართველოში ეთნიკური ომის წარმოებაში ჩადენილი დანაშაულებათა გამო; ეს კი უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსაც, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის გვერდით. როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, 1946 წლის 11 დეკემბერს, დაადასტურა საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით და ასახულია მის განაჩენში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 27 სექტემბერი
სოხუმის დაპყრობის წლისთავი

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## საქართველოს ახალი კონსტიტუცია

I.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა, 1995 წლის 24 აგვისტოს, მიიღო და დაამტკიცა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც, როგორც მის შესავალში(პრეამბულა) ნათქვამი, - ეყრდნობა ქართული ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს. ეს არის, უდავოა, დიდი ისტორიული მოვლენა, რადგან საქართველოს რესპუბლიკურ ხანაში, რომელიც დაიწყო 1918 წლის 26 მაისს, - ეს ახალი კონსტიტუცია არის რიგით მეორე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ძირითად დებულებებს, რომელთაგან უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს სახელმწიფოს ყველა სხვა კანონი. ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული და დამტკიცებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, შეცვალა, კანონიერი გზით, . 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა და დამტკიცებულმა კონსტიტუციამ, რომელიც უკვე ძალაშია.

II.

რა შეიძლება ითქვას საქართველოს რესპუბლიკის ამ ახალი კონსტიტუციის შესახებ ?. - "რატომ მარტივად, როცა რთულად შეიძლება" - მომაგონდა ეს გერმანული ხალხური სიბრძნე, როცა გავეცანი საქართველოს კონსტიტუციის პროექტს, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა 1995 წლის 3 ივლისს, და გამოქვეყნებიდან თვენახევრის ვადის შემდეგ, 1995 წლის 24 აგვისტოს, უკვე მიიღო და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა. რით აიხსნება საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიღების ასეთი სიჩქარე - გაუგებარია, თუმცა საქართველოს რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიამ უკვე დიდიხანია დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება, რომლის დროს ჩვენც ჩავებით საერთო ბჭობა-განხილვაში და ახალი კონსტიტუციის შემუშავება მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, რის დასაბუთებას შევეცადეთ საქართველოს საკონსტიტუციო კომისიისადმი მიმართვაში, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა ევროპის ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურ ორგანოში "თავისუფალ საქართველოში", რომელიც გამოდის პარიზში, და რომელშიც, სხვათა შორის, ვამბობდით:

III.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია არის, საერთაშორისო მასშტაბითაც, მოდერნული, სანიმუშო კონსტიტუცია დღესაც, და იგი შენარჩუნებული უნდა იქნას როგორც საქართველოს კონსტიტუციური მემკვიდრეობის ნიშანსვეტი, რაც სრულიადაც ხელს არ უშლის ამ კონსტიტუციის ამა-თუ-იმ მუხლის შეთავსებას საქართველოს დღევანდელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან. ამგვარი კავშირების საბაბს იძლევა, თუ გნებავთ, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომელიც უკვე ორასი წელიწადია ძალაშია, თუმცა მასში 27-ჯერ იქნა შეტანილი შესწორება(Amendements).

აქვე მსურს მოგაგონოთ ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერის, ინგლისის პრემიერმინისტრის, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ - რამსეი მაკდონალდის - აზრი საქართველოს კონსტიტუციის შესახებ:

'მე გავეცანი მის(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის. კ.ი.) კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას; რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწესრიგებული მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში'.

IV.

მაგრამ საქართველოს პარლამენტმა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ახალი კონსტიტუცია უკვე მიიღო და, გასაგებია, იგი უკვე ძალაშია, თუმცა ზოგიერთი მუხლი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის ჩვენი აფხაზეთის დღევანდელი "საგანგებო მდგომარეობის" გამო. ეს ფაქტი კი გვაძლევს საბაბს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუცია, ე.ი. ძირითადი კანონი უ[illegible]ლი სახელმწიფოებრივი დოკუმენტია და მისი შეცვლა ახალი კონსტიტუციით თუ რომელიმე დებულების შეცვლა-დამატება-გამოკლება შესაფერი სერიოზულობით

უნდა იქნას განხორციელებული; და, ვიმედოვნებთ, გჯერა, საქართველოს პარლამენტი ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულებას შეძლებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია, თავისი ტრადიციითაც გახდეს საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი კანონი, და ასე აღიქვას საქართველოს მოქალაქეებმაც, რომ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდეს და განმტკიცდეს კანონის უზენაესობა.

V.

მამ, დავულოცოთ გზა საქართველოს სახელმწიფოს ახალ კონსტიტუციას, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა 1995 წლის 24 აგვისტოს.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1995 წლის 21 სექტემბერი

## "საქართველოს ნახევრადდამლა"

"საქართველოს ნახევრადდამლა" - ასეთი სათაური აქვს ვრცელ, დასურათებულ სტატიას, რომელიც გამოქვეყნებულია მოსკოვის ყოველკვირეულ ჟურნალში - "სტოლიცა" -, ნომერი 50(160), 1993 წელი, - და რომლის ავტორია, როგორც თვით ამ ჟურნალშია გამოქვეყნებული, ევგენი კრუტიკოვი, მოსკოველი ჟურნალისტი, რომელიც პროფესიულად სწავლობს კავკასიის თემას. 1991-1993 წლებში კი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთოსეთში, საქართველოში და აფხაზეთში "კომანდიროვკაში" ე.ი. "მივლინებაში" მთელი რიგი რუსეთის ფედერალური სამსახურების, სააგენტოებისა და ცენტრალური გაზეთებისაგან. უკანასკნელი, ე.ი. 1993 წელი იმყოფებოდა კავკასიაში და მუშაობდა სამხრეთ ოსეთის არცნობილი რესპუბლიკის მთავრობაში. აი, რას წერს ევგენი კრუტიკოვი ამ ვრცელი სტატიის შესავალში:

"ახლა ვიცით თუ ივის, რომ ზვიად გამსახურდიამ პრაქტიკულად მოიგო სამოქალაქო ომი თბილისის ცენტრში; მისი ნაწილები ორჯერ (1991 წლის 24 და 26 დეკემბერს) გადავიდნენ კონტრშეტევაზე. მდგომარეობა შეიქმნა კატასტროფული, და თენგიზ კიტოვანი - ეროვნული გვარდიის მეამბოხე კომანდირი - უკვე ემზადებოდა დაეტოვებინა ქალაქი და დაეხია თბილისის ზღვისაკენ. მეამბოხეები გადაარჩინეს გე-ერ-უს სპეციალური დანიშნულების ნაწილებმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაზვერვის განყოფილებამ და სპეციალურად თბილისში ჩამოყვანილმა რუსეთის "კომანდოშ".

ევგენი კრუტიკოვის ამ დასურათებულ სტატიაში პირდაპირ არის აღიარებული, რომ თბილისში, შიდა ქართლში თუ აფხაზეთში რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები იბრძოდნენ და აიარაღებდნენ აგრეთვე სამხედრო საჭურველით ოს და აფხაზ ექსტრემისტებსა და ე.წ.-ლი ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის რაზმებს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩრდილოეთკავკასიელები. კიდევ მეტი, რუსეთის სახმელეთო საზღვაო და საჰაერო ნაწილებიც ღებულობდნენ მონაწილეობას ბრძოლებში საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოყვა, როგორც ცნობილია, ჩვენი სოხუმის დაცემა 1993 წლის 27 სექტემბერს. გასაკვირია, განსაცვიფრებელია თუ როგორი დიდი ოსტატობით იყენებდნენ (და დღესაც იყენებენ?) კავკასიელ ექსტრემისტებს [illegible] საქართველოს და მისივე ერთიანობის საწინააღმდეგოდ "ფედერაციული სამსახურები", რომლებიც ოსტატურად ჩართული იყვნენ - [illegible] თუ [illegible], საქართველოს "კერძო" სპეციალური რაზმებიც კი, რაც შემდეგ გადაიზარდა სამოქალაქო ომად თბილისში, თუმცა მაშინაც გადამწყვეტი როლი ითამაშა, როგორც ევგენი კრუტიკოვი აღიარებს, რუსეთის სპეციალურმა ძალებმა.

საყურადღებოა აგრეთვე ამ სტატიაში ორი ფოტოსურათი, რომელთაგან ერთს აქვს ასეთი წარწერა: "ჩერნი ფილმან" - აფხაზეთში დატყვევებული რუსი [illegible] გადაყვანა; მეორეზე კი გამოსახულია რუსი [illegible] წარწერით: "სპეციალური მუშაობისას". რა თქმა უნდა, ევგენი კრუტიკოვი არაფერს არ ამბობს იმ ფაქტზე, [illegible] რომ [illegible] კატეგორიულ იქნა თავიდან აცილებული [illegible]. [illegible] ამ სტატიის არულ [illegible]:

СТОЛИЦА № 50 (160), 1993 Общественно-политический иллюстрированный еженедельник

Евгений
КРУТИКОВ

# ГРУЗИНСКИЙ ПОЛУРАСПАД



Сейчас мало кто знает, что Звиад Гамсахурдиа практически выиграл рождественскую гражданскую [illegible] переходили в контрнаступления. Ситуация сложилась катастрофическая, и Тенгиз Китовани — мятежный командир Национальной гвардии — уже собирался покинуть город и отступить к Тбилисскому морю. Спасли мятежников подразделения спецназа ГРУ, разведотдела ЗакВО и специально ради этого прибывшие в Тбилиси российские «коммандос».

Евгений Крутиков — московский журналист, профессионально занимающийся кавказской тематикой. В 1991—1993 годах находился в Северной и Южной Осетии, Грузии и Абхазии по командировке ряда федеральных служб, агентств и центральных газет. В последний год пребывания на Кавказе работал в правительстве непризнанной Республики Южная Осетия.

А менее чем через месяц самолет Эдуарда Шеварднадзе приземлился в тбилисском аэропорту. И уже тогда он находился в зависимости от «пригласивших» его в Грузию политиков — Тенгиза Китовани и Джабы Иоселиани. Шеварднадзе был не в состоянии контролировать действия министерства обороны, которое возглавлял Китовани, и министерства внутренних дел, на ключевой пост в котором Иоселиани продвинул своего человека — Теймураза Хачишвили (ранее был судим за убийство). Глава государства пытался хоть как-то компенсировать перевес «военной фракции» заигрыванием с Иоселиани — тогда членом президиума Госсовета и лидером военизированной группировки «Мхедриони» («Всадник»). Шеварднадзе пришлось закрыть глаза на незаконную торговлю горючим, развернутую людьми Джабы прямо на улицах Тбилиси, на разбой «мхедрионэби» в Западной Грузии и захват земельных участков в прибрежной курортной зоне Абхазии. До сих пор Джаба последовательно поддерживал политику Шеварднадзе, изредка показывая норов

## Грузинский полураспад

отдельными взбрыкиваниями (например, отказ расформировать «Мхедриони», приведший к присвоению этим профессиональным боевикам статуса «корпуса спасателей», и открытые угрозы в адрес главы государства, когда Шеварднадзе на фоне общих поражений в Абхазии и невыносимых условий жизни в столице настоял на отставке министра внутренних дел Хачишвили. В итоге за «всадниками» было окончательно закреплено право ношения оружия в Тбилиси.

Грузинская армия — достаточно беспорядочное образование. В начале ее формирования Национальная гвардия была вооружена за счет средств, и немалых, изысканных ее командиром — Тенгизом Китовани. На эти деньги покупалось оружие и обмундирование, покупалось у российской армии, на территории Грузии, у частей ЗакВО, командующим которого был тогда генерал-полковник Патрикеев, а его первым замом — генерал Суфиян Беппаев. Российские войска охотно передавали оружие грузинам, а в некоторых случаях организовывались «самострелы» — имитации вооруженного нападения на воинские части. Иногда эти «самострелы» давали осечку.

ЗакВО стал притчей во языцех во всех частях российской армии. О масштабах спекуляции оружием в Грузии знали практически все. Никто даже не удивился, когда грузинской армии (уже после приезда Шеварднадзе) передали втрое больше танков, чем Республике Грузия полагалось по Ташкентским соглашениям о разделе бывшей Советской Армии. Именно эти танки Китовани погнал в Абхазию.

Спасая отряды Китовани от разгрома во время рождественского путча в Тбилиси, командование ЗакВО и ГРУ знало, что делает, — оно и ранее активно поддерживало его как в борьбе за единоличное лидерство в Национальной гвардии, так и в утверждении «единой и неделимой Грузии».

После свержения Гамсахурдиа и формирования Госсовета Китовани стал крупнейшей политической фигурой Грузии. Его власть основывалась только на силе — на момент начала войны в Абхазии в Национальной гвардии состояло около 5 тысяч человек, вооруженных стрелковым оружием. Они были разбиты на батальоны по бывшим городам дислокации — зугдидский, самтредский и т.д., а также элитные подразделения, выросшие из бывших «неформальных» отрядов — батальоны «Белый орел», «Соколы», «Белый Георгий», «Илья Праведный».

«Мхедриони» — грузинское народное ополчение — было создано раньше гвардии при поддержке тогдашнего первого секретаря ЦК КПГ Гиви Гумбаридзе. Он приласкал их командира — Джабу Иоселиани, принимая во внимание застарелую нелюбовь сванского князя к Звиаду. Сперва расчет оправдывался: именно Иоселиани занял отличную от «звиадистской» позицию в конфликте в Южной Осетии, за что был обвинен Звиадом в «предательстве интересов Грузии».

Иоселиани устранили с помощью ЗакВО. Спровоцировав столкновение с «мхедрионэби» в тбилисском пригороде Шавнабада, части ЗакВО разоружили ополченцев, а Джабу выдали Звиаду. Иоселиани был освобожден в январе гвардейцами. За считанные дни он воссоздал структуру «Мхедриони» и вошел в Госсовет «человеком № 2». И он и Китовани нуждались в компромиссной политической фигуре, способной к тому же легитимизировать само существование Госсовета — незаконного органа власти, возникшего в Тбилиси после вооруженного смещения законно избранного президента Звиада Гамсахурдиа (как бы мы к нему ни относились). Такой политической фигурой стал Эдуард Шеварднадзе.

В самом начале власть Шеварднадзе в Грузии была эфемерна — у него не было армии. Более того, любая армия, которая была бы набрана и сформирована тогда в Грузии из грузин, не стала бы подчиняться Шеварднадзе. Его опора в первые месяцы — российское военное присутствие, за которое он держался любыми средствами, мучительно удерживая добрые отношения с новым командующим ЗакВО (а затем и группой российских войск в Закавказье) генералом Федором Реутом, ранее служившим в Армении.

С уверенностью можно утверждать, что к началу войны в Абхазии на территории Грузии не осталось такой воинской части, которая не была бы в той или иной степени усилиями командования округа и ГРУ втянута в коллаборацию с частями Китовани. Возможно, именно это заставило МО РФ перебросить в Абхазию десантный полк из Азербайджана и вывести абхазскую группировку из состава ЗакВО. Генерал Сигуткин, назначенный представителем МО в Абхазии, отрицательно относился к командованию ЗакВО и благоволил к абхазам, однако, как и все российские офицеры, опасался добровольцев-конфедератов, несмотря на то, что их официальный командир, назначенный замначальника ГКО Абхазии, кабардинец полковник Солтан Сосналиев — боевой афганский офицер.

В какой-то момент ЗакВО (или то, что от него осталось) практически полностью вышел из подчинения Москвы. Он (впрочем, как и ГРУ) сделал ставку на Китовани и его группу, скорее всего, в противовес Эдуарду Шеварднадзе. Московские приказы просто игнорировались, а части, которые по какой-либо причине придерживались иной ориентации, просто расформировывались. Так произошло, например, с Цхинвальским вертолетным полком, который был вывезен в Телави, а его вертолеты огневой поддержки МИ-24 переданы грузинской армии. Командир этого полка полковник Востриков активно поддерживал осетинскую сторону и охотно выполнял антигрузинские приказы. Именно атакой его вертолетов были уничтожены остатки грузинских огневых позиций у развалин селения Прис (господствовавшие над Цхинвалом высоты несколько раз переходившие из рук в руки). Приказ на эту акцию дал замминистра обороны России генерал-полковник Кондратьев.

Российская армия развернула в Абхазии оперативную группу генерал-лейтенанта Сорокина (345-й парашютно-десантный полк, части усиления, включая боевую авиацию). Штаб расположился в бывшей части ПВО в поселке Бомбора возле Гудауты. Один батальон был выдвинут к устойчивой тогда линии фронта в Нижних Эшерах, где охранял пресловутую военную сейсмическую лабораторию. Части ДШБ из Гянджи расположились также в Эшерах в бывшем санатории ГРУ и в санатории МВО в Сухуми в районе Красного моста. В неприятном положении оказались части ДШБ в районе сухумского маяка, находившиеся более года в грузинской зоне оккупации, но формально подчинявшиеся Гудауте. Практически все эти подразделения отличались исключительно антигрузинскими настроениями.

Закрепившись в Сухуми, грузинская армия так и не сумела сорганизоваться. В Сухуми одновременно действовали: местное ополчение, гвардейцы Китовани, «Мхедриони» Иоселиани, «Белый орел» Каркарашвили, военная полиция Ахалая, батальон афганцев неизвестного подчинения, полк внутренних войск МВД, батальон «Тбилисели» и, наконец, наемники. Все это пытались свести в 22-ю механизированную бригаду и 4-й армейский корпус под командованием генерала Датуашвили.

Жестокое поражение грузинского экспедиционного корпуса в Гагре было тем самым звонком, который сигнализировал о бедственном положении грузинской армии. Один из офицеров гагринских «Мхедриони» рассказывал автору этих строк, что деморализация была такой, что уже

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Грузинский полураспад



Фото ИТАР—ТАСС

*«Черный тюльпан»: погрузка гробов погибших в Абхазии российских солдат.*



*Снайпер за «работой»*

через 15 минут боя грузины не понимали кто где. Потери абхазов и северокавказцев были минимальны, а по центральной части Гагры наступавшие шли уже пешком, изредка подавляя вяло сопротивлявшихся грузин из местных — тем было уже нечего терять. Впоследствии у грузинских политиков стало доброй традицией «искать стрелочника» среди военных, постоянно кивая на их непрофессионализм. В гагринском поражении обвинили полковника Маринашвили, который якобы вовремя не раздал оружие. Глубинных причин беспомощности грузинской армии не искали.

А одна из них — это то, что боевая выучка грузин близка к нулю. Максимум их достижения — кочующие артбатареи, которые в бою себя не проявляли, в основном боевые действия вели установки «Град». Грузины устанавливали огневые точки у жилых кварталов, надеясь, что ответного огня не будет. В остальном стремились воевать по науке: вели огонь с предельной дистанции, постоянно меняли тактику. Но эффективность артогня была ничтожна, стрельба велась вразнобой, сказывалось отсутствие у наводчиков инструментальной разведки, сведений об обстановке, данных о конкретных целях, так как у грузин не было возможности запускать разведгруппы для наведения артиллерийского огня. Интересно, что абхазская артиллерия ответным огнем запросто давила грузинские огневые точки. Автор был свидетелем того, как во время ночной перестрелки на предельной дистанции абхазы ухитрились уничтожить грузинской бронепоезд, выдвигавшийся на боевые позиции аж из-за пределов Сухуми.

Тактика захвата Сухуми была очевидна даже непрофессионалу, который хоть немного разбирается в современной войне. Абхазы и северокавказцы стремились отрезать Сухуми от собственно Грузии, одновременно захватив господствующие над городом высоты и создав на сухумском берегу Гумисты прочный плацдарм для наступления. Правда, командование Гудауты несколько раз меняло свой подход к практическому осуществлению этого плана.

Первая попытка отрезать Сухуми была предпринята прямой атакой со стороны окруженного города Ткварчели на юг — на Очамчиру. Наступление захлебнулось мгновенно: в Ткварчели не было достаточно сил для проведения такой крупномасштабной операции. Вторая попытка была более грамотной: с моря был высажен десант, который захватил крупнейшие села на шоссе Сухуми—Очамчира и на полторы недели отрезал город от Грузии. Однако тогда на помощь Сухуми были брошены практически все «Мхедриони» во главе лично с Джабой. Абхазский десант, состоявший в основном из южных осетин и кабардинцев, был частью уничтожен, частью эвакуировался в Гудауту.

Третья и последняя попытка окружить Сухуми была наиболее квалифицированной: северокавказские и абхазские части методично захватили все господствующие над городом высоты, затем по хребту обошли город с севера и вновь спустились в долину уже южнее Сухуми. Прибрежные поселки очамчирской зоны, в которых до войны жило преимущественно абхазское население, были захвачены почти моментально. Сухуми оказался намертво отрезан от собственно Грузии. 1-й и 2-й армейские корпуса грузинской армии во главе с генералами Гучей Курашвили и Джемалом Чумбуридзе (4,5 тысяч человек и более 30 танков) так и не смогли в течение недели пробить этот заслон и проделать всего лишь 10-километровый марш до Сухуми. Город пал, а генералов вновь обвинили в «государственной измене».

Генерал Курашвили спасся. Он лично Тенгиз Китовани (не имеющий на данный момент какого-либо поста в армии) вывели остатки 1-го армейского корпуса через горную Сванетию в район Кутаиси. Кстати, именно это скорее всего, вызвало такое большое количество жертв среди беженцев: только сумасшедший пойдет из Абхазии в Грузию через горную Сванетию. Гораздо проще ехать через Мегрелию по асфальтированной дороге в тепле. Однако грузинское население Абхазии предпочло спасаться «под прикрытием» остатков своей армии, которая надеялась пересесть в районе города Местиа (почти 3000 метров над уровнем моря) на вертолеты. Отказ беженцев следовать через Мегрелию был вызван отчасти и страхом перед «звиадистами», хотя подавляющее большинство грузинского населения Абхазии — такие же этнические мегрелы, как и «звиадисты», и опасаться расправы им было нечего. Однако мирные грузины больше боялись своих же грузин, чем наступавшей абхазской армии.

Сразу же после этого Джаба Иоселиани был назначен фактически главнокомандующим всеми грузинскими вооруженными подразделениями. Ситуация вернулась на несколько лет назад, главными действующими фигурами грузинской политики вновь стали два старинных недруга: Звиад Гамсахурдиа и Джаба Иоселиани. Их войска столкнулись в районе городов Хони, Самтредиа и реки Цхенисцкали. Скорее всего, Эдуард Шеварднадзе уже не играет существенной роли в практической политике и лишился поддержки даже Георгия Каркарашвили, который в свое время предал своего близкого друга и наставника Китовани ради Шеварднадзе и предложенного им поста министра обороны.

**Тбилиси—Сухуми—Гудаута—Гагра—Цхинвал—Владикавказ—Москва**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ ა რ უ ს ე ბ უ ლ ი   ა რ ა-რ უ ს ე ბ ი?..

### ფაზილ ისკანდერის ერთი ინტერვიუს გამო

1.

შეიძლება "გარუსებული არა-რუსები" ვუწოდოთ არა-რუსი ერებისა და ეროვნებების შვილებს, რომლებმაც თავიანთი მშობლიური ენა დაივიწყეს, ლაპარაკობენ და აზროვნებენ "რუსულად", და თავისი საკუთარი ერისა თუ ეროვნების ბედზე მაშინ მსჯელობენ, როცა მათ მოსკოვის თუ უცხოეთის ჟურნალისტები საჭიროდ ჩათვლიან?..

2.

სანამ აღნიშნულ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ჯერ უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ყოველ ადამიანს აქვს, უნდა ჰქონდეს უფლება შეიცვალოს ეროვნებაც კი, მაგრამ იგი არ უნდა მოექცეს აკაკის ცნობილი "თაგუნას" მდგომარეობაში, რომელმაც იუკადრისა თაგვობა, რასაც ხშირად მოყვება ისიც, რომ ის, აღნიშნულ სფეროში რომ დავრჩეთ, არც რუსია და არც არა-რუსი, ე.ი. თავისი საკუთარი ერის თუ ეროვნების შვილი. და ასეთ მდგომარეობაში ხომ არ არის მოქცეული ამჯერად, რუსი მწერალი ფაზილ ისკანდერი, რომელიც დაიბადა სოხუმში, ე.ი. ჩვენს აფხაზეთში-საქართველოში და წარმოშობით ნახევრად აფხაზი და ნახევრად ირანელია?..

3.

ფაზილ ისკანდერს არც ისე იშვიათად ეკითხებიან უცხოელი ჟურნალისტები თუ იგი რას ფიქრობს კავკასიის ერებისა და ეროვნებების შესახებ, როცა იმპერიული ძალები ცეცხლითა და მახვილით იბრძვიან ყველაფრის წინააღმდეგ, რაც არა-რუსულად, რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული; და ასეთი შემთხვევაა ახლა ჩეჩნეთში, როცა რუსეთი დაუნდობლად ანადგურებს ყველაფერს, რაც რუსეთის იმპერიული ზრახვების წინააღმდეგაა მიჩნეული. და რა პასუხს აძლევს ფაზილ ისკანდერი, ამ შემთხვევაში, გერმანიის ჟურნალის "შპიგელის"(20 ნომერი, 1995 წელი, გვ.176) კორესპონდენტს?..

4.

ფაზილ ისკანდერის აზრს, ჩეჩნეთისა და საერთოდ კავკასიის ერებისა და ეროვნებების შესახებ ფასი რომ მიეცეს, აღნიშნულ ჟურნალში ნათქვამია, რომ ისკანდერი მის ნაწარმოებებს რუსულად წერს, ცხოვრობს მოსკოვში, 66 წლის ასაკშია, მისი რომანი "ჩეგემელი კარმენი" გამოიცა გერმანულ ენაზე, და რომ მან სახელი მოიხვეჭა აფხაზი გლეხის სანდროს შესახებ შექმნილი მოთხრობებით. და რა ცნობას აწვდის ეს სახელმოხვეჭილი რუსი-არა-რუსი მწერალი ევროპელებს?..

5.

"რამდენიმე აფხაზი თითქოს იბრძვიან როგორც მოხალისეები ჩეჩნების მხარეზე. ადამიანურად ეს გასაგებია: ჩეჩნებმა აფხაზეთ-საქართველოს ომში დიდი სოლიდარობა გამოიჩინა ჩვენი ხალხისადმი. აფხაზეთის ადმინისტრაცია იცავს სასტიკ ნეიტრალობას უპირველეს ყოვლისა სიფრთხილის გამო."

6.

აქ მართლაც რომ ძნელია ადამიანი ემოციური არ გახდეს და ბატონ ფაზილ ისკანდერს შეეკითხოს: როგორც რუსეთის შეიარაღებული სისხლისღვრა ჩეჩნეთში

შეიძლება შედარებულ იქნას აფხაზი ექსტრემისტების ბრძოლასთან ქართველობის წინააღმდეგ საქართველოს ერთერთ კუთხეში, დიახ, საქართველოს ერთერთ კუთხეში აფხაზეთში?.. და თუ ფაზილ ისკანდერმა წინანდელ ინტერვიუში, იმავე ჟურნალში, აფხაზი ექსტრემისტების მოქმედება დაგმო, ახლა არა მარტო შეიცვალა აზრი, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაქუცმაცებას, აფხაზი ექსტრემისტების ცდებს, რა თქმა უნდა, დიდმპყრობელი შოვინისტების, ე.ი. თვით რუსეთის დახმარებით, - იწონებს და საქართველოს მოქმედებას მის ისტორიულ ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიულ სისხლისღვრას ადარებს ჩეჩნეთში?..

7.

შემდეგ ფაზილ ისკანდერი ამბობს: "ჩეჩნეთი არის რუსეთის ნაწილი. მაგრამ რუსეთმა არავითარი ნაბიჯი არ გადადგა, როცა ჩეჩნეთის გამოყოფის ნაბიჯებს სასტიკი ღონისძიებებით არ უპასუხა. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ათასობით რუსებმა ჩეჩნეთი დატოვეს, რადგან მათი ცხოვრება სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. მაგრამ ნათელი პასუხის, გადაწყვეტილი ვარიანტების სანაცვლოდ, ადგილი ჰქონდა მხოლოდ დუმილს. და შემდეგ უცბათ ომი – ეს მოუმზადებლობაა და სამარცხვინო რუსეთისათვის".

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.

რა თქმა უნდა, ჩვენც ვთვლით რუსეთის შეიარაღებული ძალების სისხლისღვრას ჩეჩნეთში ბოროტმოქმედებად და სამარცხვინოდ რუსეთისათვის. მაგრამ იგივე ჩეჩნეთის "აფხაზური ბატალიონისა" და მის უკან მდგომი რუსეთის შეიარაღებული ძალების უთანასწორო ომს საქართველოს, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ საქართველოში, სოხუმსა და მის რეგიონში, რა უნდა ეწოდოს?.. რატომ ფაზილ ისკანდერი აფხაზი ექსტრემისტებისა და შამილ ბასაევის "აფხაზური ბატალიონის" გენოციდს განსაკუთრებით გაგრაში, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე, არ უწოდებს ბოროტმოქმედებასა და სამარცხვინოს რუსეთისათვის, რადგან რუსეთი, რუსი დიდმპყრობელ-შოვინისტებია ე.წ-ლი "ეთნიკური ომის" და ამით იმპერიული "დაანაწილე და იბატონეს" პოლიტიკის სულისჩამდგმელი,შეიარაღებული ძალებითაც, არა მარტო ჩვენს აფხაზეთში?.. მართლა ისე "გარუსდა არა-რუსი", აფხაზი წარმოშობით, ფაზილ ისკანდერი, რომ რუსი მოსახლეობის განდევნას ჩეჩნეთიდან დასტირის, რუსი მოსახლეობისა, რომელიც, უთუოთ, ჩეჩნეთში ჩასახლებულ იქნა 1944 წელს, როცა ჩეჩენი მოსახლეობა, ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის მომიზეზებით, გადასახლებულ იქნა შუა აზიაში?.. რა თქმა უნდა, ჩვენ მოსახლეობის ყოველი ჯურის გასახლების თუ გადასახლების წინააღმდეგი ვიყავით და ვართ, მაგრამ ახლა, როცა ფაზილ ისკანდერი ამგვარ სიტყვებს ამბობს, რატომ არ აღნიშნავს ჩვენი აფხაზეთის ქართველობის გენოციდსა და მათი მიწა-წყლიდან გასახლების ფაქტს, რის შედეგად - ისევ რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტების მხარდაჭერითა და იარაღით, თვით სამხედრო ნაწილების დახმარებით,- აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან განდევნილ იქნა სამას-ათასზე მეტი ქართველობა, და მათ სახლკარში ჩასახლდნენ და სახლდებიან იგივე ჩეჩნები თუ ოსები, რომლებიც ფიქრობენ ამგვარი მტაცებლური მოქმედება საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ მათ შერჩებათ?.. სად არის ბატონ ფაზილ ისკანდერის ჰუმანურობა, ამ შემთხვევაში, საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ?.. ნუთუ ისკანდერი ახლა აფხაზი, ოსი და რუსი ექსტრემისტების მხარეზეა, რადგან მისი მშობლიური ენა უკვე რუსული ენაა და, როგორც ჩანს, საქართველოს და ამით აფხაზეთს მხოლოდ "რუსული სათვალეებით" ხედავს?..

9.

საყურადღებოა აგრეთვე ფაზილ ისკანდერის ის განცხადება, რომ სტალინის დროს ჩეჩნეთში "ყველგან ლაპარაკობდნენ რუსულად, თვით პატარა მთიან სოფლებშიც კი"!..ნუთუ ასე შორსაა ჩრდილოეთ კავკასიაში და ამით ჩეჩნეთშიც წასული რუსიფიკაცია?.. ჩვენ ვიცით, რომ ოსეთში, რომელსაც დღესაც რატომღაც "ჩრდილოეთ ოსეთს" უწოდებენ, თუმცა "სამხრეთი" ოსეთი არასოდეს არც არსებობდა და ვერც იარსებებს, რადგან "სამხრეთ ოსეთად" ბოლშევიკებმა შიდა ქართლი მონათლეს და ოსები გააბატონეს ქართველობაზე, რაც დღესაც გრძელდება, როცა ქართველობა გამოდევნილია შიდა ქართლიდან, - და ამ "ჩრდილოეთ" ოსეთში ოსური ენა მთლიანად მივიწყებულია და მოსახლეობა უკვე გარუსებულია, რაც მათ, როგორც ჩანს, საბაბს აძლევს რუსეთის ჟანდარმის როლი გადაიბარონ შიდა ქართლში, საიდანაც, როგორც ავღნიშნეთ, ქართველობა, რუსეთის უშუალო სამხედრო დახმარებით, უკვე გამოდევნილია. და ოსი ექსტრემისტების "უენაურობად", უფრო სწორად, ხიბრიყვეთ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ შიდა ქართლში ოსებს გააჩნდათ <u>კულტურული ავტონომია</u>, რის შედეგად შეინარჩუნეს არა მარტო ოსური ენა, არამედ გააჩნდათ თავიანთი სკოლები, მუზეუმები და უმაღლესი სასწავლებელიც. და ახლა ოსი ექსტრემისტები შიდა ქართლშიც იმისათვის იბრძვიან, რომ გარუსდნენ?.. და,როცა ეს ფაქტები არ შეიძლება არ იცოდეს ბატონ ფაზილ ისკანდერმა, რატომ ამ"მყვირალა ფაქტებზე" არაფერს არ ამბობს და რუსეთის იმპერიული პოლიტიკის დამცველად გამოდის კავკასიაში?..

10.

ჩვენ იმიტომ ვუყენებთ ამგვარ ბრალდებებს ბატონ ფაზილ ისკანდერს, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები და ამერიკაც - პირდაპირ თუ არაპირდაპირ - მხარს უჭერენ რუსეთის ახალ იმპერიულ პოლიტიკას კავკასიაში, რის ყველაზე უფრო მყვირალა ფაქტია ის, რომ აფხაზეთის, ამ ჩვენი ძირძველი მიწა-წყლის, დაცლას ქართველობისაგან და თვით ქართველთა გენოციდს განსაკუთრებით გაგრაში, - დუმილით შეხვდნენ და ქართველი ლტოლვილების დაბრუნებაზე სოხუმისა და მის რეგიონში ხმას არ იღებენ, რითაც კიდევ უფრო აღიდგურლებენ რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტებს. და ამ ფერხულშია ჩაბმული თვით ბატონი ფაზილ ისკანდერი, თუმცა მან ერთხელ, როგორც ავღნიშნეთ, განაცხადა, რომ იგი არ იზიარებს აფხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსტრემისტების ბარბაროსულ მოქმედებას მისივე ძმების - ქართველების - წინააღმდეგ; და რატომ ახლა არაფერი არ თქვა ამის შესახებ?..

11.

არაფერი არ თქვა იმის შესახებაც, რომ რუსეთმა - ჯერ - ჩეჩნებიც გამოიყენა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაქუცმაცების საქმეში, როცა ბატონ შამილ ბასაევის "აფხაზური ბატალიონი" აფხაზეთში შემოიყვანა და ჩეჩნებმა, ქართველების ამ უახლოეს მონათესავეებმა, ქართველთა გენოციდში მიიღეს მონაწილეობა განსაკუთრებით სოხუმში, ესე-იგი, რუს დიდმპყრობელ-შოვინისტებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ. ახლა კი, იგივე ბატონი შამილ ბასაევი მისი გუშინდელი მოკავშირეების - რუსების - წინააღმდეგ იბრძვის და გმირად აცხადებს თავისთავს, რომ მისი "აფხაზური ბატალიო-

თვით რუსეთშიც შეიჭრა და ბუდიონოვსკში ორასამდე მშვიდობიანი მოსახლეობა გაჟლიტა, რასაც იგი გმირობად თვლის, რადგან რუსეთიც უმოწყალოდ ბომბავს ჩეჩნეთის სოფლებსაც კი და ანადგურებს მშვიდობიან მოსახლეობას. მაგრამ ტერორისტმოქმედების პასუხი ტერორისტმოქმედებაა?.. და აქაც რატომ არაფერს არ ამბობს ბატონი ფაზილ ისკანდერი, რომელიც ჰუმანიზმის მქადაგებლის როლში გამოდის?..

12.

რა თქმა უნდა, ჩვენს შორს ვართ იმისაგან, რომ ბატონ ფაზილ ისკანდერის ამგვარი "ნეიტრალური", რომ არ ვთქვათ, "პრო-რუსული" ინტერვიუსათვის დავგმოთ; ისკანდერიც ისე მოქმედებს, როგორც ყოველი ჯურის ოპორტუნისტი ამ სიტყვის პირდაპირი, ე.ი. არაბოლშევიკური გაგებით. მაგრამ თუ ამგვარი შენიშვნებით ვხდებით ბატონ ფაზილ ისკანდერის აღნიშნულ ინტერვიუს, ეს იმიტომ, რომ ქართველ მწერლებს არავინ არ ეკითხება მათს აზრს კავკასიაში მიმდინარე ამბების, განსაკუთრებით რუსეთი პოსტბოლშევიკური იმპერიალიზმის შესახებ, რადგან, როგორც ჩანს, ევროპისა და ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიილტვიან იმისაკენ, რომ ისეთი ხმა მოისმინონ აღმოსავლეთიდან, რომელიც დასავლეთის უმოქმედობას, წაყრუ ებას რუსეთის ბოსტბოლშევიკური იმპერიალიზმის მიმართ, გაამართლებს; და ამ როლს ასრულებს, ამ შემთხვევაშიც, ბატონი ფაზილ ისკანდერი. მაგრამ ასეთია, ალბათ, ყველა გარუსებული არა-რუსის ბედი, რომლებიც უთუოთ ქართველობაშიც მოიპოვება, რაც უფრო საშიშია, რადგან ისინი ისკანდერივით ღიათ კი არა, ფარულად მოქმედებენ, რაც - თავის მხრივ - იმასაც მოწმობს, რომ მონური აზროვნება, დაჩოქება რუსეთის წინაშე უთუოთ შედეგია იმისა, რომ რუსეთი უკვე თითქმის ორასი წელიწადია კავკასიაში ბატონობს და ბევრმა ჩვენგანმა იმდენად დაკარგა თვითმყოფადობის რწმენა, რომ - როგორც ისკანდერი ამბობს - ჩეჩნებიც კი, მისი მტკიცე რწმენით, "...რამდენიმე წელიწადში რუსეთის ფედერაციაში იაევ დაბრუნდებოდა, თავისი ხურვილით და მშვიდობიანად".

13.

ვითომ ასე დაცემულია არა მარტო ჩეჩნების თვითმყოფადობის რწმენა?.. თუ ბატონი შამილ ბასაევი (და მისი მომხრენი), როცა თავზე წაკრული აქვთ ისლამისათვის თავგანწირულთა ცისფერი ბანტი, - უფრო რელიგიური რწმენისათვის, ვიდრე ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძვის?.. ამ კითხვაზე "არსაიდან ხმა, არსად ძახილი" თვით ბატონ ფაზილ ისკანდერისაგანაც.

14.

სხვათა შორის, თვით ბოლშევიკი ლენინიც კი კმაყოფილი არ იყო ბოლშევიკი "გარუსებული არა-რუსებისგანაც", რადგან ამბობდა, რომ ისინი უფრო დაუნდობელი არიან თავიანთი ერების მიმართ, ვიდრე რუსი ბოლშევიკებიო!.. და ამგვარ აკაკის "თავუწას" მდგომარეობაში ხომ არ იმყოფება ყოველი ჯურის გარუსებული არა-რუსები?..

კარლო ინასარიძე

ლეიდენი, 1995 წლის 28 აგვისტო

-------------------------------

## "ე თ ნ ი კ უ რ ი   წ მ ე ნ დ ა?.."

I.

"ეთნიკური წმენდა", ასეთ სათაურს აძლევს თავის ცნობას ყოფილ იუგოსლავიიდან, უფრო ზუსტად ბოსნიიდან, დიდი ფრანგული ჟურნალი "ლ,ექსპრესი", თავის 1993 წლის 20 ივლისის ნომერში, რომლის ავტორებია ვანსა იუგო და ჟილბერ პასიერი და რომელშიც აღწერილია "ეთნიკური წმენდის" ფაქტები ყოფილ იუგოსლავიაში. ამ ფაქტება ჩვენ ჩაგვაფიქრა და გვიბიძგა ანალიზისაკენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი იუგოსლავიის ფაქტები"ეთნიკური წმენდებისა" ერთმანეთს შევადაროთ, თუ ამ სრულიად განსხვავებული სახელმწიფოების ერთმანეთთან შედარება საერთოდ შეიძლება.

II.

იუგოსლავია იყო ფედერაციული სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა ექვსი რესპუბლიკა: სერბია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მაკედონია, სლოვენია, ჩერნოგორია, ხორვატია. მოსახლეობა უდრიდა(1978 წ.) 21.900.000 სულს, რომელთაგან 40 პროცენტი იყო სერბები. იუგოსლავიის ოფიციალური ენა იყო სერბულ-ხორვატიული; სლოვენიაში - სლოვენური; მაკედონიაში - მაკედონური, რომლის დროს იუგოსლავიის მოსახლეობის ყველა ენა თანასწორუფლებიანი იყო. სერბიაში კი შედიოდა ვოევოდინასა და კოსოვოს ავტონომიური მხარეები.

III.

დაიშალა რა იუგოსლავია, აღმოცენდა შემდეგი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები:

1. თვით "იუგოსლავია", რომელიც შედგება სერბიისა და მონტენეგროსაგან, რომლის ტერიტორია უდრის 102.173 კვადრატულ კილომეტრს; მოსახლეობაა 10,4 მილიონი სული; დედაქალაქი - ბელგრადი.

2. ხორვატია - მოსახლეობა 4,7 მილიონი სული; ტერიტორია - 56.500 კვადრატული კილომეტრი; დედაქალაქი - ზაგრები.

3. მაკედონია - მოსახლეობა 2,1 მილიონი სული; ტერიტორია - 25.713 კვადრატული კილომეტრი; დედაქალაქი - სკოპიე.

4. სლოვენია - მოსახლეობა - 2,0 მილიონი სული; ტერიტორია - 20.250 კვადრატული კილომეტრი; დედაქალაქი - ლიუბლიანა.

5. ბოსნია-ჰერცოგოვინა - მოსახლეობა 4,5 მილიონი სული; ტერიტორია - 51.130 კვადრატული კილომეტრი; დედაქალაქი - სარაევო.

IV.

და ამ ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში და სახელმწიფოთა შორის აღმოცენდა საფუძველი ე.წ.-ლი "ეთნოგრაფიული წმენდებისათვის", განსაკუთრებით ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ისეთი სიმძაფრით, რომ უკვე - "ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობილობს" ისე დაერიან ერთმანეთს სხვადასხვა ერის თუ ეროვნებების შვილები, რომლებიც ამგვარ"ეთნოგრაფიულ წმენდებს" რელიგიურ სახესაც ანიჭებენ თითქოს ეს სისხლისმღვრელი ბრძოლები ხდებოდეს მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა და მუსლიმანთა დროშის ქვეშ, რომლის დროს სიმართლის, ჭეშმარიტების

გაგება მართლაც რომ შეუძლებელია. და ასე გრძელდება, უკვე წლებია, ამგვარი სისხლიანი ბრძოლები, რაც გვაგონებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წამოჭრილ კონფლიქტებს რუსეთსა და ჩეჩნებს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს, შორის, მაგრამ შინასახელმწიფოებრივ ბრძოლებსაც, ვთქვათ, ოს და აფხაზ ექსტრემისტებსა და საქართველოს არმიას შორის შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

V.

მაგრამ იმ დროს, როცა ყოფილ იუგოსლავიაში რუსეთის როლის თამაშს სერბია ცდილობს, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, როგორც ჩანს, რუსეთის ბატონობას ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მაინც აღიარებს ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის ესტონეთ-ლატვია-ლიტვის გამოკლებით, რასაც რუსეთის განსაკუთრებით პოსტბოლშევიკური იმპერიული ძალები ისეთი სისასტიკით იყენებს, რომ საქართველოში, მაგალითად, სამას-ათასზე მეტი ქართველობა ლტოლვილი გახდა საქართველოშივე, როცა ოსი, და აფხაზი ექსტრემისტები გამოიყენა საქართველოს

წინააღმდეგ და გაბატონა შიდა ქართლსა და აფხაზეთში, რომლის ერის ისე გა-წმინდა ეთნოგრაფიულად აფხაზეთი, საქართველოს ისტორიულად ეს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და შიდა ქართლი, რომ ქართველი ლტოლვილები იძულებულია საშინელ სიღარიბეში იცხოვრონ იმ დროს, როცა იგივე რუსეთი მოხერხებულად ასახლებს აფხაზეთსა და შიდა ქართლში არაქართველობას.

VI.

მაგრამ ის არის განსაკუთრებით გასაცვიფრებელი, რომ ევროპისა და ამერიკის პრესა დღე-და-ღამ გაჰყვირიან "ეთნოლოგიურ წმენდებზე" ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, მაგრამ ენას არ იღებენ "ეთნოლოგიურ წმენდების" შესახებ საქართველოში, როცა ჩვენი პროვინციები - შიდა ქართლი და აფხაზეთი - უკვე "ეთნოლოგიურად გაწმენდილია" მხოლოდ ქართველობისაგან და საქართველოს ამ რეგიონებში გაბატონებულია ოსი და აფხაზი ექსტრემისტები რუსეთის ხიშტის მეშვეობით.

VII.

ამგვარად, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, რომელთა დროშაზე ეწერა და დღესაც აწერია ერისა და პიროვნების თავისუფლება, ამ ცნებებს მათი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად იყენებენ: რუსეთს შეუძლია უგულებელჰყოს საქართველოში ერისა და პიროვნების თავისუფლება იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს მხოლოდ ამ რეგიონში, მაგრამ სერბიას იგივე არ შეუძლია, რადგან სერბიას ატომური იარაღები არ გააჩნია და დიდ საშიშროებას დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისათვის არ წარმოადგენს. შეიძლება ამგვარ პოლიტიკას ეწოდოს "ვაი-პოლიტიკა?.." და თუ შეიძლება მართლაც ამგვარ პოლიტიკას "ვაი-პოლიტიკა" ეწოდოს, მაშინ რა ფასი აქვს დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების - აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის თუ გერმანიის მტკიცებას, რომ ისინი მსოფლიოს ყოველ კუთხეში ცდილობენ დაიცვან ერისა და პიროვნების თავისუფლება თვით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე დაყრდნობით?.. ვითომ "ეთნოლოგიური წმენდები" საქართველოში დასაშვებია, რადგან ამას "დიდი რუსეთი" აწარმოებს, მაგრამ ანალოგიური "ეთნოლოგიური წმენდები" ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაუშვებელია, რადგან მას "პატარა სერბია" - პირდაპირ თუ არაპირდაპირ - აწარმოებს?..

VIII.

აი, ამგვარი დილემის, ამგვარი ულოგიკობის წინაშე დგას არა მარტო აშშ, ინგლისი, საფრანგეთი თუ გერმანია, როგორც მსოფლიოს ზე-სახელმწიფოები, არამედ თვით რუსეთიც, რომელმაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ შეიგნო, რომ მე-19 საუკუნის დრომოჭმული იმპერიალიზმი უკვე ისტორიას ჩაბარდა და მისი ისევ გამოცოცხლება - თვით ატომური იარაღებითაც კი, რომელიც თვით მფლობელსაც გაანადგურებს თუ გამოყენებულ იქნება,- შეუძლებელია.

IX.

მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია აგრეთვე, როგორც ეს გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ფოლკერ რიულმა თქვა, - მსოფლიოში არსებობს დაახლოებით ათას-ორას ერი, ეროვნება თუ ტომი და მხოლოდ ორასი სახელმწიფო. თუ ყოველი ეთნიკური დაჯგუფება ცალკე სახელმწიფო გახდებოდა, ამას ექნებოდა უფრო მეტი დამანგრეველი ძალა, ვიდრე ყველა მოდერნულ იარაღს".

X.

და ამ მიმართულებით ხომ არ წარიმართა საქმე ყოფილ იუგოსლავიაში, რის შედეგად "ეთნიკურ წმენდებს" გზა გაეხსნა და უსასრულო არ უჩანს?.. და რუსეთი, საქართველოს შემთხვევაში, რაღაც ასი-ათასიანი აფხაზი ექსტრემისტებს იმისათვის ხომ არ იყენებს, რომ ქართველი ერი , საქართველო დაანაწევროს, საქართველოს ნაწილები შიდა ქართლი და აფხაზეთი ქართველობისაგან გაწმინდოს, რაც უკვე ფაქტია, რომ ამ გზით საქართველო ისე დააქუცმაცოს და ეთნოგრაფიულად ისე შეასუსტოს, რომ საქართველოს დარჩეს მხოლოდ გეოგრაფიული ცნება?..

XI.

რა თქმა უნდა, ვერც რუსეთი და ვერც მისი მხარდამჭერნი ამგვარი ვაი-პოლიტიკის განხორციელებას საქართველოში ვერ შეძლებენ, რადგან ეს ეწინააღმდეგება თვით რუსეთის გარდაუვალ ინტერესებსაც. კავკასიის ძირითადი ერი, ძირითადი სახელმწიფო იყო, არის და იქნება საქართველო, და საქართველოს სახელმწიფოს, როგორც სტაბილიზაციის ფაქტორს კავკასიაში, ვერც რუსეთი ვერ ავე-

ლის ვერეს; და სამწუხარო, სავალალოა, რომ ამ ფაქტის მეხაზამის მნიშვნელობას არ ანიჭებს დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები, როცა ისინი მხოლოდ-და-მხოლოდ რუსეთს ეყრდნობიან ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა აწ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების ხარჯზე.

XII.

ამდენად, ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ არა მარტო ყველა დიპლომატიური გზით უნდა შევეცადოთ "ეთნიკური წმენდების" საერთაშორისო პრობლემად ქცევას არა მარტო ყოფილ იუგოსლავიაში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის აწ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებში, რომელთაგან მხოლოდ საქართველოში მიიღო ასეთი მწვავე ხასიათი "ეთნოლოგიურმა წმენდებმა" აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ამიტომ, ყველა ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ქართველობის დისკრიმინაციას საქართველოში ბოლო მოეღოს.

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1995 წლის 27 ხექტემბერი



"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება, თავისთავის გაწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი, ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## "ეს იყო როგორც ათიათასი მზე..."

### პირველი ატომური ბომბის აფეთქების 50 წლისთავი

I.

"ეს იყო როგორც ათიათასი მზე..." თქვა ერთმა პიროშიმელმა, როცა 1945 წლის 6 აგვისტოს აფეთქდა პირველი ატომური ბომბი, კაცობრიობის ისტორიაში, იაპონიის ქალაქ პიროშიმაში, რომლის შედეგად დაიღუპა 80-ათასი კაცი. სამი დღის შემდეგ, მეორე ატომური ბომბი აფეთქებულ იქნა იაპონიის მეორე ქალაქ ნაგასაკიში, რომლის დროს დაიღუპა 45-ათასი კაცი. ამ ორი ატომური ბომბით გამოწვეული რადიაციის შედეგად კი დაიღუპა კიდევ ორასი-ათასი კაცი.

II.

ბირთვული, ე.ი. ატომური იარაღების ხანა კი დაიწყო მაშინ, როცა 1945 წლის 16 ივლისში, აშშ-ს შტატ ნიუ-მექსიკოში წარმატებით ჩატარდა ატომური ბომბის გამოცდა. ამის შემდეგ ატომური იარაღების მფლობელები გახდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი- აშშ, სსრკ-ა, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთი და ჩინეთი, რასაც მოყვა ე.წ-ლი "ცივი ომის" დასასრული, მაგრამ ატომური იარაღების საერთო აღკვეთა შეუძლებელი გახდა.

III.

დღევანდლობით ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ხმარებაში ბირთვული
იარაღების.............................8 256 მუხტი;
რუსეთს...............................9 584 მუხტი;
დიდ-ბრიტანეთს..........................234 მუხტი;
საფრანგეთს.............................482 მუხტი;
ჩინეთს.................................434 მუხტი.

ეს ატომური იარაღები კი საკმარისია, რომ მთელი მსოფლიო რამდენიმეჯერ იქნას დანგრეულ-განადგურებული.

IV.

1961 წელში, ე.წ-ლი "კუბის კრიზისის" შემდეგ, მიღწეულ იქნა შეთანხმება ამერიკას, საბჭოთა კავშირსა და დიდ-ბრიტანეთს შორის, რომლის საფუძველზე აკრძალულ იქნა ატომური ცდების ჩატარება ატმოსფეროში, მაგრამ ჩინეთი და საფრანგეთი არ შეუერთდა ამ შეთანხმებას. ყველა აღნიშნული სახელმწიფო კი მაინც განაგრძობდა ატომური იარაღების გამოცდებს მიწისქვეშ. მიუხედავად ამისა, აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯონ ფ. კენედიმ განაცხადა, რომ "ეს არის პირველი ნაბიჯი მშვიდობიანობისაკენ, გონიერებისაკენ, ნაბიჯი ომის აღკვეთისაკენ".

V.

1974 წელს ხელმოწერილ იქნა ატომური იარაღების "გაუვრცელებლობის"-"ნონ-პროლიფერეიშენ-ის" (Non-Proliferation) ხელშეკრულება, რომელსაც დღეისათვის ხელი მოაწერა 170-მა სახელმწიფომ და მოახდინა მისი რატიფიკაცია, თუმცა ვარაუდობენ, რომ პაკისტანსა და ისრაელს გააჩნიათ ატომური იარაღები. ირანი, ერაყი და ჩრდილოეთ კორეა კი მიისწრაფვიან ატომური იარაღების მოპოვებისაკენ, რაც საერთაშორისო განგაშს იწვევს, რადგან მოითხოვენ ატომური იარაღების სრულ აღკვეთას, რაც რეალურად მეტად ძნელია.

VI.

ვაშინგტონის მუზეუმში გამოფენილია ის თვითმფრინავი, რომელმაც პირველი ატომური ბომბი ჩამოაგდო ქალაქ ჰიროსიმაზე, რომლის პილოტი იყო პოლკოვნიკი პოლ ტიბეცი, რომელმაც ბომბის აფეთქების შემდეგ თქვა: "ქალაქი ჩაფლული იყო საშინელ [illegible]...თავი [illegible], ხანძარი და [illegible] მდგომა-[illegible]". ატომური ბომბის "მამამ" დოქტორ რობერტ ოპენჰაიმერმა კი განაცხადა, პირველი ატომური ბომბის ცდის ჩატარების შემდეგ: "ახლა მე გავხდი სიკვდილი, მსოფლიოს დამანგრეველი".

VII.

პირველი ატომური ბომბის გამოყენების კრიტიკოსები კი, როგორც კოლი, ჟურნალ "ამერიკული მიმოხილვა საზღვარგარეთ ისტორიისა" დირექტორი, ამბობს: "წარმოდგენილ თავის ტრუმენის (აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის) ამტკიც-

ზე. თქვენ გააჩინეთ ეს იარაღი და თქვენ იცით, რომ მას შეუძლია ომის დამთავრება. თქვენ მას გამოიყენებდით".

VIII.

ფიზიკოსმა ედუარდ ტელერმა 1940 წელს აღმოაჩინა თუ როგორ ქმნის ენერგიას მზე: წყალბადისა და ჰელიუმის შედუღებით, რაც პირველად 1952 წლის ნოემბერში განხორციელდა. თუ პირველი ატომური ბომბის ძალა უდრიდა 20 000-ს ტონა ჩვეულებრივი ბომბის - "ტი-ენ-ტის" - ძალას, პირველი წყალბადის ბომბის ძალა უდრიდა 10-ი მილიონი "ტი-ენ-ტის" ძალას.

IX.

აი, ამგვარი საშინელების წინაშე დგას კაცობრიობა პირველი ატომური ბომბის აფეთქების 50 წლისთავზე, თუმცა "ცივი ომი", როგორც ავღნიშნეთ, უკვე დამთავრდა. მაგრამ შესაძლებელია სამუდამოთ თავიდან ავიშოროთ ატომური ომის საშიშროება?.. თუ კაცობრიობა - ნებსით თუ უნებლიეთ - მიდის თვითგანადგურებისაკენ? - ვიმედოვნებთ, მსოფლიოში, განსაკუთრებით ატომური იარაღების მფლობელებში საბოლოო დამკვიდრდება აზრი, რომ ყოველი ჯურის ატომური იარაღი აღკვეთილ უნდა იქნას პირისაგან მიწისა, თუ ჩვენ არ გვსურს თვითმკვლელობა, რადგან ატომური ომი - და ეს არის იმედის მომცემი - უკვე აღარ იცნობს არც გამარჯვებულს და არც დამარცხებულს, რადგან ჩვენს პლანეტაზე ყველაფერი, პირველყოვლისა, ცოცხალი არსება განადგურდება. მაგრამ შესაძლებელია, რომ კაცობრიობამაც შეიგნოს ეს?.. აი, საკითხი, რომელიც პასუხს მოითხოვს.

პ.ი., პარიზი, 1995 წლის 6 აგვისტო

---

## მეფე ერეკლეს თავზე მოახვიეს გეორგიევსკის ტრაქტატი?..
## ერთი უცნობი დოკუმენტის გამო

I.

1983 წელს საბჭოთა კავშირში და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით საქართველოში დიდი დაფითა და ნაღარით აღინიშნა ე.წ.-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატის" დადების 200 წლისთავი, რომლის დროს ისეთი ცალმხრივი მასალები და დოკუმენტები ქვეყნდებოდა, რომლებიც თითქოს ადასტურებენ, რომ საქართველო რუსეთს აღნიშნული ტრაქტატით "შეუერთდა", რომ ამ გზით მიეჩქმალათ ხელშეკრულების უხეში დარღვევა რუსეთის მხრიდან, როცა 1801 წელს რუსეთმა ცნობილი მანიფესტით, ე.ი. ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილებით საქართველო, უფრო მუსცად, ქართლ-კახეთის სამეფო და შემდეგ, თანდათანობით, მთელი საქართველო რუსეთს შეუერთა და ამით საქართველოს სახელმწიფოებრიობა მოსპო.

II.

მაგრამ საქართველოში თუ შეუძლებელი იყო, ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, სიმართლის თქმა, რომლის საფუძველია ავთენტური დოკუმენტები, არა მარტო ემიგრაციაში მცხოვრები პოლიტიკური მოღვაწეები ცდილობდნენ "გეორგიევსკის ტრაქტატის" ნამდვილი ვითარების განხილვას, არამედ ევროპის პრესაც და მეცნიერებიც, და ამგვარ დოკუმენტებიდან, ამჯერად, გვსურს შევჩერდეთ ერთ საყურადღებო დოკუმენტზე, რომელიც 1983 წლის 15-16 მაისს გამოქვეყნდა, თბილისის დაძმობილებული ქალაქის - საარბრიუკენის გაზეთ "საარბრიუკერ-ცაიტუნგში", რომელშიც გამოქვეყნებულია რაინერ პეტის მეტად საყურადღებო წერილი - სათაურით "პირველი გერმანელი საქართველოში". ამ წერილის ქვესათაურია -"200 წლის წინათ: ავანტიურისტული ცხოვრება დოქტორ რაინეგსისა". აი, ამ წერილის სრული შინაარსი:

III.

"პირველი გერმანელი, რომელიც საქართველოში მივიდა, არ იყო, აქვე რომ ვთქვათ, საარლანდიიდან. ამგვარი სანუკვარ პატივისცემა ეკუთვნის საქსონიას. ეს კაცი კი არ ყოფილა რომელიმე დელეგაციის წევრი, რომელიც ტფილისში მივიდა, როგორც საქართველოს დედაქალაქს უწოდებდნენ მაშინ რუსული სახელწოდებით, არც რაიმე გავლა-გამოვლის პროგრამით [illegible], არამედ იმოგზაურა საკუთარი გადაწყვეტილებით. მოგზაურობა კი წყლითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმელეთით იყო ხანგრძლივი, მძიმე და ავანტიურისტული. მისთვის ეს სარგებლიანი გამოდგა. შეუდარებელი ინტელიგენციის ვნებითა და ენათმცოდნეობით, რაც მას გააჩნდა, შეძლო მან კავკასიის ამ ქვეყანაში თანამედროვეების მოხიბვლა.

ის დაიბადა 1744 წლის 28 ნოემბერს ქ. [illegible] მანსფელდის ქრისტიან რუდოლფ ელიხის სახელით, როგორც იგი აისლებენში მონათლეს. რადგან მამა ელიხს, მისი გვარი სასაცილოდ ეჩვენებოდა, რადგან გვარს მიიჩნევდა 'დაქორწინების გარეშე' გაჩენილს, - ჯერ დატოვა მან ოჯახით აისლებენი და შემდეგ ოჯახიც. ვაჟიშვილმა კი შემდეგ მიიღო ეს სახელი. ( ნიშნავს "დაქორწინებულებში დაბადებული", ე.ი. "კანონიერი შვილი". ვ.ი.).

მას უნდა ესწავლა მამამისის ხელობითა – დალაქობა –, რაც მაშინ არა მარტო წვერულვაშის გაპარსვას ნიშნავდა, არამედ მდაბიო ქირურგიულ საქმიანობასაც, რომლისთვისაც სწავლული ექიმები თავს არ იდაბლებდნენ. რადგან ელიხი ინტელიგენტი იყო და რაიმე უკეთესი სურდა გამხდარიყო, დაიწყო დიდი მონდომებით მედიცინის სწავლა პროფესორ ანტონ რიუდიგერთან, ლაიპციგში, როგორც "დამხმარე-მუხრუჯი", უნივერსიტეტის ფარგლებით რომ ვთქვათ. რიუდიგერი აწარმოებს ცდებს ოქროს მიღების მიზნით, რის შედეგად ელიხისათვისაც ალქიმია გახდება მოუშორებელი საგანი მთელი ათი წლის განმავლობაში, რომლის დროს ის ისევ-და-ისევ ამყარებს კონტაქტებს ოქროს მქმნელებთან [illegible] ჯგუფებთან. [illegible], ის წყვეტს სწავლას, [illegible] მოძრავ დასთან ტურნეებში, ჩნდება ისევ ლაიპციგში, სადაც მას პიესები [illegible] და [illegible] ვენაში, სადაც ის ბურგ-თეატრის ინსპექტორი ხდება. იქ გაიცნობს ის გრაფ იოჰან კოჰარის, უნგრელ მაგნატს, რომლის ხელმძღვანელობის ქვეშაა ვენის თეატრები.

ელიხი ისევ დადის მოხეტიალე დასებთან და მუშაობს როგორც [illegible]ქმედი ექიმი მოქალაქეთა საავადმყოფოში. იქ მას აქვს ბედნიერება თავად-ქალ ლიხტენშტაინის მეუღლე განუკურნებელი ავადმყოფობისაგან განკურნოს, რის შედეგად იგი თავად-ქალისაგან მიიღებს სტიპენდიას.

1773 წელს ის ხდება ნაგისზომბატის უნგრული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორი, და ის უკვე უწოდებს თავისთავს არა ელიხს, არამედ დოქტორ რაინეგს, რასაც ზოგჯერ არისტოკრატიულ წოდებასაც უმატებს. და მისი სადოქტორო დისერტაციის თემით ეგზემპლიარს ანაწილებს აისლებენში.

ქალაქ შემნიცის(უნგრეთი) აკადემიაში ხდება იგი პრაქტიკანტი. ამ დროს ვენაში კოჰარი გაკოტრდება და მარია ტერეზია აგზავნის მას ერთ უნგრულ სამფლობელოებში. როგორც ეს შემთხვევას სურს, კოჰარის მამულები ახლოსაა შემნიცთან, რის შედეგად ძველი ნაცნობობა განახლდება, და როცა სასამართლოები კვლავ კოჰარის ემუქრებიან, გადაწყვეტს ისა და რაინეგი იმოგზაურონ ორიენტში.

მარშრუტად აირჩიეს ვენეციიდან სმირნა და სმირნიდან კონსტანტინოპოლი, სადაც კოჰარის ვექსილი ყალბი გამოდგა, რომლითაც შემდგომში ხარჯები უნდა ყოფილიყო დაფარული. თუ რაინეგსი მანამდე კოჰარის ხარჯზე ცხოვრობდა, ახლა იგი დაეყრდნო მხოლოდ რაინეგსის ნიჭს. მართლაც, რაინეგსმა შეძლო კონსტანტინოპოლში,- ორიენტში ასე დიდად დაფასებული ევროპული ექიმის ხელოვნებითა და მისი მომხიბვლელი ხასიათით შეგუებოდა ყოველთვის საჭირო პირებს, რომ ფული და სარეკომენდაციო წერილები ჩაეგდო ხელში. და შემდეგ ამყარებს პირველ კონტაქტს საქართველოსთან, რომელიც მანამდე მის პროგრამაში არ შედიოდა. თურქეთის ქალაქ ტოკატში მოარჩენს რაინეგსი ქართველ ელჩს, რომელიც კარგად არ გრძნობდა თავს, და მალე მიიღებს იგი მიწვევას მეფე ერეკლე II-სთან.

საქართველო იყო ერთი ძველი ქრისტიანული სამეფო. მის მოსახლეობას ჰქონდა სიმპატიური წინაინდუსტრიული მიდგომა [illegible] შენარჩუნებული; ისინი [illegible] გარეშე, უყვარდათ ამა-ჯაბა, სძულდათ დისციპლინა.

[illegible] ერეკლე II-ე იყო არა მარტო კარგი მეომარი, არამედ [illegible] პოლიტიკოსი, რომელსაც [illegible] სურდა. მან [illegible] 12-15 საუკუნეებში; ეს იყო [illegible]; [illegible]:"[illegible]".

ამბიციანი, როგორიც იყო რაინეგსი, ამბიციური და ცინიკით, ესაბამებოდა მეფის სურვილს. რაინეგს უკვე მაშინ აღარ დაჭირდა ადამიანების მფარველო-ბა; ის ჩაება აგრეთვე ინდუსტრიის, ეკონომიკის და პოლიტიკის საქმეებში. მისი ჩვეული თავდაჯერებით მოგვითხრობს რაინეგსი:

"მე ვასწავლე ამ ერს უკეთესი გამოღნობა ფერადი ლითონებისა, რომელიც ამ ქვეყანაში მომჭირნეობით არ არის მოსაპოვებელი; მე ვასწავლე მათ რკინის გამოღნობა, ავუშენე ღუმელები, ფოლადისა და რკინის ფაბრიკები; რკინის ზარბაზნები, რომელიც მანამდე დიდი ხარჯითა და ... უნდა ყოფილიყო შე-მოტანილი რუსეთიდან; ჩემი მეთვალყურეობით და ამ ერის კეთილშობილთა და-ხმარებით, ჩამოვასხით, გავბურღეთ და გავმართეთ მოსაკლავად.

წამალი, ყველაზე უფრო ძვირი ამ ქვეყანაში, ჩემი მეთვალყურეობით დავა-მზადეთ; მე ვასწავლე მათ მისი დამზადება ევროპული წესით, ყოველდღიუ-რად, ნაკლები ხარჯით ბევრი დაამზადეს, და ამისათვის ავაშენე მშვენიერი და დიდი წამლის წისქვილები და საწყობები, რომელთა წინ ჩემი სახელი და სხვა წარწერა სპარსულად მარმარილოზე იყო ამოკვეთილი".

და ყველაფერი ეს მოხდა სამ წელიწადში, 1778-1781 წლებში. შემდეგ, რო-გორც ჩანს, მოწყინდა მას. სამეფო სახელმწიფოს შინაგანი პოლიტიკა უკვე მას აღარ აკმაყოფილებდა, როცა მან იმის ნიშანი დაინახა, მომავალი დიდი სა-ხელმწიფოს - ეკატერინე მეორის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ჩარეულიყო. მან დატოვა საქართველო, მივიდა პეტერბურგში - და დაბრუნდა ისევ როგორც რუსეთის აგენტი. მან გამოიყენა ერეკლე მეორეს ბედობა, და როცა მეფე პოლიტი-კურ და ფსიქოლოგიურ მძიმე მდგომარეობაში იყო, - თავზე მოახვია ხელშეკრუ-ლება რუსეთთან, რომლშიც რუსეთმა საქართველოს ძმური დახმარება შესთავაზა თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ.

ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1783 წელს გეორგიევსკში. ორი წლის შემ-დეგ წავიდა გენერალი პოტიომკინი, ახალი გაყვანილი გზით კავკასიის ქედზე, საქართველოს დედაქალაქში, რომ ხელშეკრულება ყოფილიყო რატიფიცირებული. მაგრამ 1795 წელს, როცა სპარსეთი საქართველოს თავს დაესხა, რუსეთი არ დაეხმარებია საქართველოს. 1801 წელს კი შეწყდა საქართველოს ავტონომიური სახე-ლმწიფოებრიობა; რუსეთმა შეიერთა იგი როგორც პროვინცია.

მაშინ რაინეგსი უკვე მკვდარი იყო. 1793 წლის 10 მარტს გარდაიცვალა იგი, ოპიუმის გადაჭარბებული მიღებით, ორმოცდა-ცხრა წლის ასაკში. რუსეთ-მა დიდად დააფასა მისი დიპლომატიური სამსახური: ის იყო პეტერბურგის სასწავლომომქმედი ექიმების აკადემიის დირექტორი და მეცნიერულ ექიმთა სა-ზოგადოების მდივანი."

IV.

აი, სრული ტექსტი დოკუმენტისა, რომელიც გამოქვეყნებულია ჩაინერ მეცოს მიერ "საარბრიუკერ ცაიტუნგის" 1982 წლის 15-16 მაისის ნომერში, და რო-მელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ დოქტორ რაინეგსმა, გერმანელმა ექიმმა, რომე-ლიც რუსეთის აგენტი იყო, თავს მოახვია ერეკლე მეორეს 1783 წლის ე.წ.-ლი "გეორგიევსკის ტრაქტატის" დადება ეკატერინე მეორის რუსეთთან. რა თქმა უნდა, ეს საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ სა-ქართველოში დღემდე არ შეუწყვეტია კამათი გეორგიევსკის ტრაქტატის მომხ-რეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, რადგან ჩვენთვის, სამართლიანად, სა-ქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის დაკარგვა, ე.ი. საქართველოს სახელმწი-ფოს გაქრობა საერთაშორისო მასშტაბით, როგორც საერთაშორისო სამართლის სუ-ბიექტისა უფრო მეტი და გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე "დადებითი მხარეები" გეორგიევსკის ტრაქტატისა, თუ მას ასეთი დადებითი მხარეები სა-ერთოდ გააჩნია.

V.

საქმე ისაა, რომ სწორედ იმ ხანაში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1776 წლის 4 ივლისს "დამოუკიდებლობის აქტი" გამოაცხადა და თვით ბრიტა-ნეთისაგან თავი გაითავისუფლა, აგრეთვე იმ ხანაში, როცა 1789 წელს, საფრან-გეთის დიდმა რევოლუციამ, 14 ივლის, ქვეყნიერებას აუწყა "თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის" საერთაშორისო ფასეულობა, სწორედ იმ დროს, როცა განმანათლებლობის იდეა ბრწყინავდა მთელ ევროპაში და ამით საქართველოშიც, - სწორედ ამ დროს მეფე ერეკლე მეორე დაადგა რუსეთისკენ გზას, როცა აირჩია რუსეთის "მფარველობა", ნაცვლად მისი "პროტექტორატი" საქართველოს სამე-

ვოზე, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოს ისედაც გამწვავებული ურთიერთობა სპარსეთთან და თურქეთთან.

VI.

და ყველა ამ პირობებში, ვითომ, გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დოქტორ რაინეგსმა, როგორც ეკატერინე მეორე აგენტმა საქართველოში. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების საქმეში?.. ეს საკითხი გარკვევას მოით-ხოვს იმიტომაც, რომ გავერკვეთ საქართველოს ამ დამოუკიდებელი და სუვერე-ნული სახელმწიფოს დღევანდელ მდგომარეობაში:

VII.

ვითომ დღეს ჩვენ ვიცით რამდენი "დოქტორ რაინეგსი" მოქმედებენ საქართვე-ლოში საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისევ აღორძინების წინააღმდეგ?.. თუ დღეს "დოქტორ რაინეგსები" უფრო ქართველთმოძულეები უცხოელებშია საძე-ბარი?..

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1995 წლის 21 სექტემბერი



# ეროვნული ჰიმნი

დ ი დ ე ბ ა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

Nr. 113 — Samstag/Sonntag, 15./16. Mai 1982 **Feuilleton** Saarbrücker Zeitung — Seite I

# Erster Deutscher in Georgien

## Vor 200 Jahren: Das abenteuerliche Leben des Dr. Reineggs — Von Rainer Petto

Der erste Deutsche, der nach Georgien kam, war, um es gleich zu sagen, kein Saarländer. Die recht zweifelhafte Ehre, ihn zu den Ihren zählen zu können, kommt den Sachsen zu. Der Mann kam nicht als Mitglied einer Delegation nach Teflis, wie er die georgische Hauptstadt nach ihrer russischen Bezeichnung nannte, er profitierte von keinem Austauschprogramm, sondern reiste auf eigene Faust. Die Reise, zu Wasser und zu Land, war lang, beschwerlich und abenteuerlich. Für ihn hat es sich gelohnt. Mit den Kenntnissen und Fähigkeiten, die ihm die mitteleuropäische Zivilisation an die Hand gegeben hatte, konnte er in dem Land am Kaukasus Eindruck machen.

Er wurde am 28. November 1744 auf den Namen seines Vaters Christian Rudolph Ehlich in Eisleben getauft. Weil der alte Ehlich, seinem Familiennamen zum Hohn, einen unausrottbaren Hang zum Außerehelichen hatte, verließ zunächst die Familie die Stadt und dann der Vater die Familie. Der Sohn hat sich des Namens später entledigt.

Er muß das Handwerk seines Vaters lernen, Barbier, was aber nicht nur Bartscheren bedeutete, sondern auch die Ausübung der niederen Chirurgie, für die sich die studierten Ärzte damals noch zu fein waren. Da Ehlich intelligent ist und gern etwas Besseres wäre, beginnt er in Leipzig mit viel Fleiß Medizin zu studieren. Bei Prof. Anton Rüdiger wird er das, was man heute im Uni-Jargon Hilfsbremser nennt. Sein Chef versucht sich im Goldmachen, die Alchimie wird auch Ehlich die nächsten zehn Jahre nicht loslassen, er sucht immer wieder Kontakt zur Geheimgesellschaft der Gold- und Rosenkreuzer.

Sein Studium in Leipzig bricht er aus undurchsichtigen Gründen ab, tingelt mit einer Wanderbühne durch Böhmen, wird, wieder in Leipzig, von der Polizei gesucht und landet schließlich als Statist am Burgtheater in Wien. Dort lernt er den Grafen Johann Kohary kennen, einen ungarischen Magnaten, dem seit 1770 die Wiener Bühnen unterstehen.

Ehlich besucht nun wieder eifrig Vorlesungen und arbeitet als Wundarzt im Bürgerhospital. Dort hat er das Glück, den Hofkutscher der Fürstin Liechtenstein von einer als unheilbar geltenden Krankheit zu heilen und von der Fürstin ein Stipendium ausgesetzt zu bekommen.

1773 wird er von der ärztlichen Fakultät der ungarischen Universität Nagyszombat zum Doktor gemacht, und er nennt sich jetzt nicht mehr Ehlich, sondern Dr. Reineggs, gelegentlich legt er sich auch noch einen Adelstitel zu.

läßt er in Eisleben ein Dutzend Exemplare seiner Doktorarbeit verteilen.



JAKOB REINEGGS, der erste Deutsche, über dessen Aufenthalt in Georgien berichtet wird.

An der Bergakademie in Schemnitz (Ungarn) erhält er die Stelle eines Praktikanten. Zu dieser Zeit geht Kohary in Wien bankrott und wird von Maria Theresia auf seine ungarischen Besitzungen verwiesen. Wie es der Zufall will, liegen diese in der Nähe von Schemnitz, die alte Bekanntschaft wird erneuert, und als die Gerichte dem Grafen zusetzen, entschließen er und Reineggs sich zu einer Reise in den Orient.

Die Route führt über Venedig nach Smyrna und von Smyrna nach Konstantinopel. Dort platzt Koharys Wechsel, von dem die weitere Reise bezahlt werden sollte. Ist Reineggs bis dahin Koharys Kostgänger gewesen, so verläßt sich der nun auf die Talente seines Begleiters.

Tatsächlich gelingt es Reineggs in Konstantinopel, durch seine im Orient hochgeschätzte europäische Arztkunst und durch seinen festen Willen zur Anpassung an die jeweils entscheidenden Leute, zu Geld und zu Empfehlungsschreiben zu kommen. Und dann wird der erste Kontakt zu Georgien hergestellt, das bis dahin gar nicht sein Reiseziel war. In der türkischen Stadt Tokat stellt Reineggs einen georgischen Gesandten, der sich unpäßlich fühlt, wieder her, und bald erhält er eine Einladung von König Irakli II.

Georgien war ein altes christliches Königreich. Die Einwohner hatten sich eine sympathische vorindustrielle Einstellung zur Arbeit bewahrt, sie ernteten, ohne zu säen, liebten das Essen und Trinken, verabscheuten die Disziplin. Irakli II. aber war nicht nur ein heldenhafter Krieger, sondern auch ein dynamischer Politiker, der aus seinem Land etwas machen wollte. Er brachte sein Königreich zu einer solchen Blüte, wie es sie seit den goldenen Zeiten der Königin Tamara im 12./13. Jahrhundert nicht mehr erlebt hatte, eine Leistung, die auch in Europa anerkannt wurde; denn Friedrich dem Großen wird der Ausspruch zugeschrieben: „Was ich in Europa bin, das ist der unbesiegbare Irakli in Asien."

Ein Mann wie Reineggs, mit Ehrgeiz und Know-how, kam dem georgischen König gerade recht. Der braucht sich bald nicht mehr nur mit Kranken abzugeben, er kümmert sich auch um Industrie, Wirtschaft und Politik. In der ihm eigenen Bescheidenheit berichtet Reineggs:

*„Ich lehrte diese Nation eine bessere Schmelzung ihrer edeln Metalle, die hier im Lande nicht sparsam ausgestreuet sind; ich lehrte sie den Guß des Eisens, richtete ihnen Öfen, Stahl- und Eisenfabriken auf; eiserne Kanonen, die man vorher mit vielen Unkosten und Mühe aus Rußland bringen mußte, wurden unter meiner Aufsicht und mit Hülfe der Edeln dieser Nation gegossen, gebohrt und zum tödten tüchtig gemacht.*

*Das Pulver, die theuerste Rubrique dieses Landes, wurde unter meiner Aufsicht gemein; denn ich lehrte sie die Bereitung auf europäische Art, täglich mit wenigern Unkosten viel zu bereiten, und richtete ihnen dieserhalb schöne und große Pulvermühlen und Magazine auf, über deren Frontispice mein Name und andere Elogien persianisch in Marmor gegraben stehen."*

Das alles geschah innerhalb drei Jahren, zwischen 1778 und 1781. Dann muß es ihm zu langweilig geworden sein. Die Innenpolitik eines mittleren Königreiches genügte ihm nicht mehr, als er die Chance sah, in der Außenpolitik einer kommenden Großmacht, dem Rußland Katharinas II., mitzumischen. Er verließ Georgien, ging nach Petersburg — und kam wieder als russischer Agent. Er benutzte Iraklis Vertrauen, ihm, der sich in einem politischen und psychologischen Tief befand, einen Vertrag mit Rußland aufzuschwatzen, in dem es Georgien seine brüderliche Hilfe gegen die Türken und Perser versprach.

Der Vertrag wurde 1783 in Georgiewsk unterzeichnet. Zwei Jahre später fuhr General Potemkin auf einer neuangelegten Chaussee über den Kaukasus in die georgische Hauptstadt, um den Vertrag ratifizieren zu lassen. Aber als im Jahre 1795 Persien das Land überfiel, blieb die russische Hilfe aus. 1801 dann hörte das autonome Georgien auf zu existieren, Rußland verleibte es sich als Provinz ein.

Da war Reineggs schon tot. Am 10. März 1793 war er, dessen Körper durch den unmäßigen Gebrauch von Opium gelitten hatte, im Alter von neunundvierzig Jahren in Petersburg gestorben. Rußland hatte seine diplomatischen Dienste gut honoriert: Er war Direktor der Petersburger Akademie für Wundärzte und Sekretär der wissenschaftlichen Ärztegesellschaft.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 'რუსეთის სიდიდე, რუსეთის უბედურებაა?..'

(ა ნ ა ლ ი ზ ი)

1.

'რუსეთის სიდიდე, რუსეთის უბედურება' – ასეთ სათაურს აძლევს თავის კომენტარს გერმანელი მიმომხილველი ვოლფგანგ კოილი, რომლის ამ გამონათქვამს ჩვენ კითხვის ქვეშ ვაყენებთ: მართლა რუსეთის სიდიდე, რუსეთის უბედურებაა?..

2.

'მიხეილ გორბაჩოვის დამსახურებაა, – განაგრძობს ვოლფგანგ კოილი, – საბჭოთა იმპერიის დემონტაჟი. ბორის ელცინის დამსახურებაა საბჭოთა კავშირის დანგრევა. და შეიძლება ჩეჩნეთის სახელმწიფოს მეთაურის ჯოხარ დუდაევის სახელთან მომავალში დაკავშირებულ იქნება რუსეთის დასახრული როგორც მრავალეროვანი ქვეყნისა. რადგან რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის შიში, რომ კავკასიის პატარა რესპუბლიკისაგან იქმნება საშიშროება დიდი რუსეთისათვის, აბსურდული არ არის მოსკოვის მხრიდან. თუ ჩეჩნებს შეუძლიათ რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლა, ხვალ მათ წაბაძავენ ბაშკირები და ზეგ იაკუტები. იმპერიის ქსოვილი თანდათანობით ისე დაიხსნებოდა, როგორც ფუფაიკა: ეს იქნებოდა არა მარტო ლოგიკური, არამედ მისასალმებელი განვითარება, თვით რუსი ერისათვის განსაკუთრებით. რადგან რუსეთის სიდიდე იყო ყოველთვის რუსეთის უბედურება. გარეგან გაფართოებასა და შინაგან დესპოტიას შორის არსებობდა ყოველთვის მჭიდრო კავშირი. მხოლოდ რკინისებურ ჯიხს შეეძლო ამ გაბერილი იმპერიის ცენტრიდანული ნაწილების ერთმანეთთან შეჩერება.'

3.

'ეს მდგომარეობა არ შეცვლილა ბორის ელცინის რუსეთშიც, რომლის დროს გროზნოში შეჭრას აცილებს, ხრულიად ჩვეულებრივად, კონტროლისა და ცენზურის გაძლიერება მთელს ქვეყანაში.'

4.

მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლიდან წარმომდგარი რუსეთის ფედერაცია მაინც დიდია; მისი ტერიტორია ორჯერ მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა. ბალტიელების, კავკასიელებისა და ცენტრალური აზიელების განთავისუფლების შემდეგაც, მოსკოვი ბატონობს ასზე-მეტ სხვადასხვა ეროვნებებსა და ხალხებზე; მათ შორისაა ხუთი მილიონი თათრები, რომლებიც წინათ რუსეთის ბატონები იყვნენ; ახევე ნგანაზების ტომს, რომელთა რაოდენობა ციმბირში ათას სულს თუ შეიცავს და ისევე დაპყრობილ იქნენ რუსეთისაგან ერთი საუკუნის წინათ; ჩეჩნებისა და მისი კავკასიელი ძმების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაზე რომ არაფერი ვთქვათ.'

5.

'რაც მოსკოვის თავადები მე-15 საუკუნიდან 'რუსეთის მიწების თავმოყრით' დაიწყეს, მაშინვე გამოიწვია უცხო ხალხების დაპყრობა – დაწყებული თათართა ყაზანიდან ვოლგაზე დამთავრებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკამდე-მდინარე ელბაზე. მართალია, დასაწყისში არსებობდა ექსპანსიის მიზეზები: გეოგრაფია, კლიმატიური პირობები და გეოპოლიტიკური მდგომარეობა. მოსკოვისა და შემდეგ რუსეთის სახელმწიფო არ ყოფილა მთებითა და მდინარეებით ბუნებრივად შემოფარგლული და მზარდი მოსახლეობა უნდა გამოეკვება სუბარქტიკულ კლიმატიურ პირობებში. ამასთანავე, რუსეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა გარშემორტყმული იყო ძლიერი მეზობელი სახელმწიფოებით. მე-15 საუკუნეში, მოსკოვის სამთავროს საზღვრები იყო 3.000-სი კილომეტრი, რომლის გარღვევა შეეძლო პოლონელებს, თათრებს, გერმანელ 'ორდენის რაინდებს' თუ ლიტველებს.'

6.

'ეს ორმაგი ულიმესი სიძნელის გარღვევა – თავდაცვა და კოლონიზაცია ახალი, ნოყიერი მიწებისა – მოითხოვდა მის საფასურს: ყოვლისშემძლე ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ ადამიანთა მჭიდრო რეზერვები პლანომიერული ამოცანების განხორციელებისათვის გამოეყენებიათ იძულებით, რასაც მოყვა ყოველგვარი ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლების სრულიად ჩახშობა. ბევრი რუსი უყურებს დღესაც დესპოტიას როგორც ღვთისაგან ბოძებულ ბედს და მზად არიან იმეორონ მოსკოვის, ივანე მრისხანეს-ერთიანელი ავტორის – ივან პერესვეტოვის – ფრაზით: 'როგორც ცხენი აღვირის გარეშე არის სახელმწიფო სისასტიკის გარეშე'.

7.

'მაგრამ ამასობაში მზარდ უმცირესობამ შეიცნო ფატალური ურთიერთ კავშირი რუსეთის ტერიტორიალურ გაფართოებასა და დიქტატურას შორის. ამ მცირე, მაგრამ გათვითცნობიერებულ ჯგუფს კარგად ესმის საბედისწერო კავშირი ტერიტორიალურ უსაზღვრობასა და დიქტატურას შორის, რაც ხელს უშლის ბიურგერული (ბურჟუაზიული) საზოგადოების ჩამოყალიბებას და რაც ტრაგედიაა რუსეთისათვის. რაც რუსეთის იმპერიაზე ითქვა ("რუსეთი დიდია და ცარი შორს") და ბოლშევიკებზე ითქვეს ("პოლიტბიუროს ძალაუფლება მთავრდება მოსკოვის ავტოსტრადის რკალთან"), შეიძლება ითქვას აგრეთვე ბორის ელცინისა და მისი გუბერნატორების შესახებ, რომლებიც გაგზავნილია პროვინციებში სამეთვალყურეოდ. ერთი კონტ_ინენტალური ძალა, რომელით ნახევარ გლობუსს მოიცავს, შეუძლებელია იმართოს ერთი ყოვლისშემძლე ცენტრიდან, თუ არა ძალადობით, უკანონოდ, განუკითხავად და კორუფციით. კიდევ ერთი არსებითი მომენტი ემატება ამას: საბჭოთა კავშირის დასასრულის შემდეგ, რუსეთის სიდიდემაც აღკვეთა მისი ინტეგრაცია როგორც ევროპის კავშირში, ისევე ნატოში. ჩეჩნეთმა შეიძლება რუსეთის ბედი მომავალ ათეულ წლებში განსაზღვროს: თუ ეს კავკასიის სახელმწიფო ძალით იქნება დაბრუნებული რუსეთში, მაშინ რუსეთი მოექცევა წარსულის შაბლონში. ეს იქნებოდა უბედურება რუსეთის, ევროპისა და მსოფლიოსათვის.

ალტერნატივა იქნებოდა ერთი ახალი, ნამდვილი რუსეთი, რომელიც ფედერაციულად არის შექმნილი. რა თქმა უნდა, ყველა ეროვნება არ შეეძლებოდა დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე თავისი საკუთარი სუვერენული სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ მათ უნდა მიიღონ მეტი უფლებები, ვიდრე დღემდე გააჩნდათ. ეს აქცევს თავისთავში ფინანსიურ უზენაესობას და დამოუკიდებლად ინვესტორების შემოყვანას ქვეყანაში. ამგვარი "ფედერაციული რესპუბლიკა რუსეთი" არ უნდა იქნას განსაზღვრული ეთნიკურად. ბაშკირეთისა და კარელიის პარლამენტის გვერდით, უნდა არსებობდეს რუსული ურალის ან-შორეული აღმოსავლეთის პარლამენტები საკუთარი უფლებებით. ეს იქნებოდა ყველაზე უფრო რადიკალური ჩამოშორება რუსეთის ისტორიიდან. მაგრამ ეს იქნებოდა კარგი თვით რუსეთისა და მსოფლიოსათვის, - დასძენს ვოლფგანგ კოიდლი თავის კომენტარში სათაურით -"რუსეთის სიდიდე, რუსეთის უბედურება", რომელიცგამოქვეყნებულია 1994 წლის 29 დეკემბრის, დიდ გერმანულ გაზეთში "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგში".

8.

საეჭვოა, რომ - როგორც ვოლფგანგ კლოიდლი ამბობს - "...ამასობაში რუსების მზარდმა უმცირესობამ შეიცნო ფატალური ურთიერთკავშირი რუსეთის ტერიტორიულ გაფართოებასა და დიქტატურას შორის", რაც ხელს უშლის ბიურგერული საზოგადოების შექმნას, რაც - თავის მხრივ - ტრაგედიაა რუსეთისათვის. ჩეჩნეთის მაგალითზე რომ შევჩერდეთ, რუსების მცირე ნაწილი, მართალია, გმობს <u>ომის</u> წარმოებას ჩეჩნეთში, მაგრამ არა ჩეჩნების <u>დაპყრობას</u>. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი - ბილ კლინტონი - კი ამბობს, რომ "ელცინის ომი ჩეჩნეთში არის რუსეთის შინაგანი საქმე", რასაც იზიარებს თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურობა მსოფლიოში, თვით საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ჩათვლით, რაც ჩვენ ცნებათა აღრევად გვესახება; და, აი, რატომ?..

9.

რუსეთის ფედერაცია ამჟამად, როგორც ცნობილია, შედგება სულ 68 რეგიონისა და 21 რესპუბლიკისაგან. თუ ამ 68 რეგიონის მოსახლეობა უმთავრესად რუსები ან არეულ ეროვნებათა ერთეულებია, რესპუბლიკების მოსახლეობა, მეტ-ნაკლებად, კომპაქტურად დასახლებული ე.წ-ლი "ეროვნული უმცირესობებია", რომელთაც რუსის ერთან არავითარი საერთო არ აქვთ ეთნოლოგიურად. აქ უკვე საკითხი დგას რა არის ერი, ეროვნება, ტომი თუ გვარი, და ვის უნდა ჰქონდეს უფლება გახდეს დამოუკიდებელი და <u>სუვერენული სახელმწიფო</u>, <u>ადმინისტრაციული თვითმართველობა</u> თუ <u>კულტურული ავტონომია</u>.

10.

"<u>მსოფლიოში არსებობს სამი-ათასზე მეტი ეთნიკური დაჯგუფება და ორასამდე სახელმწიფო. ყველა რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს - ეს იქნებოდა კიდევ მეტი უბედურება, ვიდრე ყველა თანამედროვე იარაღის გამოყენებაო</u>", - განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა        რიუემ, რასაც ძნელია არ დაეთანხმო. მაგრამ სად უნდა იქნას გავლებული ზღვარი სუვერენულ და არასუვერენულ ერებს, ეროვნებებსა და ტომებს შორის? - ჩვენი აზრით, ყოველი ერი უნდა იყოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, თუ ერის რიცხობრივ და გეოპოლიტიკურ რაობასაც აქცევს თავისთავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.

ქართველ ერს, მაგალითად, უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოებიობა იმიტომ, რომ ჩვენი ერი, როგორც ყოველი დიდი თუ პატარა ერი, აკმაყოფილებს ერის ცნების ყველა მოთხოვნას თვით გეოპოლიტიკურადაც, რადგან საქართველო ტერიტორიალურად შემოფარგლულია ჩრდილოეთით და სამხრეთით დიდი და პატარა კავკასიის მთებით, დასავლეთით შავი ზღვით, და მხოლოდ აღმოსავლეთით ღია საზღვარი დღეს აზერბაიჯანის მხრიდან, სადაც – არც ისე შორეულ წარსულში – ცხოვრობდა ჩვენი მონათესავე, სულ ცოტა კულტურულად, რომელსაც ქართულ ანბანის-მსგავსი ანბანი გააჩნდა და "ჩვენს თვალწინ" გაქრა, მოისპო, ე.ი. გაითქვიფა უმთავრესად აზერბაიჯანელებსა და ქართველებში. ამ ისტორიულ ფაქტში მოსჩანს აგრეთვე ერის ბედი თუ უბედობა, თუ იგი მისი მეობის შენარჩუნებისათვის განუწყვეტლივ არ იბრძვის და მის გეოპოლიტიკურ მეობასაც არ იცავს. ამით — იმის თქმა გვსურს ჩვენ, რომ საქართველოს სახელმწიფოსათვის რომელიმე გეოპოლიტიკურად შემოფარგლული ნაწილის მიტაცება რომელიმე მოსაზღვრე სახელმწიფოს მიერ, რომლის მცდელობებს დღეს აქვს ადგილი საქართველოში აფხაზი და ოსი ექსტრემისტებისა და მათი დამცველების მიერ, მთელი საქართველოს, როგორც ერის, როგორც სახელმწიფოს განადგურებისაკენაა მიმართული; და ამ გზას ადგია დღესაც ბორის ელცინის რუსეთი, რომლის დროს რუსეთი ცდილობს დაანგრიოს საქართველოს გეოპოლიტიკური მთლიანობა, რის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს არა მარტო სოჭისა და მისი რეგიონის წართმევა, როცა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს, არამედ დღესაც, როცა – აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით – იარაღის ძალით დაიპყრო ჩვენი აფხაზეთი, ხოლო ოსი ექსტრემისტების ნიღბით,- შიდა ქართლი და ამ ქართული ძირძველი მიწებიდან გამორეკა სამა-ათასზე მეტი ქართველობა, ე.ი. საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მცირერიცხოვანმა ოსმა ექსტრემისტებმა და ჩვენი ძმების – აფხაზების მცირერიცხოვანმა ექსტრემისტებმა, რუსეთის სამხედრო ძალით მეშველობით, ჩაიდინეს გენოსიდი საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელი ერის ქართველობის წინააღმდეგ, რამიც მღანვდება დიდმპყრობელ-შოვინისტების ორპირი პოლიტიკა: რუსეთში ცეცხლითა და მახვილით სპობს იმ ერების თავისუფლებისაკენ მისწრაფებას, რომლებსაც არავითარი ეთნიკური კავშირი არ აქვს რუსის ერთან, ხოლო საქართველოში ჩვენს ძმებს ეთნიკურად ამხედრებენ ქართველი ერის, საქართველოს წინააღმდეგ, რომ საქართველო ისევ აქციოს რუსეთის პროვინციათ, ე.ი. შეუერთოს რუსეთის ისედაც კაბერილ ტერიტორიას, რომლის ერს, როგორც ავღნიშნეთ, გენოსიდიდანაც კი არ იხევს უკან.

12.

მაგრამ ამითაც არ მთავრდება დიდმპყრობელური პოლიტიკა რუსეთისა: რუსი ერის განსაზღვრული ნაწილი, შეიძლება დიდი უმრავლესობა, რაღაც რელიგიური მთაგონებით დარწმუნებულია, რომ ის 'მესამე რომია', რომელმაც მხოფლიო არა მარტო უნდა დაიპყროს ტერიტორიალურად, არამედ კაცობრიობა უნდა 'გადაარჩინოს', და ამგვარი ფანტაზიის წარმომადგენლად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუ გნებავთ, ვლადიმირ(თუ ეს სახელი 'დაიპყარი მსოფლიო' რად ღირს) ჟირინოვსკი, რომელსაც რუსეთის პარლამენტში დეპუტატების თითქმის ერთი მეოთხედი ჰყავს და ღიათ ამბობს, რუსმა სალდათებმა ინდოეთის ოკეანეში უნდა დაიბანოს ფეხები და იქიდან არასოდეს არ უნდა წამოვიდეს. აქ ერთი ეპიზოდი:

13.

ერთმა ჩვენმა თანამემამულემ – გიორგი მაღალაშვილმა –, რომელიც იმ დროს,როცა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში ქუთაისში ცხოვრობდა და ქუთაისელ ახალგაზრდებს ერთი რუსი ჯარისკაცი მოექცია მათ წრეში და გამუდმებით ეკითხებოდენ თუ რატომ დაიპყრო საქართველო, – ეს რუსი ჯარისკაცი, როგორც მან მოგვითხრო, თითქმის არც კი უგდებდა ყურს ჩვენს სასოწარკვეთილ შეკითხვებს, და ცოტა ხნის შემდეგ წყნარად თვითონ დაუსვა კითხვა ამ ქართველ ახალგაზრდებს:'დალეკო ლი ინდია?..'='შორს არის ინდოეთი?..' ამ უბრალო რუსმა ჯარისკაცმა ამით კვითხრა, რომ საქართველო რუსეთმა 'გზაზე დაიპყრო', გზაზე ინდოეთისაკენ!.. მოდი ახლა და შენ, ვოლფგანგ კლოიდივით, ასეთი ჯარისკაცი გადაიყვანე დემოკრატიის რელსებზე?!.. თუმცა აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ იმავე ვლადიმირ ჟირინოვსკის ალექსანდრე სოლჟენიცინმა 'ყველაზე უფრო მყრალი კარიკატურა უწოდა'. მაგრამ აქ ლაპარაკია არა მარტო ერთ ჟირინოვსკიზე, არამედ ჟირინოვსკებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, რუსი ინტელიგენციის დიდ, დიდ უმრავლესობას წარმოადგენს. აქ კიდევ ერთი მაგალითი:

14.

ახლახან გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე ჩვენი სახელოვანი თანამემამულის - ოთარ ჭილაძის - რომანის 'რკინის თეატრის' თარგმანი, რომლის შესავალში, სხვათა შორის, წერს:

'მეგობრობა, რომლითაც ჩვენ გვეფიცებოდნენ ჩვენი რუსი კოლეგები, ეყრდნობოდა ყოველთვის პოლიტიკურ საფუძველს. მათ არ გააჩნდათ არც იდეა და არც სურვილი იმისა, რომ წარმოედგინათ საქართველო როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. როცა სახაროვმა მონათლა საქართველო როგორც 'პატარა იმპერია', ამით მან შეგნებულად გააყალბა ჭეშმარიტება. სახაროვი შეეცადა დაერწმუნებინა ყველა, რომ აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორია დაპყრობილი იყო საქართველოს მიერ. დაწყებული ამ მომენტიდან, არც ჩვენ მეგობარ რუსებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ საქართველოს ისტორია და ხშირად ბოდიშს იხდიდნენ იმისათვის, რომ რუსეთმა ზიანი მიაყენა საქართველოს წარსულში, - ენა არ ამოუღიათ ჭეშმარიტების აღსადგენად. ჩვენ დიდხანს ვიყავით ერთად. ჩვენი მეგობრობა ძველია. ყველაზე უფრო სამარცხვინოა ის, რომ ეს რუსი მწერლები, რომლებიც ყოველთვის იბრძოდნენ დემოკრატიისათვის, აღმოჩნდნენ ჩვენს საწინააღმდეგო ბანაკში, ბარიკადების მეორე მხარეს. მე დავიცავი ეს შეხედულება სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ლიტერატურნაია გაზეტა-ში, მაგრამ როცა მდგომარეობა გაუარესდა და მთელი ქართული მოსახლეობა გამოყარეს აფხაზეთიდან, ვერც ერთმა რუსმა მწერალმა ვერ გაბედა პასუხი გაეცა ჩემთვის'. 'რუსებს არასოდეს არ დაუმალავს ეს. ისინი ღიად მხარს უჭერდნენ აფხაზებს, რომ გაეფართოებიათ, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიის დაპყრობით გასასვლელი შავ ზღვაზე. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ოფიციალურად მონათლა ეს კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტად. ამ თეზისმა კი უფრო დიდი გამოძახილი მოიპოვა დასავლეთში ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილის წყალობით'.

15.

და გერმანელი მიმომხილველის საგულისხმიერო ანალიზი -'რუსეთის სიდიდე, რუსეთის უბედურებაა' - არ არის თავისებური გადაგება მგელზე, რომ მან მგლობას თავი დაანებოს?.. გასაკვირია მხოლოდ რა სურთ იმ რუს მგლებს, რომლებიც სხვისი ტერიტორიების დაპყრობით ვერ ძღებიან, თუმცა რუსეთის დღევანდელი ტერიტორია მილიარდობით მოსახლეობას დაიტევდა? - ვითომ რუსი ადამიანის ბედნიერება ის არის თუ იგი საქართველოში თუ ინდოეთში ბატონობს?.. მთელი მსოფლიოც რომ დაიპყროს რუსეთმა - ამგვარი ფანტაზიაც რომ წარმოვიდგინოთ ჰიტლერივით -, მერმეთ რა?.. ვითომ რუსეთი, მისი დაახლოებით ასი მილიონი მოსახლეობით, შესძლებს ექვსი მილიარდი მსოფლიო მოსახლეობის თავის ბრძანებლობის ქვეშ მოქცევას?.. ამგვარმა ფანტაზიამ არ დაღუპა ჰიტლერი და მასთან ერთად მილიონობით ადამიანები?.. სად არის ჯანსაღი აზრი?.. სად არის გონიერება?.. რატომ არ სურს რუსეთს, რუსის ხალხს, რუსეთის ინტელიგენციას იცხოვროს და იმოღვაწეოს როგორც ისეთი შემოფარგლული სახელმწიფოს სფეროში, როგორიცაა ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი თუ იტალია?.. პირველ რომს ხომ მეორე რომის და ახლა მესამე რომსაც, ე.ი.მოსკოვსაც იგივე ბედი არ ეწია?.. მაშ, რატომ ცდილობს ბორის ელცინის რუსეთიც იმპერიის შექმნაში დაინახოს რუსი ერის ბედნიერება, რომლის ერომ ტერიტორიის მიტაცება, ისეთი პატარა სახელმწიფოებიდანაც კი როგორც საქართველოა, თითქოს რუსი ერის ბედნიერება იყო და თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს?..

16.

კითხვები, კითხვები და კიდევ კითხვები, რომლებზედაც გონიერი პასუხი მოსკოვიდან არ ისმის, რადგან დღევანდელი კრემლიც ისევე ეყრდნობა სამხედრო ძალას, როგორც ამას აკეთებდა ლენინ-სტალინი გასული 70 წლის განმავლობაში. კიდევ მეტი: სტალინმა მილიონობით ადამიანები შესწირა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში მოქცეული პატარა ერების შვილები, რომ ურალში შეექმნა სამხედრო ინდუსტრიის ბაზები, სამხედრო ინდუსტრიისა, რომელსაც დღეს კრემლი იყენებს სწორედ იმ პატარა ერებისა და ხალხების გასაჟლეტად, რომლების მამა-პაპებს სწორედ ეს ინდუსტრია ააგებინეს. რა თქმა უნდა, რუსეთმა, თავისი სიმრავლის გამო, ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო ამ სამხედრო ინდუსტრიის შექმნაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე მეტი კმაყოფილებაც გააჩინა იმით, რომ პატარა საქართველოს აფხაზეთი თუ შიდა ქართლი ჩამოაკლიჯო თუ მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხი გაჟლიტოს...და ყველაფერი ეს მოხდა და ხდება დღეს, მსოფლიო დემოკრატიული სახელმწიფოების თვალების წინ, თუმცა ჰიტლერი უკვე ნახევარი საუკუნეა აღგვილ იქნა პირისაგან მიწისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.

ამდენად, რუსეთის დანაშაულში არ დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს წინაშე თუ ჩეჩნების გაჟლეტაში, ვითომ ბრალი არ მიუძღვის ვაშინგტონს, პარიზს, ლონდონს თუ ბერლინს?.. განა ეს ე.წ-ლი'წამყვანი სახელმწიფოები', თავიანთი დუმილით თუ მორცხვი კრიტიკით, ხელს არ უწყობენ კრემლს განაგრძონ მგლური პოლიტიკა პატარა საქართველოს მიმართაც, რის გამო ერთმა პარიზის ჟურნალმა დაწერა:'დასავლეთი მოწმეა საქართველოს ნელი სიკვდილისა?!..'

18.

მაშ, სად უნდა ეძიოს დღეს ადამიანმა, პატარა ერმა, პატარა სახელმწიფომ სამართალი, სამართლიანობა?.. როგორც ჩანს, ერთადერთი გზა ისევ ის არის, რომ დამპყრობელს შევურიგდეთ, მის წინაშე დავიჩოქოთ და შენდობა, მოწყალება მოვთხოვოთ!.. აი, ასეთ პირობებშია დღეს საქართველო. თუ რამდენად შეგვიწყალებს საქართველოს, ქართველობას რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა, ეს დამოკიდებულია არა იმდენად ჩვენზე, რამდენადაც 'წარმყვანი სახელმწიფოები' ერთმანეთში მორიგდებიან მსოფლიოს ტერიტორიებისა და ამით ხალხების 'ზეგავლენის სფეროებად' დანაწილებაში, რასაც ეს 'ზე-სახელმწიფოები' ოფიციალურად კი არა საიდუმლოდ აგვარებენ ხოლმე, რომლის დროს ცალკეულმა დამოუკიდებელმა თუ დამოკიდებულმა ქვეყანამ თვითონ უნდა მიხვდეს თუ ვისი ლუკმაა იგი: საქართველო, როგორც ჩანს ვაშინგტონ-პარიზ-ლონდონის ლოცვა-კურთხევით რუსეთის გავლენის სფეროში უნდა იყოს, რაც რუსეთს იმის საშუალებას აძლევს ისე იმოქმედოს, როგორც მოიმოქმედა აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

19.

მაგრამ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ დიდი სახელმწიფოების ამგვარი საერთაშორისო პოლიტიკა 'არ ახალია - ძველია': ასეთი წესითა და რიგით ინაწილებდნენ ერთმანეთს შორის ტერიტორიებსა და ხალხებს რომისა და კართაგოს იმპერია, რასაც მოყვა - ჯერ - კართაგოს, ხოლო - შემდეგ - თვით რომის იმპერიის აღკვეთა პირისაგან მიწისა. მაგრამ მიუხედავათ ამგვარი ჭიუტი ისტორიული ფაქტისა, ყოველი ჯურის იმპერია ამგვარ გზაზე იდგა, სანამ არ დაინგრეოდა, როგორც ახლა,ჩვენს თვალწინ, საბჭოთა იმპერია დაინგრა. და რატომ უნდა მოვითხოვოთ, რომ პოსტბოლშევიზმი რუსეთში შემწყნარებლობის გზას, ე.ი.დემოკრატიულ გზას დაადგება,როცა მას მსოფლიოს დემოკრატიული ზე-სახელმწიფოები მხარს უჭერს - ღიათ თუ ფარულად - განაგრძნოს მეფის რუსეთისა და ბოლშევიზმის ნავალი პოლიტიკა პატარა ერების მიმართ?..

20.

და ერთადერთი გამოსავალი, როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, მაინც ის არ არის, რო ჩვენ ქართველებმა ისევ-და-ისევ საერთო ენა უნდა გამოვნახოთ ჩვენს ღია თუ ფარულ დამპყრობლებთან რუსებთან, რუსეთთან?..მის მოწყალებაზე არ ვართ ჩვენ დამოკიდებული, რომ,მაგალითად, სამასი-ათასი ქართველი დევნილი დავაბრუნოთ თავთავიანთ სახლ-კარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში?..

21.

რა თქმა უნდა, გერმანელი კომენტატორი - ვოლფგანგ კოილი - მართალია, რომ 'რუსეთის სიდიდე - რუსეთის უბედურებაა', მაგრამ არა მარტო თვით რუსებს არ ესმით ეს, არამედ მსოფლიოს დემოკრატიულ ზე-სახელმწიფოებსაც კი, რადგან ისინი - ღიათ თუ ფარულად - მხარს უჭერენ რუსეთის მტაცებლურ პოლიტიკას სხვა ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობაში?.. ხომ არ შეიძლება ვოლფგანგ კოილის აზრი ისედაც გავიგოთ, რომ ზე-სახელმწიფოები, დიდი ერები მიისწრაფვიან კიდევ უფრო მეტი სიდიდისაკენ, სანამ მას - პატარა ერები კი არა - თვით ისტორია არ დაასამარებს, როგორც ეს მოხდა რომის თუ კართაგენის შემთხვევაში?.. აქედან გამომდინარე, ზე-სახელმწიფოებიც, დიდი ერებიც ხომ არ არიან რაღაც ძალის გავლენის ქვეშ, რომლის კონტროლი თვით ამ ზე-სახელმწიფოებს, დიდ ერებსაც არ შეუძლიათ?.. ვითომ ასეთი ფატალური წესით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ისტორიული პროცესები, რომლის იძულებული ვართ პოლიტიკაშიც ერთი, შეუცნობელი კანონზომიერება ვაღიაროთ?.. თუ ქაოსსაც, თუ ზოგიერთთა შეხედულებას გავიზიარებთ, - გააჩნია კანონზომიერება, როცა ყოველი სახელმწიფო ბაყაყივით იბერება ხარი რომ გახდეს და შემდეგ სკდება, ისპობა?..

22.

დავბრუნდეთ დედამიწაზე: და ვიმოქმედოთ არა პესიმისტ, არამედ ოპტიმისტ ბაყაყივით: ორი ბაყაყი ჩავარდა რძის დიდ ბოჭკაში, საიდანაც ამოსვლა ვერ შეძლეს: პესიმისტმა ბაყაყმა ფარხმალი დაყარა, არაფერი გამოვაო, და დაიხრჩო. ოპტიმის

ჯმა ბაყაყმა კი თქვა, რომ რადგან მე სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლია, რაც ჩემში ხელგომლობს, ვიმოქმედებ ჩემი ჩვევების შესაბამისად და ვამოძრავებ ჩემს ფეხებს, ვიცურებ; და, მართლა, ბაყაყმა ფეხების მოძრაობით რძეში კარაქი შექმნა, დაჯდა მასზე და თავი ასე გადაირჩინა.

23.

და ჩვენც, ადამიანებს, კავშირობას - ზე-სახელმწიფოს თუ პატარა სახელმწიფოს მოქალაქეები, დიდი ერის თუ პატარა ერის შვილები ვართ - ვიმოქმედოთ ოპტიმისტ ბაყაყივით და 'ხელები გავანძრიოთ', რომ საქართველო, ქართველი ერი გადავარჩინოთ, როგორი რთული არ უნდა იყოს საქართველოს, ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მდგომარეობა ამჟამად. ღმერთმაც ხომ კაცს, რომელიც იხრჩობოდა, ჩამოსძახა: 'ხელები გაანძრიე და დაგეხმარებით!'

24.

ჩვენ, როგორც პატარა სახელმწიფოს, პატარა ერს არც იარაღის ძალა და არც მორალური ძალა არ გაგვაჩნია ზე-სახელმწიფოებს, დიდ ერებს ჭკუა ვასწავლოთ და მათ ჰუმანიტარული სული ვშთავბეროთ ჩვენს მიმართ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, დიპლომატიური გზით, მათგან იმდენი შეწყალება მივიღოთ, რომ საქართველო, ქართველი ერი ისევ აყვავების გზაზე დავაყენოთ, რადგან ზე-სახელმწიფოების ინტერესებშიც შედის პატარა ერების კეთილდღეობა, რადგან მათ - სხვა რომ თავი დავანებოთ - ბაზარი ესაჭიროებათ და ბაზრად მხოლოდ პატარა შეძლებული სახელმწიფოები გამოდგება.

25.

ყველა აქ აღნიშნულ და არ აღნიშნულ მომენტებს კი ვოლფგანგ კოიდლი არ ან ვერ ღებულობს მხედველობაში, როცა წერს, რომ 'რუსეთის სიდიდე, რუსეთის უბედურებაა!'

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1995 წლის 21 ივნისი

---

## რა ღირს ადამიანის სული?..

1.

გერმანიის დიდმა გაზეთმა -'ზიუდდოიჩე-ცაიტუნგმა' - 1995 წლის 18-19 თებერვლის ნომერში, გამოაქვეყნა რუსი სატირიკოსის - ვლადიმირ რეხნიჩენკოს სატირას - 'რა ღირს სულის' - გერმანული შემოკლებული თარგმანი. ავტორს ეს სატირა გამოუქვეყნებია 'ლიტერატურნაია გაზეტაში', რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის; და ამიტომ გაგაცნობთ ზოგიერთ ადგილს ამ სატირის 'თარგმანის-თარგმანის' სახით, რაც, გასაგებია, კიდევ უფრო შორსაა ორიგინალიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, შინაარსი და ეთოსი მაინც საყურადღებოა ჩვენთვის დღეს საქართველოშიც. აი, ამ თარგმანის ზოგიერთი ადგილი:

2.

''იცნობთ თქვენ პაპაშას, რომელიც 'ჩერნობილის საჩუქრების იდეებად' იწოდება? პასკუდინოვოდან მიდის ოცდა-ათი ნომერი ავტობუსი გრიაზინისაკენ, და მეთორმეტე გაჩერებაზე გადმოჯდებით. იქ, პირდაპირ, არის წინამოედანი, რომელზედაც სავსეა ხალხი და გამშაგებული ვაჭრობენ; ყველაფრით.

წარმოიდგინეთ: მარცხენა მხარეს ჩამჯდარი ჯუბი-ქალი ყიდის ხტაფილოს, მარჯვენა მხარეს ერთი ქართველი ბანანებს, და მათ შორის ვთავაზობ მე ჩემს უკვდავ სულს. ბევრს მე არ მოვითხოვ ამისათვის, მაგრამ მცველ იაფადაც არ მსურს დავკარგო: ერთი ქათამი და ორი სოსისი მაინც უნდა ვიყიდოთ, რომ ვოდკასთან რაიმე დასაყოლებელი ვქონდეს.

მაგრამ ჩვენი ხალხი დღეს არის საშინლად კანებიერებული და ეჭვიანი... მოვიდა ერთი ქალი და დაიწყო ჩემი სულის შეგება თითებით; ჩემი საქონელი, ასე ვთქვათ, დამალა ნაწილებად: 'შენი საქონელი ახალი არ უნდა იყოს', ჩაიდუდლუღა მან.

'ქალო!', ვუთხარი მე გულმოსული, 'ხელით ნუ ეხები ჩემს ყველაზე უკეთესს, რაც მე გამაჩნია. ყველამ რომ შეეხოს ჩემს ხულს დაუბანელი ხელით, მაშინ ის დაკარგავს გასაყიდ ფერს.'

მაგრამ ეს ბინძური შემომიბრუნდა და მითხრა: 'ჩემი ხელები სუფთაა, მაგრამ შენი ხული არის შავი, უფრო შავი შეუძლებელია გახდეს. ალბათ, შენ არც ვეტერინერის მოწმობა გაქვს ვაჭრობის მეთვალყურეობის უწყებიდან. თუ?' - თქვა მან და გაქრა.

ერთ ვეტერანმა ჩამოიარა და მკითხა:'რამდენი ღირს ერთი კილო?'

'ჩემ ხულს სიმძიმე არ გააჩნია', ვცდილობ მას აუხსნა...

ერთი ნახევრად დამშეული ინტელიგენტი ჩუმად მომიახლოვდა, დახუნა ჩემი საქონელი მისი გრძელი ცხვირით, მოღუშა სახე და თქვა:'რატომ არ აქვს შენს ხულს ფრთები? მას რაიმე ფრთები უნდა გააჩნდეს, ხულ ვოტა, ერთი ქათმისა!'

ასე დავკარგე ბევრი დრო, სანამ ჩემი რიგიც დადგა: ერთი ნამდვილი მუშტარი მოვიდა - კოჭლი თხისწვერიანი:

- 'ვინ ყიდის აქ ხულს?'
- 'მე!'
- 'რამდენად?'
- 'რა ეღირებოდა ეს თქვენთვის?'
- 'ვთქვათ, 500 000 შემიძლია გადმოგიგდოთ ან ერთი მილიონი. საკმარისია ეს?'
- 'საკმარისია', ვუთხარი მე, 'თუ თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ.'
- 'მაშ, აიღე', თქვა მან, 'ჩადევი ჩემ ჩანთაში, და თუ შენ გადაიფიქრებ, მიიღებ შენ თხლეს უკან'...

და უცბათ გამოჩნდა ჩემი ბედის თანამოზიარე კოლიუშა...'არ უნდა დავლიოთ ეს საქმე?', შემეკითხა მან. ჩქარა შევედით გვერდზე მაღაზიაში, ჩავდექით რიგში და ვიყიდეთ არა ერთი ბოთლი, არამედ მთელი ყუთი, და საჭმელად - თუ უნდა დავილუპოთ, მაშინ მუსიკით - ძეხვს გარდა, ვიყიდეთ ერთი ტორტი, რომელსაც 'სიზმარი' ეწოდება.

3.

აი, ვზივართ ჩვენ უკვე და ნელა ვძღებით სიამოვნებით. მაგრამ შემდეგ კოლიუშა დაიწყებს ბოდვას:'შენ მეტად იაფად გაყიდე შენი ხული. ხულებს ახლა კარგი ფასი აქვს. მისთვის, მაგალითად, შეიძლება ერთი ვოლვოს ავტომობილი ან სახლი მიიღო კედლებშემოვლებულ კოტეჯში და არა ხის დაჩა, ღმერთმა დაგიფაროს...შენ კი დამპალ ლიმონათ გაყიდე შენი ხული.'

...მე მივატოვე კოლიუშა ყუთთან ერთად და წავედი ბაზარში. შეიძლება წასული არ არის ის კოჭლი? და მართლაც ის იქ იყო კიდევ! გავარღვიე ადამიანთა თავყრილობა, ჩავავლე ხელი მკლავში და შევუყვირე:'აი, წაიღე შენი ფული უკან, განსხვავებას შემდეგ დაგიბრუნებ ; შენ მე ხული მნახე...ხული ერთი ვოლვო და ერთი კოტეჯი მაინც ღირს; ეს არის მისი ფასი, რომელიც ყველასათვისაა'.

მე მეგონა ჩემი კლიენტი ჩხუბს დამიწყებდა, მაგრამ მშიშარა გამოდგა; დაიდვა ერთი თითი ტუჩებზე და მითხრა:'სუ, გაჩუმდი; არავინ არაფერი არ გაიგოს. აქაა ორი გასაღები: ერთი ვოლვოსათვის, რომელიც ბენზინით სავსე იქ დგას ქუჩის კუთხესთან, და მეორე კოტეჯის გასაღები, რომელიც ავტომობილის ხელთათმანების ყუთშია. მაგრამ ერთი უნდა დაიმახსოვრო: ეს უკანასკნელია, რომ შენ მე მიყვირი. გაქრი, რომ ჩემმა თვალებმა მეტი არ გიხილოს!'

4.

უკვე ვზივართ მე და კოლიუშა კოტეჯში და ავტომობილი გვყავს გარაჟში. ბუხარში კი ტკაცუნებს ცეცხლი; ვსვამთ შოტლანდიურ ვისკის ლულის ჭიქებით და ვყლაპავთ აზერბაიჯანულ ბანანებს. ჩვენ სიამოვნებაში ვართ, მაგრამ კოლიუშამ,როცა მესამე ბოთლი გახსნა, გამოთქვა ეჭვი, სამწუხაროთ, და გამომიწვია:'უნდა იცოდე, ხული პოლისლაპოლის ღირის ბარკალი არ არის. ეს არის ერთი მეტად სერიოზული საქონელი, როგორც ოქრო, ან,ვთქვათ, ბრილიანტი. შენ კი, ბრიყვო, გადმოგიგდეს რაღაცა, როგორც ძაღლს ძვალს გადაუგდებენ ხოლმე... ბიჭები ამბობენ, რომ ერთი ხულისათვის დღეს მაღალ თანამდებობას ღებულობენ, სამინისტროებში თუ ბანკებში, მაგალითად, და თვით პარლამენტშიც კი. მნიშვნელოვანია მხოლოდ ყური ფხიზლად უნდა გქონდეს, თორემ გაგვზრდება როგორც ვირს'.

კოლიუშამ იქორიამდე მიმიყვანა, რომ...ჩავჯექი ჩემს ვოლვოში და გავექანე კოჭლისაკენ...მაგრამ ამჯერად ის უკვე აღარ იყო წყნარად. მან გახელებულად დაუყვლიპა თვალები და გამლანძღა ორსართულიანი და სამსართულიანი გინებით.

მაგრამ შემდეგ მოდგა; ხელი ჩაყო მის ჩანთაში და გადმომცა მანდატი! ნამდვილი მანდატი! მართლა! ღერბით, ორი ხელმოწერით და სამი ბეჭდით.

ასე გავხდი მე სახელმწიფო დუმის დეპუტატი. და კოლიუჩიკი, ჩემი განუყრელი მეგობარი და ამხონი, ასრულებდა ჩემი პიროვნული რეფერენტის ფუნქციას.

5.

'დღეიდან დაწყებული ხმას მისცემ შენ იმას,ვისაც მე ვეტყვი... დაწერე! შენი პირველი კანონის პროექტი ეხება სულებით ვაჭრობის აკრძალვას კერძო პირების მიერ...სულები ეკუთვნის სამშობლოს და არის ეროვნული და საერთო საკუთრება. ეშმაკსაც გაუღიათ! რა მოგვივიდა ჩვენ, რომ ჩვენი სამშობლოს რუსეთის ეს დიდი განძი ასე გავფლანგოთ? ეს გაუხარდებოდათ იმპერიალისტებს...'

'...როცა სულებით ვაჭრობის აკრძალვა ძალაში შევიდა, სწორედ მაშინ გაჩაღდა მისი ვაჭრობა. მაგრამ საჩუქრების მაღაზიის პირდაპირ ვერავინ ვერ ხედავდა გამოჩენას სულების სავაჭროდ..., რადგან ვაჭრობა უკვე გასცდა მილიონის საზღვარს და უკვე საქმე ეხება მილიარდებსა და ტრილიონებს...'

6.

'და მე? მე ვმსახურობ ისევ და ვმოქმედობ ისე,როგორც მიბრძანებენ. როგორც ხედავთ, ასე იღუპება ნამდვილი რუსი ადამიანები უსულო საზოგადოებაში'

ვლადიმირ რესნიჩენკო

აქვე ვაქვეყნებთ ვლადიმერ რესნიჩენკოს სატირის -'რა ღირს სული?' - კარიკატურას, რომელიც გამოქვეყნებულია აღნიშნულ გაზეთში და რომლის ავტორია ანდრეას ი.მიულერი:



Illustration: Andreas J. Mueller

ზც-18.-19.2.1995 წ.

"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა". "მესამე დასი", 1893 წელი

# ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

## გაზეთი"მონდი":"შევარდნაძე გადაურჩა აფეთქებას თბილისში"

1995 წლის 29 აგვისტოს, საღამოს, თბილისში, პარლამენტის უკან, აფეთქდა ავტომობილი, რომლითაც ედუარდ შევარდნაძეს სურდა ახალი კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიაზე წასვლა. საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც სახეზე ჰქონდა მინის ნამსხვრევების მსუბუქი ჭრილობა; დაჭრილია აგრეთვე შევარდნაძის დაცვის რამდენიმე პირი, რომლებიც გაწვრთნილი იქნა ამერიკელების მიერ.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ ის დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს მაფიის წინააღმდეგ, რომელსაც სურს გადააქციოს საქართველო სახელმწიფოდ, რომელსაც მაფია მართავს. მაგრამ სანამ მე ცოცხალი ვარ, ამას ვერ მოახერხებენ, - დასძინა მან.

გაზეთი"მონდი" შემდეგ წერს, რომ თენგიზ კიტოვანი, რომელმაც შევარდნაძეს "სიმართლე" დაწამა ომის დროს აფხაზეთში, უკვე დაპატიმრებულია, რადგან მას სურდა ომის ისევ გაჩაღება აფხაზეთში. ჯაბა იოსელიანმა კი, რომ თავი აერიდებინა "მხედრიონის" განიარაღებისათვის, მხედრიონი აქცია "პოლიტიკურ პარტიად" და ჩაება პარლამენტის საარჩევნო კამპანიაში. საქართველოს პრესა, წერს შემდეგ "მონდი", ბრალს დებს აგრეთვე პოლიტიკურ არენაზე ახალგამოჩენილ პირს - იგორ გიორგაძეს, რომელიცაა საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი;ის ახლა გადააყენა შევარდნაძემ და დააპატიმრა. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობა კი თვით შევარდნაძემ გადაიბარა. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საქმეში ჩარეული უნდა იყოს "განსაზღვრული ჯგუფი მოსკოვიდან, რომელიც მტრულადაა განწყობილი შევარდნაძის მიმართ".

"ლე მონდ",25.8.1995 წ.

## ჯაბა იოსელიანის დაპატიმრება

გერმანიის დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი"(30.11.1995 წ.) ჯაბა იოსელიანის შესახებ, სხვათა შორის, წერს:

"ჯაბა იოსელიანი დაპატიმრებულ იქნა ბრალდებით, რომ მას გააჩნდა იარაღი და დროგი ნებართვის გარეშე. იოსელიანის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი კი არის ის, რომ ის ყოფილა შევარდნაძეზე მოწყობილი აფეთქების შთამგონებელი 1995 წლის აგვისტოს ბოლოს.

საპატიმროებს კარგად იცნობს აწ უკვე 69-წლის იოსელიანი, რომელიც 18 წლიწადი იჯდა ციხეებში..., საიდანაც 1965 წელს განთავისუფლდა ამნისტიის შედეგად. გულაგში კი იოსელიანი -ეშმაკობით, მარმით და დაუნდობლობით - გახდა "ქურდი კანონში", როგორც ეს იწოდება რუსეთში უკანონობის მეფეები...ყოველ შემთხვევაში რეგალური გზით არ მოუპოვებია მას ხიბლი. 80-იანი წლების მიწურულში, როცა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მართველობა შესუსტდა, შექმნა მან ბოროტმოქმედებისაგან "მხედრიონი", პარა-სამხედრო რაზმი, რომლითაც დემოკრატიულად არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საშიშროება დაინახა და იოსელიანი დააპატიმრა. გამსახურდიას დაეხმარა რუსეთის ჯარის ნაწილები, რომ დაეპყრო მხედრიონის შტაბ-ბინა, მაგრამ როცა გამსახურდიამ რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა, რუსეთის სამხედრო ნაწილები დაეხმარა იოსელიანს და 1992 წლის 6 იანვარს ჩამოგდებულ იქნა გამსახურდია. იოსელიანმა მიიწვია საქართველოში ედუარდ შევარდნაძე და გახდა სახელმწიფო მეთაურის მოადგილე. შევარდნაძემ კი თანდათანობით მოიშორა თავიდან ეს მძიმე ტვირთი."

თომას ურბანი,"ზც"-30.11.1995 წ.

## ფაზილ ისკანდერი

"1929 წელში აფხაზეთში დაბადებული ფაზილ ისკანდერი...იგი წლებია ცხოვრობს მოსკოვში და არის რუსეთის მოქალაქე, მიუხედავად იმისა, რომ მისი სამშობლო საქართველოს ეკუთვნის. ის არის "მსოფლიო კულტურების საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი".

"ფრანკფურტერ რუნდშაუ",13.12.1995 წ.

## სსრკ-ის დაშლა

"1991 წლის 19 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა - ბორის ელცინმა, ბელორუსიის პრეზიდენტმა - სტანისლავ შუშკევიჩმა და უკრაინის პრეზიდენტმა - ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ მათ ტერიტორიაზე უკვე ძალაში არ არის საბჭოთა კანონები და ამით დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა.

ჩც-11.12.1995 წ.

---

## "ნოიე ციურხერ ცაიტუნგი" საქართველოს შესახებ

შვეიცარიის დიდი გაზეთი "ნოიე ციურხერ ცაიტუნგი" თავის 1995 წლის 5 დეკემბრის ნომერში აქვეყნებს ვრცელ სტატიას საქართველოს შესახებ, რომელშიც, სხვათა შორის, წერს:

"საქართველო არის დამაჯერებელი მაგალითი იმისა თუ როგორი დაჟინებით ცდილობს მოსკოვი მისი ინტერესების ცხოვრებაში გატარებისას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეთნიკური კონფლიქტის მხედველობაში მიღებით, მოსკოვი ატარებს მიდგომა-მოდგომის პოლიტიკას, რომლის დროს ყველა მონაწილეს ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებს. თბილისი, რომელმაც რუსეთის დაწოლის წინაშე ქედი მოიხარა, - ამასობაში ცდილობს ფრთხილად, მისი მოქმედების სფერო გააფართოოს, - წერს გაზეთი და განაგრძობს:

ჩეჩნეთის კონფლიქტამდე დიდი ხნის წინ, საქართველომ განიცადა თუ როგორი დაჟინებით ცდილობს მოსკოვი, ძალისმიერი ხერხითაც მის მიზანს მიაღწიოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიაში. აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, რუსეთ საქართველოში ჰყავს 5.000 ჯარისკაცი ხუთ სამხედრო ბაზაში და სამ საზღვაო ნავსადგურში. რუსეთის შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ საქართველოს საზღვრებს თვით ნატოს წევრ-სახელმწიფო თურქეთთანაც კი. ამასგარდა რუსეთი იყენებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს, რომ მისი გავლენა საქართველოს მიმართ გაამტკიცოს.

1991 წლის ბოლოს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სისუსტე საკმარისად არ მიიღო მხედველობაში რუსეთის პირისპირ, რამაც გამოიწვია მისი ჩამოგდება.

რუსეთი კმაყოფილია, რომ საქართველომ სამხედრო ბაზები გადასცა რუსეთს და გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი, მაგრამ მოსკოვი მაინც ისე შორს არ მიდის, რომ გაავრცელოს საქართველოს უფლებამოსილება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კი ატარებს ლავირებას ყველა ფრონტს შორის; მან შესძლო რუსეთის დაწოლის შესუსტება საქართველოზე, როცა საქართველოს ეს-ენ-გეში შეიყვანა. მაგრამ რუსეთი უარს ეუბნება საქართველოს გადასცეს საქართველოს საიდუმლო სამსახურის უფროსი, რომელიც ჩარეული იყო შევარდნაძეზე თავდასხმაში 1995 წლის აგვისტოში, საქართველოს. რუსეთი, მიუხედავად საქართველოს არაერთი თხოვნისა, უარზე დგას. მაგრამ საქართველო უკვე მოქმედების არეს აფართოებს, რადგა 1996 წლიდან ბაქოს ნავთობის ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე გავა შავ ზღვამდე, რაც შემოსავლის წყარო იქნება საქართველოსათვის. ამავე დროს, შევარდნაძის მრჩეველმა საგარეო პოლიტიკაში ვაჟა ჩიკვაიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ყველაზე უფრო დიდი პარტნიორია საგარეო ვაჭრობაში თურქეთი. - აცხადებს გაზეთი "ნოიე ციურხერ ცაიტუნგი".

- . - . - . - . - . -

## "ტ ე რ ო რ ი   თ ბ ი ლ ი ს შ ი"

ასეთი სათაური აქვს ცნობილ გერმანიის ყოველკვირეული ჟურნალის "შპიგელის" 1995 წლის მე-37 ნომერში გამოქვეყნებულ ვერსიას, რომელშიც აღწერილია ვითარება საქართველოში ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის შემდეგ. აი, ზოგიერთი ამონაწერი ამ სტატიიდან:

"ჯაბა იოსელიანის ბანდიტებმა, წერს ჟურნალი "შპიგელი", - თენგიზ კიტოვანის ეროვნულ გვარდიასთან ერთად, სისხლიანი ბრძოლებით, რომლის დროს თბილისი მთავრობის სასახლე დაინგრა, ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელსაც ავტორიტარული მიდრეკილება გააჩნდა, - განდევნილ იქნა."

"მხედრიონელებმა იოსელიანმა და კიტოვანმა საქართველოში მოიყვანეს პროფესიული პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც ეროვნული შერიგება უნდა მოეხდინა, მაგრამ უშედეგოდ."

"შევარდნაძის მმართველობის ქვეშ იტანჯება ქვეყანა. მსოფლიო ბანკმა გამოიანგარიშა შემოსავლის დავება ისე, როგორც აფრიკის განვითარებად ქვეყნებში... ელექტრობის სინათლე საათობითაა, გაზი კი საერთოდ არ არის. შევარდნაძემ მოიყვანა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და მოსკოვს მისცა სამხედრო ბაზები მთელ ქვეყანაში, რამაც გააბრაზა არა მარტო ქართველი ნაციონალისტები; და ესენი არიან არა მარტო 1993 წელს დაღუპული გამსახურდიას მომხრეები, არამედ შევარდნაძის ორივე ხელშემწყობნი კიტოვანი და იოსელიანი."

"1995 წლის გაზაფხულზე შევარდნაძე ცდილობდა მათ მოიშორებინა თავიდან. მან ეროვნული გვარდიის უფროსი კიტოვანი დააპატიმრა, როცა მას მისი ბანდიტებით აფხაზეთში შესვლა სურდა. იოსელიანის საკუთარი არმია განიარაღებულ იქნა და მის მეგობრებს ბოლო დღეებს მაფიოზურ მოქმედებაში. ამას მოჰყვა მთელი ყოველდღიური ტერორის გაძლიერება თბილისში. შევარდნაძემ დანიშნა პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები 1995 წლის 5 ნოემბერს იმ დროს, როცა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ციხეებშია. ამის შემდეგ თითქმის ყოველ კვირაში ადგილი ჰქონდა ბომბების აფეთქებას. 1994 წლის დეკემბერში მოკლეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია; ვოჯახის შემდეგ მოკლეს კიტოვანის მემკვიდრე თავდაცვის სამინისტროში, გენერალი ყარყარაშვილი და მისი მოადგილე. 1995 წლის ივნისში მოკლეს ჯგუფის -"აღორძინებისა და დემოკრატიის" უფროსი, შევარდნაძის ახლო თანამებრძოლი. და თვით შევარდნაძე გადარჩა რამდენიმე თავდასხმის დროს: აფხაზეთის ომის დროს ერთ უცნობ მეუფემფრენს სურდა პრეზიდენტის თვითმფრინავის დაზიანება; სოხუმში, მის მთავარ სადგომში, [illegible] გაანადგურებული [illegible]; და [illegible] ამბობს შევარდნაძე, რომ უკანასკნელი თავდასხმა მაინც "მხოლოდ მის წინააღმდეგ იყო მიმართული". და ეს თავდასხმა მოხდა სწორედ მაშინ, როცა შევარდნაძეს სურდა ახალი კონსტიტუციის ხელმოწერა, რომელიც პარლამენტმა მიიღო 73 წლის წინად მიღებული კონსტიტუციის შესაბამისად. შევარდნაძის კაბინეტის ადგილს, რუსთაველის გამზირზე, დაყენებულ იქნა "ნივას" ავტომობილი, და როცა შევარდნაძე კონსტიტუციის ხელმოსაწერად მიდიოდა, აფეთქებულ იქნა მოიმართული ბომბი; საზეიმო [illegible] ხელმოწერა არ შესდგა, მაგრამ შევარდნაძე გადარჩა, მსუბუქად დაჭრილი სახეზე მინის ნამსხვრევებით. [illegible] და [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] სურდათ ამ აფეთქებით საქართველოს ქაოსში ჩაგდება, მაგრამ "ღმერთი და ხალხი არის ჩვენს მხარეზე", დასძინა 1992 წლის მობათვლებმა ყოფილმა კომუნისტმა."

გასათვალისწინებელია აგრეთვე კონფლიქტი საქართველოს პროვინცია აფხაზეთის გამო. თუ 300-ათასი ლტოლვილი-ქართველი ბოლოს ვერ დაბრუნდება სოხუმში და მის რეგიონში, "მაშინ საქართველო და მთელი კავკასია გადაიქცევა აფეთქების რეგიონად", დაიმუქრა საქართველოს ელჩმა მოსკოვში .

"შპიგელი", 37/1995 წ., გვ. 171-172.

გაზეთი "მონდი": "შევარდნაძე გადაურჩა ატენტატს თბილისში"

1995 წლის 29 აგვისტოს, სამშაბათს, თბილისში, პარლამენტის უკან, ააფეთქეს ავტომობილი, რომლითაც ედუარდ შევარდნაძეს სურდა ახალი კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიაზე წასვლა. საქართველოს ტელევიზიამ აჩვენა ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც სახეზე ჰქონდა მინის ნამსხვრევების მსუბუქი ჭრილობა; დაჭრილია აგრეთვე შევარდნაძის დაცვის რამდენიმე პირი, რომლებიც გაწვრთნილ იქნა ამერიკელების მიერ.

შევარდნაძემ განაცხადა, რომ ის დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს მაფიის წინააღმდეგ, რომლებსაც სურს გადააქციოს საქართველო სახელმწიფოდ, რომელსაც მაფია მართავს. მაგრამ სანამ მე ცოცხალი ვარ, ამას ვერ შესძლებენ, - დასძინა მან.

გაზეთი "მონდი" შემდეგ წერს, რომ თენგიზ კიტოვანი, რომელმაც შევარდნაძეს "სიმხდალე" დაწამა ომის დროს აფხაზეთში, უკვე დაპატიმრებულია, რადგან მას სურდა ომის იქვე გაჩაღება აფხაზეთში. ჯაბა იოსელიანმა კი, რომ თავი აერიდებინა "მხედრიონის" განიარაღებისათვის, მხედრიონი აქცია "პოლიტიკურ პარტიად" და ჩაება პარლამენტის საარჩევნო კამპანიაში. საქართველოს პრესა, წერს შემდეგ "მონდი", ბრალს დებს აგრეთვე პოლიტიკურ არენაზე ახლადგამოჩენილ პირს - იგორ გიორგაძეს, რომელიცაა საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი; ის ახლა გადააყენა შევარდნაძემ და დააპატიმრა. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობა კი თვით შევარდნაძემ გადაიბარა. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საქმეში ჩარეული უნდა იყოს "განსაზღვრული ჯგუფი მოსკოვიდან, რომელიც მტრულადაა განწყობილი შევარდნაძის მიმართ".

"ლე მონდ", 25.8.1995 წ.

---

რუსი მილიონერები კოტ დ'აზურის

<u>პლაჟზე</u>

რუს ტურისტ-მილიონერებზე, საფრანგეთის ყველაზე უფრო სახელგანთქმულ და, ამავე დროს, ყველაზე უფრო ძვირ პლაჟზე - კოტ დ'აზურზე, ე.წ. "ცისფერ კონცხზე", - ასეთი ცნობები ქვეყნდება არა მარტო საფრანგეთის პრესაში.

"დამლაგებელი ოთხ-ვარსკვლავიანი სასტუმროსი "ლა პლაჟა", ნიცაში, ჰყვება: სამაგიდო ყუთში, ოთახში, [illegible], ბანა "დიორის", [illegible] ერთერთი უდიდესი, მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმის კოსტიუმი. მაშინვე შევატყობინე ეს ძვირფასი კოსტიუმი გადავცეთ მის რუს მფლობელისათვის, მაგრამ მან ხელი ჩააქნია და თქვა, რომ რამდენიმე ერთი პატარა ლაქაა და ასეთი კოსტიუმით არ სურს მას თავის სამშობლოში - ციმბირში - დაბრუნდეს.

1993 წელში, უმთავრესად კოტ დ'აზურზე, საფრანგეთს ეწვია 2000 რუსი ტურისტ-მილიონერი; 1994 წელში - 16.000-ზე, ხოლო 1995 წელში კი ეწვია 30.000-ზე მეტი ტურისტ-მილიონერი, რომლებიც ისე ფანტავენ დოლარებს, როგორც არაბეთის ნავთობის შეიხები. განცვიფრებული მეპატრონეა ოთხ-ვარსკვლავიანი ჰოტელის მესაკუთრე ერთ მოხუცებულ ქალს, "კომისარის გამომეტყველებით", რომელმაც 50-ათასი დოლარი ამოიღო პატარა ჯიბიდან, რომელიც მიმაგრებული ჰქონდა ჰოტელის მისაღებში, და დაუთვლელად ისევ ჩაიდო ჯიბეში. ერთმა მამამ და დედამ ყაზახეთიდან, რომლებიც თავიანთი შვილებით დაბინავდნენ ჰოტელში, რომელშიც ერთხელ ინგლისის დედოფალი ელისაბეთ მეორე განისვენა და მორთულია ლუდვიგ მეთოთხმეტის სტილით, - დღე-ღამეში გადაიხადეს 3950 ფრანკი, მისი შვილებისათვის კი, ე.წ. "ახალგაზრდათა სუიტაში", 3250 ფრანკი დღე-ღამეში. რუსი ტურისტ-მილიონერები ყიდულობენ აგრეთვე საუკეთესო მოდელების ტანსაცმლების და ფეხსაცმლების სამ თუ ოთხ გარნიტურას და არასოდეს არ აქცევენ ყურადღებას ფასს.

რუსების ამგვარ მასობრივ შემოსევას, როგორც ერთი ჟურნალისტი წერს ირონიულად, ადგილი ჰქონდა კოტ დ'აზურზე მე-19 საუკუნეში, როდის დროს თვით რუსეთის მეფის დედა - ალექსანდრა ფეოდოროვნაც - კი დაატყვევა კოტ დ'აზურის წარმტაცმა ბუნებამ. 1860 წელს ცხოვრობდა ნიცაში 214 ოჯახი. 1865 წელს, კოტ დ'აზურში გარდაიცვალა 21 წლის რუსეთის ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზ ალექსანდროვიჩი ტუბერკულოზით, რასაც მთელი რუსეთი დასტიროდა. აქ ისვენებდნენ აგრეთვე, თავის დროზე, გოგოლი, ტოლსტოი, ჩეხოვი და თვით ანარქისტი მიხეილ ბაკუნინიც კი. აღსანიშნავ ტურისტებს შორის კი არიან, რუს

მილიონერების გვერდით, უკრაინელები, ქართველები, თურქმენები, რომლებიც ცხოვრობენ ყველაზე უფრო ძვირ ჰოტელებში, რის შესახებ "ნეგრესკოს" ჰოტელის დირექტორმა თქვა: "ეს ტურისტები, რომლებიც წარმოუდგენელი თანხებით მოდიან აქ, ნიცის პოლიციის უფროსის აზრით, შეუძლებელია ნორმალური გზით გამდიდრდნენ. ეს მილიონები, ალბათ, მოიპოვეს მათ შეიარაღების ვაჭრობით, ორგანიზებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენითა და ქალების გაყიდვით ბორდელებში.

"მპ.",25/1995 წ.,გვ.144-145

## "ბედნიერი მეუღლეები დანიაში"

"ბედნიერი მეუღლეები დანიაში" - ასეთ სათაურს აძლევს ფრანგული გაზეთი "ლე მონდ" თავის ვრცელ სტატიას, რომელშიც აღწერილია მეუღლეებისა და უმუშევრობის პრობლემები დანიაში.

"გრეთე - ნათქვამია ამ სტატიაში - ორმაგი თვით მეუღლეებშია; ის არის, ჩემი აზრით, კანონი რომელიღაც ქვეყანაში და მისი ბიძა მე გავთხოვდი".

გრეთე არის მოყვარულის და კომპენსაციების, რიგსის სააღმდგომოსოსი და გამოიყენა "კანონი მეუღლეების შესახებ", რომლის თანახმად დანიაში ყველა მოსამსახურეს, რომელიც 25 წელს გადაცილდა, და მოსამსახურეა, შეუძლია ერთი წლის მეუღლეობა აიღოს, რომლის დროს მიიღებს უმუშევრის ყველაზე უფრო მაღალ დახმარებას. ამგვარი კანონი შემოიღო დანიის "ვეტერანისა და მემარჯვენე პარტიებმა, 1992 წელს, როცა ისინი ხელისუფლებაში იყვნენ. ახლა დანიაში მთავრობაშია სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც ის შესწორება შეიტანეს "მეუღლეების კანონში", რომ მეწარმეებელს არ შეუძლია უარი უთხრას მოსამსახურეს თუ მას სურს მეუღლეებაში წავიდეს ერთ წლამდე აღნიშნული პირობებით. ამ კანონით ისარგებლა დაახლოებით 60-ათასიდან 80-ათასამდე მშრომელმა, რის შედეგად უმუშევრობა 13 პროცენტიდან დაიწია 10,6 პროცენტამდე.

ამასთან დაკავშირებით, დანიის ინდუსტრიის ფედერაციის სპიკერმა - კლაუს რასმუსენმა - განაცხადა:
"ეს არის ჩრდილოეთის ყველა ქვეყნის პრობლემა, რადგან კარგად ცხოვრობენ: ჩვენს საზოგადოებაში არ არის საკმარისი ფინანსიური განსხვავება უმუშევრებსა და დასაქმებულთა შორის. ყველა ცხოვრობს კარგად".

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ეს ფაქტი თითქოს დაცინვაა ჩვენი მშრომელებისა.

"ლე მონდ", 13/14 აგვისტო, 1995 წ.

## 1995 წელი - შემწყნარებლობის წელიწადი

1995 წელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, გამოცხადებულ იქნა შემწყნარებლობის, ტოლერანტობის წელიწადად, რაც შესაფერისი პატივისცემითა და მთაგონებით აღნიშნულ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რადგან შემწყნარებლობა, გაეროს რწმენით, არსებითი ფაქტორია მსოფლიო მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. 1995 წლის ეს შემწყნარებლობის წელიწადი კი დაემთხვა გაეროს დაარსების 50 წლისთავს, გაეროსა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა 1945 წელს.

ამ მსოფლიო მნიშვნელობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალურმა მდივანმა - ფედერიკო მაიორმა - თხოვა პოპულარული მუსიკის კომპოზიტორს ჟან-მიშელ ჟარის ემზადა კონცერტის სერია, რომელშიც გამოხატული ყოფილიყო მთელი მსოფლიოს სახე. და ამგვარი კონცერტის ციკლის თარიღად აირჩია 14 ივლისი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 206 წლისთავი, რომლის იდეა იყო თავისუფლება - თანასწორობა - ძმობა, რაც უკვე საერთაშორისო კუთვნილება გახდა. და თვით კონცერტის ადგილად არჩეულ იქნა პარიზის ეიფელის კოშკი და მასთან მდებარე მარსის მინდორი, რომელზედაც 1789 წლის რევოლუციის შემდეგაც იმართებოდა დიდი მასშტაბის საერთო სახალხო დღესასწაულები. თვით ეიფელის კოშკი კი ამ კონცერტის დროს გახდა "მეტამორფოზა", ე.ი. სახეს იცვლიდა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რასაც მიეცა კონცერტ-სპექტაკლის ხასიათი, რომელშიც ჩართული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ერების მსუბუქი ჟანრის სიმღერა-გამოსახვანი თვით მსახიობების ფიგურების ჩათვლით. ეს იყო გრანდიოზული სანახაობა, რომელსაც დაესწრო ასი-ათასობით განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომლის დროს განათებული იყო არა მარტო ეიფელის კოშკი, არამედ მთელი მარსის მინდორი, რომელიც დაგვირგვინდა გრანდიოზული ფეიერვერკით.

ბებ-ბებ, პარიზი, 17.7.1995

## ალექსანდრე იაკოვლევის ინტერვიუ

ალექსანდრე იაკოვლევი იყო უახლოესი მრჩეველი მიხეილ გორბაჩოვისა, როცა ის იყო სსრკ-ს კომპარტიის გენერალური მდივანი და პრეზიდენტი, და დიდი როლი ითამაშა ე.წ. "პერესტროიკაში". 1990 წელს იგი მიწვეულ იქნა "პრეზიდენტის საბჭოში", მაგრამ მალე ჩამოშორდა გორბაჩოვს, როცა ის სულ უფრო და უფრო მეტ დათმობებზე წავიდა კონსერვატორების მიმართ. 1993 წელს იაკოვლევი გახდა რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის "ოსტანკინოს" გენერალური დირექტორი; 1995 წლის მარტიდან კი ის არის "ოსტანკინოს" საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარე.

1995 წლის თებერვალში, ალექსანდრე იაკოვლევმა, რომელიც უკვე 71 წლის ასაკშია, ჩამოაყალიბა რუსეთის ფედერაციის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

აი, ამონაწერები მისი ინტერვიუდან, რომელიც მან მისცა გერმანულ ჟურნალ "შპიგელს":

<u>შეკითხვა:</u> ...ორი წლის წინათ თქვენ თქვით "სტალინი ცოცხლობს"...

<u>პასუხი:</u> ...არა მხოლოდ სტალინიზმი, მაგრამ ბოლშევიზმი – ცინიკური, დემაგოგიური, რევანშისტული...რესტავრაციის ზოგიერთი მომხრეები მიისწრაფვიან სტაბილურობისაკენ კა-გე-ბეს უფროსის ანდროპოვის მეთოდით: სტალინური სისტემის შეკეთებით. სხვები ოცნებობენ ბრეჟნევის ვარიანტზე: არც ერთი მოხელე არ არის პასუხისმგებელი, ყველა აკეთებს მას, რაც მათ სურთ. ზოგიერთებს კი სურთ უბრალოდ დიქტატურა: რუსეთი, მათი აზრით, არ არის მზად დემოკრატიისათვის. და ბოლოს არის კიდევ ახალი ნომენკლატურა, რომლებიც გვაჩვენებენ თავს ისე თითქოს მიისწრაფვიან რეფორმებისაკენ, მაგრამ დემოკრატიის გარეშე. ...სად არის დემოკრატია? საქმე ეხება მეთოდებს, პარლამენტის არჩევნებს, საარჩევნო კანონებს, პარტიათა მრავალფეროვნებას. ზოგიერთი მათგანი არსებობს ჩვენთანაც, როგორც, მაგალითად, აზრის გამოთქმის თავისუფლება, მაგრამ მის გვერდით არსებობს ხალხის წარმომადგენლობა "დუმას" სახელწოდებით, რომლის სხდომები წააგავს სცენის მოყვარეთა თეატრალურ წარმოდგენას. ალბათ, ეს ეტაპი გარდაუვალია.

<u>შეკითხვა:</u>..ადგილი აქვს წინსვლას სამართლებრივი სახელმწიფოს აგებაში?

<u>პასუხი:</u> უდავოდ. პირველია კონსტიტუცია, ძირითადი კანონი კერძო საკუთრების, მრავალპარტიული სისტემის, თავისუფალი არჩევნებისა და ადამიანის უფლებების შესახებ უკვე კონსტიტუციაშია შეტანილი. ათასი წელიწადი ვცხოვრობდით ჩვენ ამის გარეშე. ამით კი დასამარებულია სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობა, ერთადერთი იდეოლოგია და სახელმწიფო მონოპოლია საწარმოო საშუალებებზე. ბოლშევიზმის ეს სამი ელემენტი აღკვეთილია და ეს არის უმთავრესი ნაბიჯები დემოკრატიის გზაზე.

...მემარჯვენე ექსტრემისტი ვლადიმირ ჟირინოვსკის მოძრაობა იმიტომაა ასე საშიში, რომ ის ბოლშევიკურად შეიქმნა და ბოლშევიკურად მოქმედებს. მათ რომ ამდენი ხმა მიიღეს, არის შეურაცხმყოფელი და სასირცხვილო ჩვენთვის, რადგან მასში მოსჩანს ჩვენი პოლიტიკური კულტურის დონე. ჟირინოვსკის არ გააჩნია მომავალი. მას შეიძლება განსაზღვრული გავლენა აქვს სამხედროებში და სოციალურად დაჩაგრულებში. მაგრამ უფრო დიდი საშიშროებაა მაინც ბოლშევიკები.

...მაგრამ ბოლშევიზმი და კომუნიზმი უნდა იქნას მკვეთრად განსხვავებული; იდეები ერთია და მისი პრაქტიკული განხორციელება სრულიად სხვა...ბოლშევიზმმა გადაიბარა მარქსიზმიდან პოსტულატები როგორც კლასთა ბრძოლა, ძალადობა როგორც ისტორიის შექმნის დამხმარე, რევოლუციური ძალადობა როგორც [illegible] ლოკომოტივი, კერძო საკუთრების და ოჯახური აღზრდის აღკვეთა და საერთოდ მოქალაქეობრივი ღირებულებებისა – ესე-იგი, ყველაფრის, რაც [illegible] მობილიზაციას ადგენს და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ხელს შეუშლიდა...

...მე ვარ რადიკალური პაციფისტი; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მძულს მე ომი.

<u>შეკითხვა:</u> ომიც ჩეჩნეთში?

<u>პასუხი:</u> რა თქმა უნდა. სხვა საკითხია თუ რატომ უნდა მომხდარიყო ეს და ჩეჩნეთის პრობლემა ახლა უნდა მოვაგვაროთ. ეს რომ უნდა მოგვარებულიყო - ეს საეჭვო არ არის. ჩეჩნეთი ხომ რუსეთს ეკუთვნის...

<u>შეკითხვა:</u> თქვენ, როგორც ძალადობის მტერმა, ოქტომბრის რევოლუცია 1917 წელში დაახასიათეთ "რუსეთის ისტორიის როგორ ტრაგიკული მოვლენა?"

<u>პასუხი:</u> ეს კი არ ყოფილა რევოლუცია, არამედ უბრალოდ ექსტრემისტთა კლიკის შეთქმულება...დროებითი მთავრობა, სოციალ-დემოკრატმა კერენსკიმ გადასცა უბრძოლველად პუტჩისტებს. რევოლუციაზე საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი.

<u>შეკითხვა:</u> როცა თქვენ კომპარტიიდან გამოდით...

<u>პასუხი:</u> ...მე კომპარტიიდან კი არ გამოველი, არამედ გამომრიცხეს 1991 წლის 15 აგვისტოს, პარტიის საკონტროლო და სარევიზიო კომისიის დადგენილებით...უკვე ერთი წლით უფრო ადრე განზრახული ჰქონდა პარტიის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით სამხედროებსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოს, ედუარდ შევარდნაძე და მე გორბაჩოვს ჩამოვშორებოდით. 1991 წლის აპრილში გავაფრთხილე გორბაჩოვი წერილობით პარტიის ორთოდოქსების შეთქმულების შესახებ, მაგრამ გორბაჩოვმა გამისტუმრა სიტყვებით:"ალექსანდრე, შენ მეტად აზვიადებ მათ ინტელექტსა და გამბედაობას". მე ვუპასუხე:"მგლები მარტო იმიტომ კი არ იკბინებიან, რადგან ისინი გამბედავებია, არამედ იმიტომაც, რომ მშიერებია." ...1991 წლის 19 აგვისტოსაც კი, როცა ტანკები მოძრაობდნენ მოსკოვის ქუჩებში, პრავდაში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც მე ბრალს მდებდნენ, რომ მე შიშს ვთესავე რაღაც შეთქმულების არსებობით...

<u>შეკითხვა:</u> ...და ნამდვილი მიზეზი გორბაჩოვის დამარცხებისა?

<u>პასუხი:</u> რომელ დამარცხებაზე ლაპარაკობთ თქვენ? "პერესტროიკა" იყო ერთი დიდი ისტორიული გამარჯვება: ტოტალიტარიზმის დამსხვრევა, დემოკრატია, აზრის გამოთქმის თავისუფლება, საბაზრო მეურნეობა, ადამიანის უფლებები, ცივი ომის დამთავრება - ამას უწოდებთ თქვენ დამარცხებას? არა, არა და კიდევ არა".

"მპიგელ",23/1995 წელი, გვ.152-160

"საქართველო: თბილისის ნომერ პირველი ციხის სასიკვდილო საკანში"

ასეთი სათაური აქვს ვრცელ სტატიას, რომელიც გამოქვეყნდა ბერლინის ყოველდღიური გაზეთის "ბიულლეტინ-ცაიტუნგის" 1995 წლის 4 ოქტომბრის ნომერში, რომლის ავტორია თომას ურბანი. აი, ამ სტატიის ზოგიერთი ადგილები:

"თბილისი, სექტემბრის დასასრული. ჰაერი ნოტიოა და ცხელი. ექვსი კვადრატული მეტრის საკანის კედლებიდან ცვივა ფერი, ნოტიო კედლიდან წონავს სისველე. ბეტონის იატაკის ერთ კუთხეში ნახვრეტია აუცილებელი საჭიროებისათვის, რომელიც ფარდითაა გაყოფილი ისე, რომ რკინის კარიდან ნახვრეტი არ ჩანს. ჭერში ჩამოკიდებული ნათურა ანთებულია განუწყვეტლივ. "წლეიწადს აქ, დაბლა ერთი წლის განმავლობაში დღის სინათლე არ მინახავს", - ამბობს ირაკლი ჩოკვაძე. "ერთი წელი აქ, ამ სასიკვდილო საკანში, უსასრულობაა, ყოველი სეკუნდი ერთი წელიწადია".

ოცდა-ოთხი წლის ასაკში მყოფი ირაკლი ჩოკვაძე ზის აქ 1995 წლის დასაწყისიდან, სასიკვდილო საკანში, თბილისის ნომერ პირველ ციხეში, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს ტერორიზმის, ბომბების მზადებისა და მკვლელობისათვის. ის არის ერთერთი "პოლიტიკური", როგორც ამას [illegible] ამბობს, 28 სიკვდილ-მისჯილთაგან თბილისში. სხვებია ბავშვის მკვლელები, ქალების [illegible], პოლიციელების მკვლელები. ნახევრად ელექტრო-ტექნიკოს ჩოკვაძეს ბრალი ედება ბომბის, რომელიც აფეთქდა თბილისში, 1992 წლის ივნისში, [illegible] ხუთი კაცი. ჯაბა იოსელიანი კი, რომელიც [illegible] იყო მხედრიონის ლიდერი, [illegible]; იგი იყო იმ დროს [illegible] წევრი და ასევე "მხედრიონის" [illegible]. "მხედრიონი" [illegible] კრიმინალური [illegible], რომლის [illegible] უნდა [illegible] [illegible] [illegible] 1995

წლის 29 აპრილს აფეთქდა ერთი ბომბი ავტომობილში იმ დროს, როცა პარლამენტის პრეზიდენტის ავტომობილმა ჩაიარა. ათობით "მხედრიონის" ხელმძღვანელები დაპატიმრებულ იქნა ამის შემდეგ, იოსელიანის თითქმის ყველა მცველი და მისი მოადგილე. კა-გე-ბედან წარმოშობილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელებიც დააპატიმრეს.

ამგვარი დაპატიმრებებისას, შევარდნაძის ადამიანის უფლებების დაცვის მეთაურის – სერიოზული იურისტის – ალექსანდრე კოძაძის ნებართვა გერმანელების სურვილი დაკმაყოფილებია, რომ შეხვედროდნენ "პოლიტიკურ პატიმრებს" და აიღე მისი მეუღლის, გულიკოს, რომელიც პოეტია, – იყო [illegible] ლი. უპასუხოდ: საქართველოს ხელმძღვანელობამ იცის ცნობები პოლიტიკური პროცესების შესახებ საქართველოში, რომლებიც ვრცელდება უცხოეთში და აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებანი; ამას ემატება კიდევ უცხოეთის ელჩების, მათ შორის გერმანიის ელჩის, გამოხმაურება ამ საკითხზე.

"სულ ვოცა, – ამბობს პოეტი გულიკო, – სუფთა ჰაერზე მაინც უნდა გაიყვანონ დღეში ერთხელ!" მაგრამ ეს არის აკრძალული.

ირაკლი ღოკვაძის გვერდზე, საკანშია 34 წლის ექიმი პეტრე ქელბაქიანი. ორივე ამბობენ:"პროცესი არ ყოფილა; ეს იყო ერთი ფარსი", და ორივე ერთად ამბობენ პატივით მოთხოვნ სახელმწიფო მეთაურს. "ჩვენ ვზივართ აქ, რადგან ჩვენ ვართ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მომხრეები". სახიკვდილო კანდიდატებისათვის კანონიერი ხელისუფლების განსახიერებაა დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია –, რომელსაც ნაციონალისტური მიდრეკილება გააჩნდა და წინათ იყო დისიდენტი. 1992 წლის დასაწყისში იოსელიანის "მხედრიონის" და სხვა ბანდების ბრძოლების შემდეგ, ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველო და გაურკვეველ პირობებში დაიღუპა დევნილობაში.

თომას ურბანი განაგრძობს:"გამსახურდია კანცლერობისას, როგორც ჩანს, პუტჩისტებს ემარჯვებოდა რუსეთის საიდუმლო პოლიცია, რადგან მათ არ აწყობდათ გამსახურდიას მოსკოვის საწინააღმდეგო კურსი. პუტჩის წარმატებით დამთავრებისას, იოსელიანმა მის თანამებრძოლებთან ერთად, მიიპატიჟა შევარდნაძე, რომელიც პუტჩისტების გეგმებს იცნობდა, გადაებარება სახელმწიფოს მმართველობა. მაგრამ, ამ საერთაშორისო არენაზე ცნობილმა სსრკ-ის საგარეო მინისტრმა, ვერ შესძლო ქაოსის აღკვეთა საქართველოში. მხედრიონი, მაფია და ბანდიტების რაზმები ტერორის ქვეშ ამყოფებდა მთელ ქვეყანას, პოლიტიკური მკვლელობები და ბანდების ღია ბრძოლები იდგა დღის წესრიგში. ხშირად ამგვარი არეულობის დროს, ირაკლი ღოკვაძემ მოახდინა თავდასხმა ჯაბა იოსელიანზე, 1992 წლის ივნისში. 68 წლის იოსელიანი არის საქართველოს პოლიტიკური სცენის ყველაზე უფრო შესამჩნევი ფიგურა: ათალგაწრთობილი იჯდა იგი ციხეში წლების განმავლობაში მძარცველობა-მკვლელობებისათვის. დრო და დრო ხწავლობდა იგი თეატრის-მეცნიერებას, მუშაობდა როგორც რეჟისორი და პროფესორიც კი გამხდარა. როცა კომუნიზმის ბატონობა დაირღვა, შექმნა მან მხედრიონი, დემოკრატების აზრით, კა-გე-ბეს დახმარებით. გამსახურდია დროს, იგი იჯდა ციხეში "კრიმინალური გაერთიანების" შექმნის ბრალდებით."

"თვითგამოცხადებული სახალხო ტრიბუნი იოსელიანი 1992 წლის ივნისისა და 1995 წლის აგვისტოს ბომბების აფეთქებას აკავშირებს ერთმანეთთან: პირველი მიმართული იყო მის წინააღმდეგ, მეორეს უკან კი ედგნან მისივე ხალხი. ასეთი საბრალდებულო აქტი, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებებიც. ერთი მათგანია ის, რომ რუსეთის საიდუმლო პოლიციას სურს შევარდნაძის თავიდან მოშორება, რადგან ის იმის მომხრეა, რომ დიდი ნავთობსადენი მიდი კასპიის ზღვიდან გაყვანილ იქნას საქართველოზე, რაც რუსეთს წაართმევდა კონტროლის საშუალებას. მეორე ვერსიაა, რომ თითქოს ამ ატენტატით თვით შევარდნაძეს სურდა მისი მოწინააღმდეგების გარიყვა, რომ მისი პოზიცია გააძლიეროს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ დასავლეთელი დიპლომატები, რომლებიც ამ ატენტატის მოწმეები იყვნენ, უარყოფენ ამგვარ ვარაუდს. იოსელიანის კაბინეტში, პარლამენტის შენობაში, აღმოჩენილ იქნა კალაშნიკოვები ვაზნებით, რომლის ახსნას იგი იმით შეეცადა, რომ "ბოლოს-და-ბოლოს ჩვენ მუსიკოსები არ ვართ!" იოსელიანის მცველებში კი აღმოჩენილ იქნა შევარდნაძის კერძო ბინის ნახაზები, რის შესახებ იოსელიანი ჩვეული აიატაკით ამბობს, რომ ეს ჩვენ შემოგვაპარეს!

მხედრიონის უფროსი, ამბობენ, აკონტროლებს ბენზინის ვაჭრობას და ეპატრონება უზარმაზარ თანხას, - წერს თომას ურბანი და განაგრძობს: იოსელიანი მთხოვნელებს ღებულობს გახსნილი პერანგით, რომლის ღრმა ჭრილიდან კისერ- მოსჩანს ოქროს ჯაჭვი და უმტკიცებს მათ, რომ მისი ყოფილი მოკავშირე, ედუარდ შევარდნაძე, ახლა ისევ ქმნის "ტოტალურ პოლიციურ სახელმწიფოს", როგორც [illegible] წინათ. მაგრამ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოში და ბევრი დამოუკიდებელი გაზეთები არ იზიარებენ ამ აზრს, რადგან უკანასკნელ ორ წელიწადში მდგომარეობა საქართველოში სტაბილური ხდება და ბოროტმოქმედება მნიშვნელოვნად შემცირდა. ეკონომიკურ ცხოვრებაშიც იგრძნობა გაუმჯობესება, თუმცა სოციალური მდგომარეობა მეტად მძიმეა, როცა საშუალო თვის ხელფასი ხუთ გერმანულ მარკას უდრის. თვით სასიკვდილო განაჩენით მისჯილ ლოკვაძე და ქელბაქიანი ხედავენ იმას, რომ უკანასკნელ თვეებში მდგომარეობა გაუმჯობესდა. მართლაც ის ფაქტი, რომ ჩვენ საშუალება მოგვეცა შევხვდეთ უცხოელ სტუმრებს, არის ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი; ამასგარდა მათ უკვე აღარ უკრძალავენ თვეში ერთხელ შეხვდნენ თავიანთ ნათესავებს და სურსათ-სანოვაგის ამანათებსაც ღებულობენ. მაგრამ ორივე ამბობს, რომ მათ უჭირთ მათი დამცველებისათვის კონტაქტის დამყარება. მათ აღნიშნეს აგრეთვე, რომ სანამ ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები მათზე ალაპარაკდებოდნენ, ციხეებში ხშირად ცემა, ელექტრო-შოკი, ფეხებით ჩამოკიდება. ლოკვაძემ თქვა, რომ მას, ორი წლის წინათ, ჩაუტეხეს ცხვირი და ორი ნეკნი. პროკურორმა დაემუქრა, თუ არ გამოტყდება, მის ორ პატარა ბავშვს უბედურება შეეყრებათ. მისი ამგვარი გამოძალადებული აღიარება ლოკვაძემ უარყო, მაგრამ სასამართლომ არ დაუჯერა მას. ქელბაქიანმა კი თქვა, რომ მხოლოდ მისი მამის გამოქცევა ჩაუყენეს მას ბრალდებად. მისი მამა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, თითქოს იოსელიანის წინააღმდეგ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობის ბრალდებით, მიუსაჯეს 13 წლის პატიმრობა. ბრალდება იყო "სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება". იმ დროს საქართველოს კომპარტიის უფროსი იყო ედუარდ შევარდნაძე.

როგორც ჩანს, მის ამგვარ წარსულზე უარი თქვა შევარდნაძემ და მოინათლა კიდეც, და მის საწერ მაგიდასთან ჩამოკიდებულია კედელზე ღვთისმშობლის ხატი. ლოკვაძისა და ქელბაქიანის საკნებშიც კიდია კედლებზე ღვთისმშობლის ხატები. "ჩვენთვის იქნებოდა მართლაც ნიშანი გარდატეხისა, რომ პროცესი ისევ შეხედა", ამბობს ქელბაქიანი, რომელიცაა აგრეთვე ორი პატარა შვილის მამა.

შევარდნაძის მრჩეველი კოჭბაძე, რომელიც ამბობს, რომ შევარდნაძეს ურჩევს ყველა სასიკვდილო განაჩენი გააუქმოს, ის არ ეწინააღმდეგება. ამას გარდა, მან, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებიდან, გააკეთა საყურადღებო განცხადება: "საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა თვით გაეცნონ აქაურ მდგომარეობას და დაგვეხმარონ ჩვენ ჩვენი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში".

"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგ", 4.10.1995 წ.

"ჩვენ უნდა მივიღოთ ვერა [illegible]", ამბობს ლოკვაძე და [illegible], მაგრამ უშედეგოდ. ამ სიმძიმისაა სასიკვდილო წყვილი, რომლებსაც ჯალათი ელის კვდაში. 1995 წელს ჯალათმა 14-ჯერ გამოიყენა რევოლვერი, 1995 წელს კი 7-ჯერ დღემდე.

—·—

"რუსეთი უნდა დარჩეს დიდი სახელმწიფო"

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ევგენი პრიმაკოვმა - განაცხადა, რომ "რუსეთი უნდა დარჩეს დიდი სახელმწიფო". "ჩვენ ვართ დიდი სახელმწიფო და ჩვენი პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ამ სტატუსს". მოსკოვისათვის მნიშვნელოვანი რეგიონებია ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის გაერთიანების სახელმწიფოები, ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. პრიმაკოვის სიტყვით, დიდი მნიშვნელობისაა აგრეთვე რუსეთის ურთიერთობის განვითარება ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებთან.

დე-პე-აჰ სააგენტო, 13.1.1996 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არჩევნები თურქეთში

1995 წლის 24 დეკემბერს, თურქეთში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რომელშიც "კეთილდღეობის პარტიამ", ე.ი. ისლამურმა პარტიამ მიიღო
ხმების.....................................21,3 პროცენტი,
"დედა-სამშობლოს პარტიამ"...........................19,6 პროცენტი,
"სწორი გზის პარტიამ"...............................19,1 პროცენტი,
"მემარცხენეთა დემოკრატიულმა პარტიამ"...............14,6 პროცენტი,
"რესპუბლიკურმა სახალხო პარტიამ"....................10,7 პროცენტი.

"მპ.",1-1996 წ.,გვ.109

## არჩევნები რუსეთში

1995 წლის 17 დეკემბერს რუსეთში ჩატარდა სახელმწიფო დუმის არჩევნები, რომელიც შესდგება სულ 450 დეპუტატისაგან.
კომუნისტურმა პარტიამ გაიყვანა...........................157 დეპუტატი,
"ჩვენი სახლი რუსეთი"(ჩერნომირდინი)........................55 დეპუტატი,
ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია(ჟირინოვსკი)..................51 დეპუტატი,
"იავინსკიბლოკი"..............................................45 დეპუტატი,
აგრარული პარტია..............................................20 დეპუტატი,
დემოკრატიული არჩევანი(გაიდარი)................................9 დეპუტატი,
დამოუკიდებელი................................................77 დეპუტატი,
პატარპატარა პარტიები.........................................36 დეპუტატი.

"მპ.",2-1996, გვ.121

## რ ა ა რ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა?..

პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

მსოფლიო ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

## მსოფლიოს წამყვანი შვიდი ინდუსტრიული ქვეყნის "7 გ" ეკონომიკა

| | მოსახლეობა | ბრუტოპროდუქცია | ეკონომიკის ზრდა | უმუშევრობა |
|---|---|---|---|---|
| 1.აშშ | 258,1 მილიონი სული | 6638,2 მილიარდი დოლარი | 4,1 პროცენტი | 6,0 პროცენტი |
| 2.გერმანია | 80,8 მილიონი სული | 2041,5 მილიარდი დოლარი | 2,9 პროცენტი | 8,4 პროცენტი |
| 3.იაპონია | 124,8 მილიონი სული | 4651,1 მილიარდი დოლარი | 2,9 პროცენტი | 2,9 პროცენტი |
| 4.საფრანგეთი | 57,7 მილიონი სული | 1318,9 მილიარდი დოლარი | 2,5 პროცენტი | 12,4 პროცენტი |
| 5.იტალია | 57,8 მილიონი სული | 1020,2 მილიარდი დოლარი | 2,3 პროცენტი | 11,4 პროცენტი |
| 6.დიდი ბრიტანეთი | 50,0 მილიონი სული | 1013,6 მილიარდი დოლარი | 3,9 პროცენტი | 9,5 პროცენტი |
| 7.კანადა | 27,8 მილიონი სული | 541,5 მილიარდი დოლარი | 4,1 პროცენტი | 6,0 პროცენტი |

ეს არის 1994 წლის სტატისტიკური ცნობები, რომელიც შედგენილია "მსოფლიო ბანკის მიერ. "ბრუტოპროდუქცია" ეყრდნობა მოცემული ქვეყნის საშინაო პროდუქციას. ამგვარად, ეს "შვიდი გ" ეკონომიკურად (და ამით პოლიტიკურადაც) განაგებს მთელი მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ავკარგიანობას საერთაშორისო ბაზრის გახსნა-დაკეტვის გზით, რაც, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ "ოპორტუნიტეტსაც" ეყრდნობა.

რუსეთს სურს, თავის მხრივ, ამ "შვიდი გ" კლუბის წევრი გახდეს და ცდილობს შესაბამისი ეკონომიკური(და პოლიტიკური) პირობების შექმნას, რაც იმპერიულ პოლიტიკაზე ხელის აღებასაც ნიშნავს, მაგრამ ეს მსოფლიო ბელიბლის გადამწყვეტი "შვიდი გ", როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა - ჟაკ შირაკმა - თქვა "7 გ" კონფერენციაზე ჰალიფაქსში(1995 წლის ივნისი) - გაურბის რუსეთის "დამხრებას", რაც რუსულ იმპერიალიზმს ხელს უხსნის არა მარტო ჩეჩნეთში, არამედ ე.წ-ლ "ახლო უცხოეთშიც", ე.ი. საქართველოშიც, რის შედეგია ის, რომ რუსეთმა ჩვენს აფხაზეთიდან გამორეკა ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობა, გახადა ლტოლვილი საქართველოშივე და, გაეროს ეგიდით, შუამავლის როლსაც კი იკუთვნებს თითქოს აფხაზ-ექსტრემისტებსა და ქართველ ერს შორის. და თუ რუსეთი "შვიდი გ" წევრი გახდება, რაც მოსალოდნელია, მაშინ "ახლო უცხოეთის" ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, რუსეთი კიდევ უფრო ჩაავლებს კისერში ხელს.

კ.ი., ფრანკფურტერ-ალგემაინე:17.6.95 წ

## როგორ არის განაწილებული მსოფლიო..

მსოფლიო განაწილებულია ისე, რომ კონფლიქტი მოსალოდნელია მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და ღარიბ განვითარებად ქვეყნებს შორის, რომლებიც უმთავრესად განლაგებულია ღედამიწის სამხრეთით და ამიტომ ლაპარაკობენ 'კონფლიქტზე ჩრდილოეთის ინდუსტრიულ ქვეყნებსა და სამხრეთის განვითარებად ქვეყნებს შორის.
აი, ძირითადი მონაცემები ჩრდილოეთის ინდუსტრიული ქვეყნების სიმდიდრისა და სამხრეთის განვითარებადი ქვეყნების სიღარიბის შესახებ:

მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა უდრის.......5,6 მილიარდ სულს; აქედან -

მსოფლიოს მოსახლეობის 24 პროცენტი ცხოვრობს ინდუსტრიულ სახელმწიფოებში;

მსოფლიოს მოსახლეობის 76 პროცენტი კი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში.
მთელი მსოფლიოს სახალხო მეურნეობის ღირებულება უდრის 29.100 მილიარდ დოლარს;
აქედან: ინდუსტრიულ ქვეყნებში მოდის მსოფლიო ეკონომიკის 63 პროცენტი;
განვითარება ქვეყნებზე კი მხოლოდ 37 პროცენტი.

საილუსტრაციოთ: მსოფლიოში რომ ყოველმა ადამიანმა ისე იცხოვროს, როგორც დღეს ცხოვრობს ყოველი გერმანელი (მთელი მოსახლეობა 81 მილიონი), მაშინ საჭირო იქნებოდა კიდევ ორი დედამიწა.




ზდ-6.1.1995 წელი

შ ი მ შ ი ლ ი

თუკი ქადაგებ ქვეყანად ჰუმანიზმს,
კიდევაც შეხედე ფანჯრის აფანა,
შეხედე ალაგმო შენში გურმანი,
გაავებული, როგორც ხაფანა.

შიმშილის განცდა მწვავეა ფრიად,
ვით სიცოცხლეზე აღმართვა ხელის,
გვამში გელვრება, ვით ცხელი ფუკია,
თავს დასტრიალებს სიკვდილის ცელი.

ქარქაშში ხმალს ნუ ჩაგაგებინებს
დრო სიმუხთლისა და უხამსობის,
მხოლოდ შიმშილი შეგაგნებინებს
რა არის პური ჩვენი არსობის.

ამონაწერი მერაბ კოსტავას
ლექსიდან "შიმშილი", რომე-
ლიც დაწერა ირკუტსკის ციხე-
ში 1985 წლის აგვისტოში.

ამოღებულია წიგნიდან "მერაბ კოსტავა: ფიქრები საქართველოს მისიაზე", პარიზი, 1991 წელი. თვით საქართველოს მისიის შესახებ, მერაბ კოსტავა წერს:
"საქართველო უნდა იქცეს ღირსეულ მისაბაძ ერად, მსოფლიო კულტურის შემოქმედი განვითარების ერთერთ მოთავედ, მაღალი იდეების, ფორმებისა და სიხყემების შემოქმედად და მიმყვანად მსოფლიო ხალხების წმინდა საკურთხეველზე".(გვ.207).

ზვიად გამსახურდია კი ლექსით -"წამებული ძმისადმი" - მიმართავს მერაბ კოსტავას და, სხვათა შორის, წერს:

"ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უეჭვად საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!"

ზვიად გამსახურდია
1986 წელი

## კარიკატურისტის თვალით




მხატვარი ვახტანგ კუცია.

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ. № 27-30, მუხ. 642), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

I. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. ფულის ერთეული.

1. საქართველოს რესპუბლიკის ფულის ერთეულია „ლარი“. ლარი შედგება ასი „თეთრისაგან“.

2. ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

4. ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით“.

II. 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ეროვნული ბანკი მთავარი ექსპერტია ეროვნული ვალუტისა და სხვა საბანკო ბილეთების ნამდვილობის დადგენის საქმეში“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის მდივანი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1996 წლის 19 სექტემბერი.

მსოფლიოს მოსახლეობის 76 პროცენტი კი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში.
მთელი მსოფლიოს სახალხო მეურნეობის ოდენობა უდრის 29.100 მილიარდ დოლარს;
აქედან: ინდუსტრიულ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ეკონომიკის 63 პროცენტი;
განვითარებად ქვეყნებზე კი მხოლოდ 37 პროცენტი.

საილუსტრაციოთ: მსოფლიოში რომ ყოველმა ადამიანმა ისე იცხოვროს, როგორც დღეს ცხოვრობს ყოველი გერმანელი (მთელი მოსახლეობა 81 მილიონი), მაშინ საჭირო იქნებოდა კიდევ ორი დედამიწა.




პდ-6.1.1995 წელი

შ ი მ შ ი ლ ი

თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს,
კიდევაც შესძელ ფანჯრის აფარა,
შესძელ ალაგმო შენში გურმანი,
გაავებული, როგორც საფანა.

შიმშილის განცდა მწვავეა ფრიად,
ვით სიცოცხლეზე აღმართვა ხელის,
გვამში გელვრება, ვით ცხელი ტყვია,
თავს დასტრიალებს სიკვდილის ცელი.

ქარქაშში ხმალს ნუ ჩაგაგებინებს
დრო სიმუხთლისა და უსამსობის,
მხოლოდ შიმშილი შეგაგნებინებს
რა არის პური ჩვენი არსობის.

ამონაწერი მერაბ კოსტავას
ლექსიდან "შიმშილი", რომე-
ლიც დაწერა ირკუტსკის ციხე-
ში 1985 წლის აგვისტოში.

ამოღებულია წიგნიდან "მერაბ კოსტავა: ფიქრები საქართველოს მისიაზე", პარიზი, 1991 წელი. თვით საქართველოს მისიის შესახებ, მერაბ კოსტავა წერს:
"საქართველო უნდა იქცეს დიდ მისაბაძ ერად, მსოფლიო კულტურის შემდგომი განვითარების ერთერთ მოთავედ, მაღალი იდეების, ფორმებისა და სისტემების შემქმნელად და მიმტანად მსოფლიო ხალხების წმინდა საკურთხევლებზე".(გვ.207).

ზვიად გამსახურდია კი ლექსით -"წამებული ძმისადმი" - მიმართავს მერაბ კოსტავას და, სხვათა შორის, წერს:

"ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს ვიწოდებს,
უეჭვად საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში მეხვალ, იცოდე!"

ზვიად გამსახურდია
1986 წელი

## კარიკატურისტის თვალით




მხატვარი ვახტანგ კუციია.

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ. № 27-30, მუხ. 642), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

I. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. ფულის ერთეული.

1. საქართველოს რესპუბლიკის ფულის ერთეულია „ლარი“. ლარი შედგება ასი „თეთრისაგან“.

2. ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

3. ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გაცვლითი კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

4. ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებითა და ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით“.

II. 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ეროვნული ბანკი მთავარი ექსპერტია ეროვნული ვალუტისა და სხვა საბანკო ბილეთების ნამდვილობის დადგენის საქმეში“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის ხაიკრო
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1995 წლის 19 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

## გია ყანჩელი "ტაიმის" ფურცლებზე

"სიმშვიდე, ცბიერება, ემიგრაცია" – "ბრძოლებით განაწამებ საქართველოდანაა გია ყანჩელი, რომელიც შეიძლება არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპოზიტორი შოსტაკოვიჩის შემდეგ" – ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს ცნობას ჩვენი თანამემამულის – გია ყანჩელის – შესახებ მაიკლ უელში ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ჟურნალში –"ტაიმ" –, რომელიც ვრცელდება აგრეთვე მთელს მსოფლიოში. მაიკლ უელში შემდეგ წერს:

"როცა 80-იან წლებში პირველად დაიწყო რკინის ფარდის გაღება, დასავლეთის მუსიკის მოყვარულები გაეცნო რამდენიმე მანამდე უცნობ კომპოზიტორებს, რომელთა არსებობა სიბნელეში იყო მოქცეული მკაცრი საბჭოთა სისტემის გამო: ასეთებია ედისონ დენისოვი, სოფია გუბაიდულინა და ალფრედ შნიტკე. ახლა გამოჩნდა ერთი კაცი, რომელიც შეიძლება იყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომპოზიტორი, რომელიც მოვიდა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, დიმიტრი შოსტაკოვიჩის შემდეგ, რომელიც გარდაიცვალა 1975 წელს: გია ყანჩელი, 59 წლისა, რომლის მგლოვიარე-ბრწყინვალეთ აღფრთოვანებული მუსიკა გამოსახულებაა მის მშობლიურ საქართველოში მიმდინარე ტრაგიკული მდგომარეობისა. "მუსიკა არის, – ამბობს ეროვნულად განწყობილი გია ყანჩელი, – თვით-რეფლექსიის ერთი სახე. მე არ ვცდილობ შევქმნა მუსიკა ტრაგიკულად, მაგრამ ის არის ჩემი გრძნობები."

გია ყანჩელის შემოქმედება შეიცავს შვიდ სიმფონიას, ერთ ოპერას და მრავალ მცირე ფორმატის ნაწარმოებს. მისი 25-წუთიან ნაწარმოებს ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის – abii ne viderem – "მე მოვიშორე, რის შეხედვა მე არ შემეძლო" – პრემიერა ჰქონდა ამერიკაში მევიოლინე კიმ კაშკაშიანის, დირიჟორ რასელ დევისისა და შტუტგარტის (გერმანია) ორკესტრის შესრულებით, რომელიც, როგორც "ლაზერის ფირფიტა" უკვე იყიდება შეერთებულ შტატებში.

"ყანჩელის მუსიკაში სადგომლობს ინტენსიური სულიერი განცდა, რომელიც დაკავშირებულია კომპოზიტორის გამოსახვის ძალასთან, რომელმაც იცის თუ როგორ ჟღერს ინსტრუმენტები", – განაცხადა დირიჟორმა რასელ დევისმა. "მისი მუსიკა არის შეხმატკბილება, რომელსაც ხშირად ვერ პოულობს მსმენელი მუსიკაში".

1991 წლიდან, გია ყანჩელი და მისი მეუღლე ლულა იმყოფება ემიგრაციაში. ისინი ცხოვრობდნენ ბერლინში, და მალე წავიდნენ ბელგიაში, სადაც იგი მუშაობდა როგორც კომპოზიტორი ანტვერპენის სამეფო ორკესტრში. მაგრამ მის შემოქმედებაში შორს არ არის საქართველო: მისი ყველაზე უფრო უახლესი ნაწარმოებია "გლოვის ფერის ქვეყანა", რომლის შესახებ გია ყანჩელი ამბობს: "მე არ მეშინია ჩემი მუსიკის დახასიათება როგორც რელიგიური მუსიკისა, უმცა რელიგიური მუსიკა მეტად ახლო და საყვარელია ჩემთვის!" "როცა ადამიანი შედის ეკლესიაში, სინაგოგაში თუ მეჩეთში, რომელშიც წირვა არ მიმდინარეობს, მათში რაღაცნაირი სახის სიჩუმე. მე მსურს ეს სიჩუმე ვაქციო მუსიკად", – დასძენს მართლმადიდებლური რწმენის გია ყანჩელი. ყანჩელის ხელში სიჩუმე ჟღერს როგორც მთამაგონებელი გამოსახვა, დასძენს თავის მხრივ მაიკლ უელსი, ჟურნალ "ტაიმის" ცნობილი მუსიკის კრიტიკოსი. ("ტაიმ", 1995 წლის 17 ივლისი).

---

## რჩევა

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის;
ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!
ღუპებიან ორივე,
არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

ორივეს მტერი ერთია
შორეულ-გადამთიელი:
ერთ ტაფაშია ორივე,
ერთი ადგიათ უღელი.

ძალლმაც კი იცის პირუტყვმა:
შინ ბრძოლა მაშინ ძნელია,
როცა იმაზე მომხვლელად
გარეშე მტერი, მგელია.

და კაცს კი, მაღალ ქმნილებას,
ძალლისაც არ აქვს შეგნება;
დაბრმავებულა ვნებითა!..
შური ცეცხლივით ეგზნება!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!..
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა.

ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?

შეერთდით, ძმებო! შერიგდით!
ხელი-ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა.

**აკაკი წერეთელი**

ტიციან ტაბიძე

# მაშ, გამარჯვება!..

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო
სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს.
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს.

სხვა რომ მოკვდება, მისთვის
რა არი:
ნავა, გაქრება, როგორც სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად
აგანთებს.

ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც
სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

— სხვა საქართველო მაინც სად
არი?
რომელი კუთხე, რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ლადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის
ელირსა?

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას ულელი;
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო
სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ
განუყრელი!..

## იმედი

შე დავიბადე საქართველოს მცხუნვარ მიწაზე,
მისმა ველებმა ჩამინერგეს ურყევი სული...
ძვლებად ჩაძიდგეს დარიალის სალი კლდეები,
ხორცად კი მიწა მამა-პაპურ სისხლით მორწყული.
ჩემო სამშობლოვ ნუ მოიწყენ, კვლავ ახმაურდი!..
ნეტარი დროის ბრწყინვალე მზე ისევ ამოვა
და დიდი ხნიდან მიჯაჭვული კავკასიონზე,
ბორკილ აყრილი ამირანი ბარად ჩამოვა.

ა. მოხევე

## ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

# ლევილობა

ლევილის ქართული მამული

CHATEAU DE LEUVILLE
91310-Leuville sur Orge
FRANCE

### "ლ ე ვ ი ლ ო ბ ა" - 1995

ლევილის ქართულ მამულში, რომელიც მდებარეობს პარიზიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ამ ქართული კერას ადმინისტრაცია ყოველწლიურად აღნიშნავს ლ ე ვ ი ლ ო ბ ა ს, ე.ი. ლევილის ქართული მამულის დღესასწაულს. ლევილობა 1995 წელს აღნიშნულ იქნა 20 აგვისტოს, თუმცა ლევილის ქართული მამულის 73 წლისთავი შესრულდა 1995 წლის 24 ივნისს."ლევილობა" ლევილის ქართულ მამულში პირველად აღნიშნულ იქნა 1987 წლის 24 ივნისს, როცა საზეიმო ვითარებაში ვიდღესასწაულეთ ქართული მამულის 65 წლისთავი. ამგვარად, უკვე მეათეჯერ ჩატარდა ლევილში ამ ქართული მამულის დღესასწაული. ' დაკავშირებით გვსურს მოვიგონოთ ამ ქართული კერას ან უკვე 73 წლის ისტორია და მისი უდიდებრივი სტატუსი:

---

"ლევილობას", 1995 წლის 20 აგვისტოს, განსაკუთრებულ მნიშვნელობის მისცა იმ ფაქტმა, რომ სტუმართა შორის იყვნენ ან უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორიცაა საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, ბატონი პროფესორი გოჩა ჩოგოვაძე და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ბატონი პროფესორი გურამ მუჩაიძე.

"ლევილობა" გახსნა ლევილის ქართული მამულის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ბ.მამია ბერიშვილმა. ქართული მამულის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, საზეიმო მაგიდის თამადად აირჩია ბატონი ციური ბერიშვილი, რომელმაც, მრავალ საყურადღებო სიტყვაში, განსაკუთრებული მთაგონებით აღნიშნა იმ დიდი თაობის დამსახურება, რომელმაც ქართულ ემიგრაციას შეუქმნა თავშესაფარი, სადაც დღეს ცხოვრობენ მუდმივად ან დროებით ქართველობა, მათი ოჯახებით, რომლებიც არიან პენსიონერები.

მთამაგრობელი სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა პროფესორმა გოჩა ჩოგოვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის საელჩო კარეში, პარიზში, [illegible] საქართველოს ყოველი მოქალაქისათვის მისახვედრი იმისა, რა პარიზის [illegible] და გამოთქვა [illegible], რომ ყოველი ქართველი ამ [illegible], როგორც ეს საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს [illegible] წლებში. საქართველოს პარლამენტის [illegible], [illegible] საქართველოს [illegible] პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური [illegible] და აღნიშნა, რომ [illegible], რომლის ჩატარება [illegible] 1995 წელში, [illegible], საქართველოს სავალუტო

და საბიუჯეტო მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. სიტყვები გამოთქვეს აგრეთვე ბატონი თამარ ლორთქიფანიძე, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე საფრანგეთში, ბატონი ოთარ ჩიტაშვილი, ბატონი აკაკი რამიშვილი, ბატონი კარლო ინასარიძე და სხვები. ყველა ორატორი ერთი აზრის იყვნენ იმ საკითხში, რომ საქართველოს დღეს ყველაზე უფრო ესაჭიროება ერთობა, რომ გარდაიქმნას იქნას პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძნელეები. საქართველოსათვის "გადაჭარბებული ნაციონალიზმი" ისევე დამღუპველია, როგორც "გადაჭარბებული ინტერნაციონალიზმი", რის შედეგად საჭიროა, რომ ჩვენ ისევ დავადგეთ "ოქროს შუალედის" პოლიტიკას, რაც არის იმის გარანტია, რომ საქართველოს რესპუბლიკა ისევე შეძლებს ყველა

არსებული სიძნელეების გარდალახვას, როგორც ქართველმა ხალხმა და მისმა ხელმძღვანელებმა შეძლეს 1918-1921 წლებში როგორც საგარეო, ისევე საშინაო პოლიტიკაში, რასაც მოჰყვა საქართველოს ეკონომიკური აღმავლობაც, რის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფული - მანეთი - უკვე საერთაშორისო ვალიუტა გახდა.

განსაკუთრებული სადღეგრძელო წარმოითქვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ემიგრაციის "ოქროს თაობის" საპატივცემულოდ, ე.ი. იმ პოლიტიკური ემიგრანტების საპატივცემულოდ, რომელთაგან, ღმერთის წყალობით, ზოგიერთები ჩვენს შორისაა, როგორც, მაგალითად, ბატონი შოთა ბერეჟიანი; და ბატონ შოთა ბერეჟიანის სადღეგრძელოსთან ერთად აღინიშნულ იქნა ამ თაობის წარმომადგენლები - ბატონი ნიკო ურუშაძე, ბატონი ბაგრატ წულაძე, ბატონი ლევან ფაღავა, ბატონი მიხეილ ქავთარაძე და სხვები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. მეტად გულთბილი სიტყვებით მიესალმა ამ თაობას საქართველოს რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში, ბატონი პროფესორი გოჩა ჩოგოვაძე, რასაც "მრავალჟამიერით" შეეგება დამსწრე საზოგადოება.

"ლევილობა", 1995 წლისა, მეტად გულთბილად და მეგობრულად ჩატარდა, როგორც გასულ წლებში, და უკვე შეიძლება ითქვას, რომ "ლევილობა" ლევილის ქართული მამულის, ამ ქართველთა კერას, უკვე ტრადიციული დღესასწაულია.

კ.ი., ლევილი, 1995 წლის 20 აგვისტო

## ლევილის ქართული მამული

I.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ, ქართველმა ხალხმა, თითქმის ხუთასი წლის დაქუცმაცებული ცხოვრების შემდეგ, - ისევ აღადგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - თავის, თითქმის, მთელს ისტორიულ ტერიტორიაზე, და საქართველო ისევ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა - ჯერ - 1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი აიღო მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ - შემდეგ - 1921 წლის 11 თებერვალს მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს და იარაღის ძალით დაიპყრო ჩვენი სამშობლო. ამის შედეგად, საქართველოს ეროვნული მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, წამოვიდა უცხოეთში, 1921 წლის 17 მარტს, და შეეხიზნა საფრანგეთს, პარიზს, საიდანაც განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის.

II.

ნოე ჟორდანიას ეროვნულმა მთავრობამ დაუყონებლივ გადადგა ნაბიჯი, რომ შესაფერი ეროვნული კერა შეექმნა უცხო მიწაზე არა მარტო ეროვნულ მთავრობის, არამედ, საერთოდ, ყველა პოლიტიკურ ემიგრანტისათვის, რის შედეგად ეროვნულმა მთავრობამ 1922 წლის ო ც დ ა ო თ ხ ი ვ ნ ი ს ს(24 ივნისს) იყიდა ლევილში, პარიზიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ლევილის შატო, დაახლოებით, ხუთი ჰექტარი მიწით, სადაც თავი მოიყარა არა მარტო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთმა ნაწილმა, არამედ ამ ქართულ მამულში დაარსებულ იქნა ქართული სკოლა, წიგნთსაცავი, და, რაც მთავარია, ლევილის ქართული მამული გახდა უცხოეთში მყოფი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა კერა, რაც თავის ეროვნულ ფუნქციას ასრულებს დღესაც, ქართული მამულის სამოცდა-მეხუთე წლისთავზე.

III.

ლევილის ქართული მამულის უფლებრივი სტატუსის კანსაზღვრა ნათლადაა ჩამოყალიბებული - საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე
ჟორდანიას,
საქართველოს ელჩის საფრანგეთში აკაკი ჩხენკელის,
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის,

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილის, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილის,
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის,
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის სამსონ ფირცხალავასა და
საქართველოს ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის

ე რ თ ო ბ ლ ი ვ ა ნ დ ე რ ძ შ ი, რომელიც დაწერილია პარიზში, 1928 წელს, 30 აპრილს. აი, ამ ანდერძის სრული მინაწერი:

IV.

"ოც და ათი აპრილი ათას ცხრას ოცდა რვა წელი, ქალ. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი - ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1. მამული, მდებარე ს-ლ ლევილში(Leuville s/Orge), საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში, და ცნობილი სახელწოდებით "Chateau de Leuville", რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვალს 1927 წ. საზოგადოების «Foyer Géorgien»-ის მიერ, რომლის წევრნი ვართ ჩვენ ზემოთაღნიშნული პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ, მიწა ზომით დაახლოებით ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგურთა მიერ საკუთარის ხარჯით არის შეძენილი.

2. ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთვნის სავსებით საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ჩვენ ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ, ე.ი. მამულის ან რაიმე იმის ნაწილის ექსპლოატაციის შესახებ, გაქირავების, დაგირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვა, და საზოგადოების "Foyer Géorgien"-ის დადგენილებებში აღნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ;

3. არც ჩვენ პირადათ და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით გარეშე საზოგადოების «Foyer Géorgien» -ის დადგენილებისა.

4. ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნილებისამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებებთან ამ მამულის შესახებ, დაცვით ამასთანავე "Foyer Géorgien" -ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია ზევით მუხლ 2-ში, გარნა ყოველ გვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადათ არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქმნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.

5. უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიძლევით საზოგადოების "Foyer Géorgien" -ის სახელზე ვექსილს თითოეული ჩვენგანი ოცდა ხუთი ათასი ფრ.(Fr25,000); "Foyer Géorgien" -ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს გაანებებს "Foyer Géorgien" -ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა ამის და მიხედვით საზოგადოებიდან გასული პირი ან ყველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და "Foyer Géorgien"-ის წინაშე.

| | |
|---|---|
| 1. ნოე ჟორდანია | 5. ევგენი გეგეჭკორი |
| 2. აკ. ჩხენკელი | 6. ს. ფირცხალავა |
| 3. ნ. რამიშვილი | 7. კ. კანდელაკი." |
| 4. ექვთიმე თაყაიშვილი | |

V.

აი, სრული ტექსტი, აღნიშნული შვიდი პირისაგან ხელმოწერილი ანდერძისა, რომელიც განსაზღვრავს ლევილის ქართული მამულის იურიდიულ სტატუსს, რაც ძალაში რჩება აღნიშნული პირების გარდაცვალების შემდეგაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ლევილის ქართული მამულის, ეროვნული კერის ბატონპატრონია ორი ორგანო, რომელთა წესდება, ე.ი. უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია იურიდიულად და დადასტურებულია სათანადო ფრანგული ორგანოების მიერ. ეს ორი ორგანოა -

1. "მესაკუთრეთა ასოციაცია", რომელშიც შედიან აღნიშნული შვიდი პირის მემკვიდრეები, და
2. "Foyer Géorgien" -ის საზოგადოება, რომლის ადმინისტრაციული, ე.ი. მმართველი ორგანოა ქართული კერის ადმინისტრაცია, რომელშიც არჩეულია სამი კაცი.

ვ.ი., ლევილი, 24.6.1995 წ.

*Ils sont près de 1000 Géorgiens en France et sur 6 millions d'âmes, un million vit à l'étranger. Dimanche, ils s'étaient rassemblés à l'occasion d'une fête (oba) au château...*

"Le Républicain", 31.8.95

# «Oba Leuville» un dimanche d'août



Resserrés autour de leur ambassadeur, Gotcha Tchogovatze, ils sont émouvants; les Georgiens de l'Essonne. Ce dimanche, la fête annuelle du château de Leuville où le Gouvernement géorgien a émigré en 1921, chassé par l'invasion des troupes russes et turques, leur donne l'occasion de se retrouver, même s'ils sont en très petit nombre, une trentaine. Mille noms sont recensés en France, parmi lesquels 200 adhèrent à l'association nationale des Géorgiens, dont le président, Guy-Nadar Odichelidze, est présent ce 20 août. Tout le monde se connaît, dans cette petite communauté qui a supporté directement ou par ancêtres interposés 40 invasions en 40 siècles d'existence, et une capitale 26 fois brûlée. Cela resserre les liens, pousse à maintenir les traditions, les rites, les coutumes. Et il y en a en Géorgie! Le président de l'association française culturelle et d'amitié avec le peuple géorgien, Thierry Berichvili, dont le père est originaire de ce pays, est nommé «Tamada» en début de repas: un honneur lorsqu'on sait que ce titre s'apparente au Dieu de la table et qu'il a les pleins pouvoirs. C'est lui qui est investi de la mission de porter les toasts, entre lesquels on ne doit pas boire, mais écouter les discours de chacun. Des hommes surtout. «*En principe*, explique Thierry, *on porte un toast à chacune des personnes autour de la table. Et les convives doivent renchérir derrière le Tamada, raconter des anecdotes, faire des commentaires*».

Souvent, les histoires dérivent en conversations politiques qui peuvent déclencher des algarades, situation rigoureusement proscrite autour d'une table géorgienne: ce moment de convivialité est sacré et les insultes sont bannies. Le rôle du Tamada est essentiel, et il doit le faire respecter, avec autorité s'il le faut. La politique: un sujet sensible, douloureux, brûlant, pour un peuple persécuté durant des siècles et qui n'a pu exercer son indépendance que de 1918 à 1921, avant d'être de nouveau envahi. «*Bien sûr*, explique l'ambassadeur, qui a été rejoint au château par le président du parti social démocrate, M. Mouchaïdzé, député de la nouvelle République de Géorgie et par Mme Laguidze, représentante culturelle à l'UNESCO, *en 1990, notre pays a retrouvé son indépendance, mais des conflits armés l'ont plongé dans un chaos économique*». En 1992, après avoir renversé le président Gamsakhourdia, l'opposition appelle Edouard Chevarnadze, ex-ministre des Affaires étrangères de Gorbatchev, pour diriger le pays. Elu président de la République en octobre, il est reçu officiellement par le président du Gouvernement français en 1994. Le difficile redressement de la Géorgie peut alors commencer, même si elle est en pleine crise économique et

que les 200 000 réfugiés chassés d'Abkhasie par les Russes ne facilitent pas les choses. C'est de tout cela dont il a éé question, ce 20 août, à Leuville. Mais aussi du passé, de l'accueil sans faille de la France, dont il sera beaucoup question durant ce repas, avec des accents de reconnaissance, officiels ou non, dans les voix. Tout en dégustant les plats à base de noix (aubergines et haricots rouges en salade, poulet et polenta chaude dans laquelle on glisse des tranches de fromage) on lève son verre à la suite du Tamada, qui porte des toasts à l'unité du peuple géorgien, aux personnalités présentes, à l'amour de la vie, à l'art et à la culture, à l'indépendance. il faut toute l'autorité du chef de table pour juguler les emportements de fin de repas, qui ne proviennent pas de la majorité des convives, loin de là. Les autres s'excusent pour les éclats de voix: *«Un tel comportement n'est pas géorgien!»*. Les vrais, ceux qui se reconnaissent, sont discrets mais volontaires, ont le sens profond de la courtoisie et du respect de l'autre! Avant le dernier toast, celui que l'on portera au Tamada pour indiquer que le repas est terminé, un hommage sera rendu à deux familles: Les Ramichvili, premier président du conseil de Géorgie, représenté par ses deux enfants, Nina et Akaki, et les Jordania, dont Noe a été le second président, représenté par sa fille Natella. Comme toute minorité, la communauté géorgienne doit se racccrocher à sa culture, à défaut de pouvoir conserver son patrimoine, pour survivre et perpétuer ses racines. Voilà sans doute pourquoi une année de la culture géorgienne en France a été décidée pour le second trimestre 96. A cette occasion, des animations typiques auront lieu, comme des danses, des chants, du théâtre, du cinéma, des expositions, des rétrospectives. Une manière de découvrir une autre façon de vivre, et de l'aider à ne pas disparaître!

Dominique Jacquemin



**Devant le château, les Géorgiens de l'Essonne posent autour de leur ambassadeur**

ვესალმებით ბერლინის"ცნობის ფურცლის"გამოცემას!..

# Mitteilungsblatt

der Berliner Georgischen Gesellschaft e.V.

ბერლინის ქართული საზოგადოების ცნობის ფურცელი

4. Jahrgang (Nr. 43) Oktober 10/1995

Impressum

Mitteilungsblatt der Berliner Georgischen Gesellschaft e.V. ISSN 0947-143X

Redaktion und Herstellung:

Brigitta Schrade (Postanschrift)
Berliner Str. 25, 15831 Mahlow,
Tel./Fax 03379-39353 p

Dr. Stefan Kurella

Thomas Ahbe

Ketino Zagareišvili-Ahbe

Ingrid Rosenburg

# შესაძლებელია ერთობა მრავალფეროვნებაში?..

ქართული სათვისტომოს კომუნიკე-განცხადებისა და მისი თანამემამულეთა პასუხის გამო 1995 წლის 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით.

(ა ნ ა ლ ი ზ ი)

1.

შესაძლებელია ერთობა მრავალფეროვნებაში? - ასეთი კითხვა დამებადა, როცა წავიკითხე - ერთი მხრივ - ქართული სათვისტომოს გამგეობის განცხადება ჩვენი ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისის შესახებ, რომელიც ჩატარდა პარიზში 1995 წელს, და - მეორე მხრივ - ქართული სათვისტომოს გულშემატკივართა პასუხი აღნიშნულ განცხადება-კომუნიკეში გამოთქმული აზრების შესახებ. უფრო ზ უ ს ტ ა დ: - "კომუნიკეს" ხელს აწერს ქართული სათვისტომოს გამგეობა ნ.ოდიშელიძე, ი.პავარდ-გელევანიშვილი, გ.წულაძე, ე.მენარდ-წერეთელი, ვ.ბუხნიკაშვილი, ე.კარელიძე, რ.ნიკოლაძე, ე.ცარახაშვილი და ნ.ჭავჭავაძე. "პასუხს" კი ხელს აწერენ ო.პაცარიძე, სათვისტომოს ყოფილი თავჯდომარე, ქალბატონი დადიანი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი სათვისტომოსა, გ.სარჯველაძე, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი სათვისტომოსა, მ.ვოლე-გოგიტიძე, ყოფილი პრეზიდენტი ქართული სათვისტომოსა, ნელი ვოლე-მდივანი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი სათვისტომოსა, ო.ზურაბიშვილი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ქართული სათვისტომოსა და ქართული სათვისტომოს ყოფილი მოლარე მ.ვოლე-გოგიტიძე.

2.

ქართული სათვისტომოს გამგეობის კომუნიკე-განცხადებაში, რომელიც დათარიღებულია 1995 წლის 25 მაისით, სხვა მრავალთა შორის, ნათქვამია: "ქართული სათვისტომოს გამგეობა საფრანგეთში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სათვისტომოს მიზანია საქართველოში 1918 წლის 26 მაისის პრინციპების აღდგენა, ესე-იგი: ერის დამოუკიდებლობა; სახელმწიფოს სუვერენობა; დემოკრატიული წესწყობილება; ინდივიდის თავისუფლების გარანტია; კაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა." და თუ ყველა ეს პრინციპი განხორციელებული არ არის დღეს საქართველოში, ქართული სათვისტომოს გამგეობა, ქართული საზოგადოების სახელით საფრანგეთში, იმოქმედებს, რომ ხელი შეუწყოს ამ მიზნების სრულ განხორციელებას. შემდეგ ამ "კომუნიკე-განცხადებაში" ნათქვამია: მიუხედავად საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური სიძნელეებისა და რუსეთის მოქმედებისა საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობის შეზღუდვის მიზნით, არ უნდა დავივიწყოთ მთავარი: საქართველო უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და აღიარებულია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; საქართველო არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი; დამყარებულია დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოსა და მსოფლიოს მთავარ სახელმწიფოებს შორის. ამ მიზნით, ქართული სათვისტომოს გამგეობა თხოვს სათვისტომოს ყველა წევრს გამოთქვას თავისი აზრი ამ მიზნების განხორციელების შესახებ.

3.

და ამგვარი "აზრის გამოთქმად" უნდა ჩაითვალოს სათვისტომოს შვიდი წევრის აღნიშნული "პასუხი" სათვისტომოს გამგეობის კომუნიკე-განცხადებაზე, რომელშიც, სხვა მრავალთა შორის, ნათქვამია:
"ეს ტექსტი ფაქტიურად ჩქმალავს იმდენ 'ავ თემებს', გაურკვეველ და ურთიერთ საწინააღმდეგო მტკიცებებს ასე დაუშვებელ გამოტოვებს, რომ აუცილებლად მიგვაჩნია საქმის ხელახლა დაზუსტება: 1...საქართველო ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არავითარი დამოუკიდებლობით არ სარგებლობს. აგრეთვე ცხადზე ცხადია, რომ თანამედროვე საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ დასარჩენად. რეალურად, საქართველოს საერთაშორისო ცნობა სიცრუე და თვალთმაქცობაა...საერთაშორისო აღიარებას, რომელიც ასე აქებს სათვისტომოს დღევანდელი გამგეობას, არავითარ შემთხვევაში არ დაუცავს ასიათასობით აფხაზეთში მყოფი ქართველობა... 2...არც თანამედროვე ქართული მმართველობის არა მიუკერძოებელი დახასიათება ხსნის კრიზისის მიზეზებს: თანამდებობის პოსტებზე მაფიოზური და შეიარაღებული ჯგუფების ყოფნა და ამ კრიმინალური სტრუქტურების მიერ ეკონომიკისა და ფინანსების კონტროლი. აქ სათვისტომოს გამგეობის ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ უეჭველ ვითარებაზე, რომ ედუარდ შევარდნაძემ აწორე ამ ჯგუფების შემწეობით ჩაიგდო ხელში ხელისუფლება...ადამიანის უფლებების ზღვარგადასული შელახვა...ოპოზიციის რამოდენიმე წევრებს სიკვდილი მიუსაჯეს...როგორ იმოქმედა სათვისტომოს გამგეობამ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ განაცხადა პროცესი დემოკრატიის აშკარა დარღვევების ფაქტების წინააღმდეგ?...3..... ტერიტორიული ხელშეუხებლობის დაკარგვა, თითქმის შიმშილობა, კონსტიტუციონალური შემადგენლობის უქონლობა, მძიმე და მუდმივი დარღვევა ადამიანის უფლებისა, ქვეყანა სხვა და სხვა ძალის კონტროლის ქვეშ, მასობრივი რუსეთის ჯარის დაბანაკება ქართულ მიწაზე...რასაც ემატება ეკონომიკური უმწეობა და აფხაზეთის და შიდაქართლის გასხვისება... 4.... მრავალ სათვისტომოს წევრებმა დიდი შოკი განიცადეს სათვისტომოს გამგეობის მიერ გაგზავნილ დეპეშიუების გამო საქართველოს სახელის მიმართ საფრანგეთში 1918 წლის 26 მაისის აღსანიშნავ დღეზე. ზღვარი კი იყო ის მოვლენა როდესაც ერთი კვირის წინ, 26 მაისის საღამოს, სათვისტომოს გამგეობამ და მისმა თავჯდომარემ ზეიმით აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობა სახელის მიწვევით, მნიშვნელოვანი დელეგაციის მონაწილეობით, რუსეთის ელჩის ხელმძღვანელობით და მაღალ ჩინიან რუს სამხედრო პირთა დასწრებით.

არსებობს თუ არა უფრო ძლიერი მასხრად აგდება სწორედ იმ წინადღე წერილობით მოხსენებულ პრინციპებისა? ნუთუ ოფიციალური ცნობის უნიკალური მიზანია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შერცხვენის შენიღბვა?"

4.

აი, მოკლე შინაარსი სათვისტომოს გამგეობის მონუნიკე-განცხადებისა და მვილ ქართველთა საპასუხო ღია წერილისა, რომელსაც გაეცნო ქართული სათვისტომოს წევრები საფრანგეთში. რა შეიძლება ითქვას ამ "განცხადებისა" და "პასუხის" შესახებ?..

5.

მისასალმებელი, გასახარელია, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არ უკვე პირველი, მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენას კარგად ვერ ფლობენ, ასეთი გულისყურით, კიდევ მეტი: აღტკინებით განიცდიან საქართველოს, ქართველი ერის დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებას და ხშირად მასში მონაწილეობის მიღება. ეს, ვიმეორებ, მისასალმებელი და გასახარელია. მაგრამ ამასთანავე

საჭიროა, აუცილებელია საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის უფრო ღრმა ანალიზი, რომ ჩვენ, ემიგრაციაში მცხოვრებმა ქართველებმაც, გავარკვიოთ ჩვენი მოქმედების გზა, თუ ჩვენ ჩვენი წვლილის შეტანა გვსურს საქართველოს დღევანდელი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. და თუ ჩვენ ასეთი თვალსახედვით განვიხილავთ აღნიშნულ "კომუნიკესა" და "პასუხს", უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენ სოლომონ ბრძენის( თუ ვინმე სხვისის?) განაჩენამდე მივდივართ:"კომუნიკეს" ავტორები მართალი არიან; "პასუხის"ავტორებიც მართალი არიან და თუ ვინმე იტყვის - როგორ შეიძლება ორივე მართალი იყვნენ, მაშინ იმასაც ვეუბნებით, რომ ისიც მართალია.

6.

მაგრამ საარაკო არ  არის და არც შეიძლება იყოს ამ ორ განცხადებაში წამოჭრილი საკითხები, თუმცა ჩვენ უფრო "კომუნიკეს", ვიდრე "პასუხს" ვეთანხმებით, რაც იმას არ ნიშნავს, რომ "პასუხში" გამოთქმული ყველა აზრი "მცდარია", მაგრამ გარკვევას მოითხოვს:

1.პირველად არსებითი განმარტება: არც ერთ სახელმწიფოში, თვით არც ერთ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოშიც არ არსებობს მთავრობა, რომელსაც აღიარებს <u>მთელი ხალხი</u>, რაც იმას ნიშნავს, რომ - დემოკრატიის პირობებში - მთავრობა ახორციელებს <u>უმრავლესობის</u> პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ პოლიტიკას, რომლის დროს, გასაგებია, მხედველობაში ღებულობს <u>უმცირესობის</u> შეხედულებებსაც. ამდენად, არც დღევანდელ და არც გუშინდელ, ე.ი. "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებას, ნორმალურია, მთელი ხალხი, მთელი მოსახლეობა არ უჭერდა მხარს, და ეს არის ნორმალური მოვლენა დემოკრატიული წესწყობილების პირობებში.

2.მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმრავლესობა უმცირესობის კონტროლის ქვეშ არ იმყოფება: უმცირესობა, როგორც ოპოზიცია პარლამენტში და მოსახლეობაში, თავის შეხედულებებს გამოთქვამს და ცდილობს, <u>კონსტრუქციული ოპოზიციის</u> გზით, თავისი შეხედულება ყოველდღიური ცხოვრების, ყოველი საჭირბოროტო საკითხის გადაჭრაში ჩააქსოვოს, რაც პოზიციას ხელს უწყობს მისი ყოველი ღონისძიება ყოველი მხრიდან აწონ-დაწონოს და მერმედ ქვეყნის ცხოვრებაში დანერგოს ან არ დანერგოს, ე.ი. არ განახორციელოს თუ ამას ჩათვლის საჭიროთ. ამით იმის თქმა

გვსურს, რომ დემოკრატია არის უმრავლესობის ბატონობა, რომელიც, მისი შეხე-დულების ფარგლებში, მხედველობაში ღებულობს უმცირესობის შეხედულებებსაც. ამგვარ ანბანურ ჭეშმარიტებას გვერდს ვერ აუვლის ვერც ქართული სათვისტომოს გამგეობა და ვერც მის კრიტიკოსთა ჯგუფი, თუ მათ სურთ დემოკრატიის სფეროში მოქმედება-მოღვაწეობა.

3."კრიტიკოსთა ჯგუფის" წერილში ჩვენს გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ჯგუფი თითქოს განსხვავებას ვერ ხედავს ბოლშევიკურ საქართველოსა და დღევანდელ საქართველოს შორის: - საქართველოა სახელმწიფო დღეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, ე.ი. გაეროს თუ უნესკოს სრულუფლებიანი წევრია, რისთვისაც, თითქმის ორასი წლის განმავლობაში, იბრძოდა ქართველი ერის საუკეთესო შვილებიდა მათგან ათასობითმა სიცოცხლე შესწირეს ამ იდეის გან-ხორციელებას. და ეს ვერ დაინახოს ჩვენი საქართველოს მოქალაქემ - პოზიციაში იქნება თუ ოპოზიციაში -, რბილად რომ ვთქვათ, [illegible]. საქარ-თველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, ეს არის დიდი ისტორიული მოვლენა, რომელიც შესაფერისად უნდა იქნას აღიარებული თვით ემი-გრაციის ყველა დაჯგუფებისაგანაც, თუ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს სა-ერთაშორისო სტატუსის შენარჩუნება-გაფურჩქვნას; და, როგორც ჩანს, აქ არის ის გზაჯვარედინი, სადაც სხვადასხვა მიმართულებით მიემართება პოზიციისა და ოპოზიციის გზა:

4.პოზიცია, ჩვენის აზრით, მიემართება პოლიტიკური შესაძლებლობის გზით, რადგან პოლიტიკა ზუსტი მეცნიერება კი არ არის, რომლის "წმინდა" განხორციე-ლება შესაძლებელია ზუსტი მეცნიერების კანონზომიერებით, არამედ პოლიტიკა არის შესაძლებლობის ხელოვნება; და პოზიციის კონსტრუქციული კრიტიკა სწორედ ამგვარი პოლიტიკური შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იქნას წარმოებული და არა "წმინდა","გაფილტრული" მოქმედებით, თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს პოლიტიკაში. და თუ ამ საკითხს კონკრეტულად განვიხილავთ, მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მთავრობამ არა მარტო ედუარდ შევარდნაძის, არამედ ზვიად გამსახურდიას დროსაც ვერ შეძლო პოლიტიკური შესაძლებლობის ხე-ლოვნება ისე გამოეყენებინა , როგორც ეს სურთ ემიგრაციის აღნიშნული ჯგუფის წევრებს, რაც გამოთქმულია მათ, ასე ვთქვათ, "პასუხში". ეს კი დაზუსტებას მოითხოვს:

5. საქართველოში 70 წლის განმავლობაში მძვინვარებდა ბოლშევიკური( და არა კომუნისტური, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ) რეჟიმი, რომლის დროს ყოვლის შემძლე "ცენტრი" ისე ფარფაშობდა საქართველოში, როგორც ეს სურდა რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემქმნელებს. ამგვარი პოლიტიკური პირობებიდან უცბად "წმინდა" დემოკრატიულ წესყობილებაზე გადასვლა რომ შეუძლებელია, ვფიქრობთ ამას მტკიცება არ ესაჭიროება. და სწორედ ამგვარ გარდამავალ პე-რიოდში იმყოფება დღეს არა მარტო საქართველო, არამედ თვით რუსეთიც, რომელიც, დაჭრილი დათვივით, ხან ერთ მის "ახლო მეზობელს" ებღლვნება იარაღის ძალით და ხან მეორეს, რადგან რუსეთი, როგორც ჩანს, - ერთი მხრივ - ისევ ცდილობს იმპერიული ზრახვების განხორციელებას, ხოლო - მეორე მხრივ - დემოკრატიული წესყობილების დამყარებისაკენაც მიისწრაფვის, თუმცა უმნიშვნელო ტემპებით. და დასავლეთის დიდი დემოკრატიული სახელმწიფოები? - ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია და ამით მსოფლიოს დღევანდელი "წამ-ყვანი სახელმწიფოები" რუსეთს უჭერენ მხარს მაშინაც კი, როცა რუსეთმა - ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით - ქართველობა გამორეკა საქართველოს ძირ-ძველი მიწებიდან და ამით სამასი-ათასზე მეტი ქართველი ლტოლვილად აქცია თვით საქართველოშივე; და ჩეჩნეთი ხომ ნანგრევებად აქცია, რომლის დროს რუ-სეთმა ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნებათა "ბოევიკები" ჯერ საქართველოს წინაა-ღმდეგ აბრძოლა სოხუმსა და მის რეგიონში, რასაც მოყვა სოხუმის დაცემა 1993 წლის 27 სექტემბერს, და შემდეგ თვით რუსეთმა და ჩეჩნეთმა გააჩაღეს ერთმა-ნეთს შორის ომი, რასაც მოყვა ჩეჩნეთის დანგრევა-გაპარტახება. და ამგვარ საერთაშორისო პოლიტიკურ ძალთა განწყობილებაში როგორ უნდა ვიმოქმედეთ ჩვენ, ქართველობამ?.. ჩვენ ანგარიში არ გავუწიეთ, მივივიწყეთ ის, რომ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, რომლის მთავარი ფაქტია საქართველოს [illegible] მიერ, მის შესაძლებლობის პოლიტიკაში, რუსეთის ანგარიშის არ-გაწევა.

რუსეთის ანგარიშის არ-გაწევას ვამბობთ იმიტომ, რომ მსოფლიოს აღნიშნული საერთაშორისო ძალები ყურადღების ცენტრში აყენებდა და დღესაც აყენებს არა იმდენად აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის აწ უკვე დამოუკიდებელ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუვერენულ სახელმწიფოებს, არამედ რუსეთს და ყოველი საშუალებით უჭერს მას მხარს, რომ რუსეთში როგორმე დაამყარონ დემოკრატიული წესწყობილება, რაც, მათი აზრით, ამ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარდამჭერად იქნებოდა, რადგან, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები იმედოვნებენ, დემოკრატიული რუსეთი მე-19 საუკუნის ან უკვე ძომველებურ იმპერიულ პოლიტიკაზე ხელს აიღებდა. სწორია დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ამგვარი პოლიტიკა რუსეთისადმი თუ არა, ამის შესწორების, შეცვლის საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნია; რაც ჩვენ გაგვაჩნია, ესაა დიპლომატიური ხელოვნება, რომლითაც შევძლოთ, უნდა შევძლოთ საქართველოს საერთაშორისო სტატუსის შენარჩუნება. ამისათვის კი, გვსურს ეს ჩვენ თუ არა, - საჭიროა რუსეთის თანხმობაც. და აქ მივედით, ჩვენის აზრით, არსებით პრობლემასთან:

7.

"მრგვალი მაგიდის" მთავრობამ, ჩვენის აზრით, მიივიწყა ის დებულება, რომ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, და რუსეთთან დაპირისპირებით განსაცდელში ჩააგდო საქართველო; და ჩვენი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია - გაიძახოდა, რომ "კრემლში ფეხს არ შევადგამო", თითქოს კრემლის ბედი საქართველოზე იყოს დამოკიდებული!.. და ამგვარმა პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ ჩვენ თითქოს "დავამარცხეთ" რუსეთი, ავყევით გრძნობებს და დავკარგეთ გონი, გონიერება, რაც ოსტატურად გამოიყენა რუსეთმა, როცა ჩვენი ძმების აფხაზების ექსტრემისტული ნაწილი აგვიმხედრა აფხაზეთში და ოსი ექსტრემისტები შიდა ქართლში. როგორ ავყევით ჩვენ იმ აზრს, რომ "დაჭრილ დათვს", რაც, როგორც ამბობენ ხოლმე, უფრო საშიში და დაუნდობელია, -"დავამარცხებდით"ბრძოლის ველზე? ეს არის ყველაზე უფრო დიდი ფაქტის ანგარიშის არ-გაწევა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

8.

ამგვარმა არარეალურმა ურთიერთობამ ისე დაგვიკარგა ჩვენ, ქართველობას აზროვნების უნარიანობა, რომ - ჯერ - 1991 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტად ავირჩიეთ ზვიად გამსახურდია, ხოლო - შემდეგ -, 1992 წლის 6 იანვარს, პუტჩისტებმა, ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი საქართველოდან გავაძევეთ, რითაც კიდევ უფრო გავამწვავეთ ისედაც გამწვავებული მდგომარეობა საქართველოში. აქაც პიროვნულმა"ამბიციებმა" თუ "მაფიოზურმა სტრუქტურებმა", რომლებშიც, ალბათ, ყოველი ჯურის საიდუმლო პოლიცია იყო ჩარეული, - ჩაყლაპა ეროვნული პრობლემა, შედეგად, როცა არც ზვიად გამსახურდია არ გადადგა და არც "პუტჩისტებმა" დაიხიეს უკან, რომელთაც, როგორც ჩანს, "განუსაზღვრელი დახმარება" გააჩნდათ გაუცნობი ძალებიდან. შედეგი?..

9.

შედეგი არის ის, რომ ჩვენ, ქართველობამ ვერ შევძელით პოზიციისა და ოპოზიციის პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება ვერც საქართველოში და ვერც ემიგრაციაში, რის შედეგად "მოსისხლე მტრებად" ვთვლით ყველას, ვინ რომელიმე დაჯგუფების აზრს არ იზიარებს, რაც უკვე ისე შორს წავიდა, რომ უკვე ემიგრაციაშიც ლაპარაკობენ "ზვიადისტებზე" და "ედუარდისტებზე" ისე, თითქოს ეს ორი პიროვნებია მოღვაწეობა "ჭეშმარიტების" გამომხატველი იყოს, თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს პოლიტიკაში.

10.

მაგრამ ამითაც არ მთავრდება ჩვენი, ქართველობის პოლიტიკური მოუმწიფებლობა საქართველოში და ემიგრაციაშიც: 1991 წლის 26 მაისს, როგორც აღვნიშნეთ, ხმების 87 პროცენტით საქართველოს პრეზიდენტად ავირჩიეთ ზვიად გამსახურდია; 1992 წლის 6 იანვარს იგი გააძევა საქართველოდან სამხედრო ხუნტამ, რა თქმა უნდა, კანონის უზენაესობის დარღვევით; სამხედრო ხუნტამ კი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მოიწვია ედუარდ შევარდნაძე; 1992 წლის 11-ც ოქტომბერს, ამომრჩეველთა, ამჯერად, 95 პროცენტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩია ედუარდ შევარდნაძე, რომელიც პარლამენტმა შემდეგ სახელმწიფო მეთაურად აირჩია; ესე-იგი, ჩვენ, ქართველობამ ორ წელიწადში ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე პრეზიდენტი ავირჩიეთ და ორივე ხმების 87 თუ 95 პროცენტის უმრავლესობით!..ვინ არის დამნაშავე? - ჩვენის აზრით, დამნაშავე ვართ ჩვენ ყველა, რადგან ხალხის უმრავლესობა, რომელიც დემოკრატიის საფუძველია, სათამაშო ბურთი ხდება "ბნელი ძალებისა"ფეთვით მაფიოზური სტრუქტურების მეთაურთათვის.

11.

და დღესაც რომ მაფიოზური სტრუქტურები ბატონობენ საქართველოში, რომელთა

"საჩვენებელ პიროვნებად", როგორც ამბობენ, ედუარდ შევარდნაძეა აღიარებული, ვითომ ამაში მხოლოდ ეს მაფიოზური სტრუქტურების ხელისჩამდგმელები და მათ უკან მდგომი "ბნელი ძალებია" დამნაშავე, თუ დამნაშავე ვართ ჩვენ ყველა, რადგან ჩვენ ვერ მოვნახეთ გზა ქვეყანა წარვმართოთ დემოკრატიული გზით?.. კითხვები, კითხვები და კიდევ კითხვები, რომლებზეც არ გაისმის გონიერი პასუხი თვით ემიგრაციაშიც კი.

12.

ვითომ მართალია ის, რომ "საქართველო ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არავითარი დამოუკიდებლობით არ სარგებლობს"?.. ჩვენის აზრით, ეს სიყალბეა. რა თქმა უნდა, იურიდიულ დამოუკიდებლობას უნდა მოყვეს ფაქტიური დამოუკიდებლობაც, მაგრამ ეს დროს მოითხოვს; და ამისათვის საჭიროა მოქმედება და არა "გაქცევა", ე.ი. აქტიური მონაწილეობის მიღება, სახელმწიფოებრივ საქმეში ჩაბმა პოზიციის ანდა ოპოზიციის მხრიდან. მეფისტოფელური "ყველაფრის უარყოფით" ფონს ვერავინ ვერ გავა; საჭიროა კონსტრუქციული, კონკრეტული მოქმედება, და არა "გვერდზე გადგომა". აღნიშნული ჯგუფი რომ 26 მაისის დღესასწაულს საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში და საელჩოს თანამშრომლების მოწვევას ქართული სათვისტომოს 26 მაისის დღესასწაულზე "შეცდომად" თვლის – ეს არის, ჩვენის აზრით, პოლიტიკური და დიპლომატიური შეუწყნარებელია: ასეთად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისიც, რომ ეს ჯგუფი აღელვებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში 26 მაისის დღესასწაულს დაესწრო რუსეთის ფედერაციის ელჩი და მაღალი რიგის სამხედრო პირებიც. როგორ?.. ჩვენ არ უნდა შევეცადოთ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან ისეთ რთულ პირობებშიც კი, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში?.. ვიმეორებთ: რუსეთი, გვსურს ეს ჩვენ თუ არა, ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც სარგებლობს დასავლეთის ასევე ძლიერი სახელმწიფოების მხარდაჭერით, და ჩვენ, ქართველობას, საქართველოს სხვა გზა გაგვაჩნია თუ არა პოლიტიკა ისევ შესაძლებლობის ხელოვნებად ვაქციოთ და, დიპლომატიური გზით, როგორმე საერთო ენა გამოვნახოთ რუსეთთან უპირველეს ყოვლისა, და მსოფლიოს სხვა დიდ სახელმწიფოებთან?.. თუ ეს პოლიტიკა სწორია – და სწორია უთუოდ – მაშინ ჩვენ არ უნდა მივესალმოთ რუსეთის ელჩისა და, საერთოდ, უცხო სახელმწიფოების ელჩების სტუმრობას 26 მაისის ეროვნულ დღესასწაულზე?..

13.

განა ქართული პოლიტიკის ანბანი არ არის, არ უნდა იყოს ის, რომ საქართველომ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში საქართველოს დიდი და პატარა მეზობელი სახელმწიფოების გარდაუვალი ინტერესებიც მიიღოს მხედველობაში, განსაკუთრებით რუსეთისა და თურქეთის ინტერესები, რომლებიც ჩვენი მოსაზღვრე დიდი სახელმწიფოებია?.. განა ეს სადავო საკითხი უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური მოღვაწისათვის, რომელ პარტიას, რომელ დაჯგუფებას არ უნდა ეკუთვნოდეს ის?..

14.

ჩვენ ვფიქრობთ, აღნიშნულ ბაზაზე, შესაძლებელია ჩვენი ეროვნული ერთობის მიღწევა მრავალფეროვნებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, ჩვენი აზრები თავს კი არ უნდა მოვახვიოთ ჩვენი ერის ყველა დაჯგუფებას, არამედ ქართველი ერის, საქართველოს ყველა დაჯგუფებამ უნდა შეიგნოს, რომ ყველა ჩავეტიოთ პოზიცია-ოპოზიციის სფეროში. ჩვენ გვწამს, ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ერი თვითონ მოიშორებს, განიწმინდება მაფიოზური სტრუქტურებისაგან, რომლებიც დღეს დიდ ზიანს აყენებს არა მარტო საქართველოს მოსახლეობას, არამედ საქართველოს, ქართველ ერს სახელს უტეხს საერთაშორისო მასშტაბითაც.

15.

ქართული ემიგრაციის მეორე თუ მესამე თაობამ კი, ჩვენი მცირე რიცხოვნობა იმით ვაქციოთ ძლიერ მაღალ, რომ კონსტრუქციული პოზიციის ან ოპოზიციის როლი გადავიბაროთ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში, რომ ამ გზით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართველი ერის, საქართველოს ერთობის ხორცშესხმაში: ერთობა მრავალფეროვნებაში – ეს უნდა იყოს, უნდა გახდეს ჩვენი ეროვნული კრედო ემიგრაციაშიც.

16.

ამიტომაც, ის იქნება ერთი ნაბიჯი წინ ერთობისაკენ მრავალფეროვნებაში, თუ ქართველობა, საქართველოს ყოველი მოქალაქე, სამშობლოში ცხოვრობს იგი თუ ემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯზაკიაში, – 26 მაისს, ჩვენს ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს, რომლის შედარება შეიძლება აშშ-ს ეროვნულ დღესასწაულთან – 4 ივლისთან(1776 წელი) თუ საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულთან – 14 ივლისთან(1789 წელი) – მომავალ 1996 წლის 26 მაისს ერთად ვიდღესასწაულებთ როგორც საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში, ისე ქართულ სათვისტომოში პარიზში.

17.

ამგვარად, შესაძლებელია ერთობა მრავალფეროვნებაში? – შესაძლებელია. ჩვენ ამას შევძლებთ!.. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1995 წლის 28 აგვისტო

---

შენიშვნა: აქვე ვაქვეყნებთ ქართული სათვისტომოს კომუნიკე-განცხადებას და შვიდ თანამემამულეთა პასუხს ამ კომუნიკეს შესახებ.

---

## კომუნიკე – ცნობა

## ქართული სათვისტომოსა საფრანგეთში

ASSOCIATION GÉORGIENNE
EN FRANCE
(Fondée en 1922)

საფრანგეთში მყოფ ქართველ
ლტოლვილთა სათვისტომო

Siège Social :
6-8, Rue de la Rosière
75015 PARIS

Le 25 mai 1995

A tous les membres de la
Communauté Géorgienne en France

### Communiqué du Comité Directeur

La commémoration du 26 mai 1918, date du rétablissement de l'Indépendance de la Géorgie, s'est tenue dans le cadre de la soirée organisée par l'A.G.F. le 19 mai 1995. Réunissant plus de deux cent cinquante personnes dont un très grand nombre de membres de la communauté géorgienne ainsi que des personnalités françaises et arméniennes, la soirée s'est déroulée avec la participation chaleureuse des Voix de Géorgie et du chœur corse A Filetta.

Cela fut une grande satisfaction pour chacun de se retrouver aussi nombreux à montrer l'attachement de tous à la cause géorgienne.

Cependant, cette joie ne fait pas oublier les inquiétudes de chacun concernant la situation réelle de la Géorgie et les divisions qu'elle engendre au sein de la Communauté Géorgienne en France.

C'est pourquoi, le Comité Directeur fait appel au bon sens et au sang froid de tous, afin que soit préservée une fois encore l'unité de notre Association et vous propose les bases de réflexions qui devraient permettre de construire des références communes.

**But de l'A.G.F.**

Le Comité Directeur réaffirme que le but de l'A.G.F. est la restauration en Géorgie des Principes du 26 mai 1918, c'est-à-dire :

- Indépendance de la Nation.
- Souveraineté de l'Etat.
- Institutions démocratiques.
- Garantie des libertés individuelles.
- Egalité de l'Homme et de la Femme.
- ...

ილიას უნივერსიტეტი

Tant que l'ensemble de ces principes ne sera pas rétabli dans les réalités, le Comité Directeur de l'A.G.F., au nom de la Communauté Géorgienne en France, réaffirme sa volonté de continuer à agir pour contribuer à son complet rétablissement.

Aujourd'hui, quels sont les faits ?

L'Indépendance de la Géorgie ne donne pas ipso facto au pays la puissance nécessaire pour sauvegarder sa liberté. La quasi désintégration de l'appareil économique géorgien sert de cadre aux interventions ouvertes ou dissimulées de la Russie qui réduisent d'autant la souveraineté de l'Etat, et les principes démocratiques.

Pourtant, cette situation dramatique ne peut pas diminuer l'importance d'un fait essentiel, à savoir : la Communauté Internationale reconnaît au peuple géorgien sa légitimité à exister comme une Nation Indépendante au milieu des autres nations.
Aujourd'hui, où l'accès à l'Indépendance Nationale est conditionné par la reconnaissance internationale, la Géorgie est maintenant membre à part entière des principales Organisations Internationales (ONU, UNESCO, etc...) et développe des relations diplomatiques avec les principales nations. Ceci constitue le point de départ indispensable et si longtemps attendu vers le rétablissement des Principes du 26 mai 1918.

Le Comité Directeur souligne :

- La reconnaissance internationale dont bénéficie la Géorgie, est un bien qui appartient au peuple géorgien. Le devoir de chacun de nous est de lui donner force et vigueur.
- La reconnaissance internationale de l'Indépendance de la Géorgie constitue une protection pour le peuple géorgien, certes très fragile, mais que nous devons contribuer à renforcer.
- La reconnaissance internationale à travers le déploiement des relations diplomatiques dont bénéficie la Géorgie, constitue un précédent historique essentiel qui fera partie de l'héritage que nous laisserons à nos enfants. Nous devons, par nos actions, contribuer à consolider la légitimité de notre pays à exister en tant que Nation Indépendante.

Dans cet esprit, le Comité Directeur affirme que l'A.G.F. doit poursuivre sa mission en toute indépendance et l'exercer sur les quatre plans suivants :

- Contribuer à renforcer les liens internationaux qui relient la Géorgie au reste du monde.
- Soutenir en Géorgie les forces démocratiques.
- Condamner les atteintes à la Liberté, à la Démocratie, aux Droits de l'Homme, à la Souveraineté de l'Etat.
- Contribuer à relever et à développer l'appareil économique et social géorgien.

Le Comité Directeur fera appel aux possibilités et aux suggestions de chacun des membres de la Communauté Géorgienne.

N. ODICHÉLIDZÉ — E. BENARD-TSÉRÉTHÉLI — R. NICOLADZÉ
I. HAVARD-GUÉDÉVANICHVILI — T. BOUKHNIKACHVILI — E. TARASSACHVILI
G. TSOULADZÉ — E. KARÉLIDZÉ — N. TCHAVTCHAVADZÉ

Paris, le 30 juin 1995

Chers amis,

C'est avec étonnement que nous avons pris connaissance d'un communiqué du Comité Directeur de l'Association Géorgienne en France daté du 25 mai et envoyé, sous forme de circulaire, aux membres de l'Association.

Ce texte recèle, de fait, tellement de non dits, d'affirmations vagues et contradictoires ou d'omissions graves, qu'il nous a paru indispensable de remettre ici les choses au point.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. L'affirmation de la fidélité aux « valeurs du 26 mai » (Indépendance, Souveraineté, Institutions démocratiques, ...) ne signifie rien en elle-même. Chacun sait que la Géorgie, depuis près de 3 ans, ne bénéficie d'aucune indépendance réelle. Chacun constate également que le gouvernement géorgien actuel se satisfait grandement de demeurer un « protectorat russe ». Dans la réalité, la « reconnaissance internationale de la Géorgie », n'est qu'un leurre qui ne protège personne et surtout pas, malheureusement, le peuple géorgien. Pour être plus précis, on constatera que la « reconnaissance internationale », qui apparemment suffit à satisfaire le Comité Directeur, n'a nullement protégé les centaines de milliers de géorgiens vivant en Abkhazie ....

2. Affirmer que la « quasi désintégration de l'appareil économique géorgien » limite la souveraineté de la Géorgie et nuit au développement de la Démocratie révèle, nous sommes tristes de le constater, un manque inquiétant d'analyse et de réflexion.
Certes, comme la majorité des peuples de l'ex URSS, la Géorgie doit faire face à de graves difficultés économiques. Ceci n'explique ni n'excuse deux caractéristiques du régime géorgien actuel :
- la présence aux postes de commande de groupes mafieux et armés. Nous rappelons au Comité Directeur que c'est en s'appuyant sur ces groupes qu' E. CHEVARDNADZE est arrivé au pouvoir...
- la violation continue des Droits de l'Homme dont témoignent les notes d'information des organisations internationales (Amnesty International, Human Rights Watch, International Helsinki Federation For Human Rights,...). Plusieurs opposants ont été condamnés à mort, d'autres à de lourdes peines de prison, d'autres encore attendent d'être jugés. Qu'a fait le Comité Directeur, pourtant informé, pour protester contre ces atteintes avérées et réitérées à la Démocratie? Affirmer « soutenir en Géorgie les forces démocratiques » (sic) et faire silence, depuis de si longs mois, sur la réalité des faits, amènent à se poser des questions sur la sincérité des grandes proclamations.

3. Dans ce contexte, qui s'apparente de plus en plus - pénurie en plus, Abkhazie et Ossétie en moins - à la période de l'ex URSS, l'attitude digne et ferme consiste à refuser toute complaisance avec les gouvernants géorgiens actuels..Ceux-ci ne sont peut-être pas tous d'ex nomenklaturistes reconvertis, certains défendent sans doute avec sincérité l'idée d'une Géorgie démocratique et indépendante. Il n'empêche que l'ensemble des faits survenus depuis près de 3 ans est accablant : perte de l'intégrité territoriale, quasi famine, absence de cadre constitutionnel, atteintes graves et continues aux Droits de l'Homme, contrôle du pays par les différentes mafias, présence massive de l'armée russe sur le sol géorgien ...

4. Un mot pour finir concernant la complaisance. De nombreux membres de l'Association ont été extrêmement choqués par l'invitation que le Comité Directeur a cru devoir envoyer à l'Ambassade de Géorgie en France à l'occasion de la célébration du 26 mai 1918. Le summum fut atteint une semaine plus tard, lorsque, le soir même du 26 mai, le Président et le Comité Directeur ont célébré l'indépendance de la Géorgie, sur invitation de l'Ambassade et en présence, notamment, d'une imposante délégation russe conduite par l'Ambassadeur de Russie et comportant des militaires hauts gradés russes.

Peut-on bafouer plus gravement les principes que l'on a pourtant pris la peine de rappeler par écrit la veille ? Il semble donc, à l'évidence, que l'unique objectif de ce communiqué soit de camoufler une compromission politique sans précédent dans l'histoire de l'émigration géorgienne.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Othar PATARIDZE
ancien Président de l'AGF

Hélène VODE
ancien Président de l'AGF

Princesse Kéthévane DADIANI
ancien Vice Président de l'AGF

Nelly VODE-MDIVANI
ancien Vice Président de l'AGF

Guia SARDJVELADZE
ancien Vice-Président de l'AGF

Othar ZOURABICHVILI
ancien Vice Président de l'AGF

Michel VODE
ancien Trésorier de l'AGF

გაკვირვებით გავეცანით საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს გამგეობის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ ცნობას სათვისტომოს წევრების მიმართ.

ეს ტექსტი ფაქტიურად ჩქმალავს იმდენ "არა თქმულებს", გაურკვეველ და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებებს ანუ დაუშვეელ გამოტოვებებს, რომ აუცილებლად მიგვაჩნია საქმის ხელახლა დაზუსტება.

1. მტკიცება ერთგულებისა "26 მაისის პრინციპებისადმი" (დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, დემოკრატიული დაწესებულებები...) არაფრის მთქმელია ფაქტიურად. ყველასათვის ცხადია რომ საქართველო ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არავითარი დამოუკიდებლობით არ სარგებლობს. აგრეთვე ცხადზე ცხადია, რომ თანამედროვე საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს რუსეთის " პროტექტორატის ქვეშ დასარჩენად. რეალურად, "საქართველოს საერთაშორისო ცნობა" სიცრუე და თვალთმაქცობაა, რომელიც არცერთ ადამიანს ვერ იცავს და მეტადრე და საუბედუროდ, ქართველ ერს. უფრო გარკვეულად რომ ითქვას, შევნიშნავთ რომ"საერთაშორისო აღიარებას"რომელიც ასე აკმაყოფილებს სათვისტომოს დღევანდელ გამგეობას, არავითარ შემთხვევაში არ დაუცავს ასიათასობით აფხაზეთში მყოფი ქართველობა...

2. მტკიცება იმისა "თითქოს მხოლოდ ქართული ეკონომიკური აპარატის განადგურება" ზღუდავდეს საქართველოში დემოკრატიზმის განვითარებას, მიუთითებს ( და ეს სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ) , სათანადო ანალიზისა და ვითარების ცოდნის დიდ ნაკლზე. ცხადია, რომ ისე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოველი სხვა ხალხებმა, საქართველოც უნდა მოერიოს რთულ ეკონომიურ სიძნელეებს .
არც თანამედროვე ქართული მმართველობის ორი მიუტევებელი დახასიათება ხსის კრიზისის მიზეზს. :

-თანამდებობის პოსტებზე მაფიოზური და შეიარაღებულ ჯგუფების ყოფნა და ამ კრიმინალური სტრუქტურების მიერ ეკონომიკისა და ფინანსების კონტროლი. აქ სათვისტომოს გამგეობის ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ უეჭვო ვითარებაზე, რომ ედუარდ შევარდნაძემ სწორედ ამ ჯგუფების შემწეობით ჩაიგდო ხელში ხელისუფლება.

- ადამიანთა უფლებების ზღვარგადასული შელახვა რასაც მოწმობენ საერთაშორისო ორგანიზაციების საინფორმაციო ბარათები (ამნესტი იტერნაციონალ, ჰუმან რაიტს უაჩ, ჰელსინკის კომიტეტი,...) მიწოდებული სათვისტომოს გამგეობისთვის. ოპოზიციის რამოდენიმე წევრებს სიკვდილი მიუსაჯეს, მრავალი დიდი ვადებით დააპატიმრეს, ზოგიერთნი კი თავიანთ "გასამართლებას" მოელიან. როგორ იმოქმედა სათვისტომოს გამგეობამ? თუ განაცხადა პროტესტი დემოკრატიის აშკარა დარღვევების ფაქტების წინააღმდეგ? მოწოდება

“დემოკრატიული ძალების დახმარებისკენ“ და, იმავე დროს, მრავალი თვის განმავლობაში ალმაშფოთებელი ფაქტების რეალობაზე წაყრუება ეჭვს ქვეშ აყენებს გამგეობის დიდ პროკლამაციის გულწრფელობას.

3. ამ კონტექსტში, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირის იერს უფრო და უფრო უახლოედება ( რასაც ემატება ეკონომიკური უმწეობა და აფხაზეთის და შიდაქართლის გასხვისება), ღირსეული იქნებოდა უდრეკი მოპყრობა, ყოველი თავაზიანობის უარყოფა თანამედროვე ქართული მთავრობის წევრების მიმართ. ისინი მართალია, ყველანი არ არიან ყოფილი აწგარდაქმნილნი ნომენკლატურისტები, და ზოგიერთი მათგანი უეჭველად გულწრფელად იცავს დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს იდეას. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები მაურვებელია : ტერიტორიული ხელუხლებლობის დაკარგვა, თითქმის შიმშილობა, კონსტიტუციონალური შემადგენლობის უქონლობა, მძიმე და მუდმივი დარღვევა ადამიანთა უფლებისა, ქვეყანა სხვა და სხვა მაფიის კონტროლის ქვეშ, მასობრივი რუსეთის ჯარის დაბანაკება ქართულ მიწაზე.

4. საბოლოო სიტყვა შეეხება თავაზიანობას. მრავალ სათვისტომოს წევრებმა დიდი შოკი განიცადეს სათვისტომოს გაგეობის მიერ გაგზავნილ დაპატიჟების გამო საქართველოს საელჩოს მიმართ საფრანგეთში 1918 26 მაისის აღსანიშნავ დღეზე. ზღვარი კი იყო ის მოვლენა როდესაც ერთი კვირის შემდეგ, 26 მაისის საღამოს, სათვისტომოს გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ ზეიმით აღნიშნეს საქართველოს დამოუკიდებლობა საელჩოს მიწვევით, მნიშვნელოვანი დელეგაციის მონაწილეობით, რუსეთის ელჩის ხელმძღვანელობით და მაღალ ჩინიან რუს სამხედრო პირთა დასწრებით.

არსებობს თუ არა უფრო ძლიერი მასხრად აგდება სწორედ იმ წინადღე წერილობით მოხსენებულ პრინციპებისა ? ნუთუ ამ “ოფიციალურ ცნობის“ უნიკალური მიზანია, მნიშნელოვანი პოლიტიკური შერცხვენის შენიღბვა ?

პარიზი 1995 30 ივნისი

ოთარ პატარიძე
გამგეობის
ყოფილი თავმჯდომარე

ლია ვოდე
გამგეობის
ყოფილი თავმჯდომარე

ნელი ვოდე
გამგეობის
ყოფილი წევრი

თავადის ასული
ქეთევან დადიანი
გამგეობის
ყოფილი თავმჯდომარეს
მოადგილე

ოთარ ზურაბიშვილი
გამგეობის
ყოფილი თავმჯდომარეს
მოადგილე

გია სარჯველაძე
გამგეობის
ყოფილი თავმჯდომარეს
მოადგილე

მიხეილ ვოდე
გამგეობის ყოფილიმოლარე

## მე ყველაფერი ქართული მინდა!

მე ზეცითაც მსურს იყოს ქართული
და გულს ესმოდეს მიწის მძლე ხმაცა,
ოღონდ ორივე იყოს ქართული:
ეს დედამიწაც და ლურჯი ცაცა;

მე აქაც ვნახე, ვით ტკბილი დარდი,
სახე ლამაზი, ბროლივით წმინდა,
მაგრამ მე მაინც ჩემი მთის ვარდი
და ჩემი ბარის ქალწული მინდა.

აქაც იციან დათრობა ღვინით,
ძმობას ერთმანეთს არავინ უთმობს,
მაგრამ მძლე არის ქართული ღვინით
ვერცხლ-ჩათლილ ყანწის გამოცლა უფრო!..

მე საქართველოს მთისკენ მივილტვი,
მსურს მისი ნისლი მეხურის ბინდად,
მე მინდა ქარიც იყოს თბილისის,—
მე ყველაფერი ქართული მინდა!..

ვ. ურდოელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკუნო იყოს ხსენება მათი

საუკუნო იყოს ხსენება მათი

## შოთა აბაშიძის გარდაცვალება

პარიზში, 80 წლის ასაკში, გარდაიცვალა ცნობილი ქორეოგრაფი და მოცეკვავე შოთა აბაშიძე, რომელიც დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე. შოთა აბაშიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ემიგრაციის წინაშე. თავი დააღწია რა მეორე მსოფლიო ომის უბედურებას და ომის დამთავრების შემდეგ დარჩა ემიგრაციაში, მან არა მარტო დიდი სახელი მოიხვეჭა ბალეტის სხვადასხვა ანსამბლებში, პარიზში, არამედ ამასთანავე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველსა და მეორე თაობას შეასწავლა ქართული ხალხური ცეკვები, რითაც ხელი შეუწყო ჩვენი ახალგაზრდობის ეროვნულ აღზრდას ემიგრაციაში. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ სამგლოვიარო ცერემონიაზე ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე ბევრმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი და ამით პატივი სცეს შოთა აბაშიძის დამსახურებას ქართული ემიგრაციის წინაშე.

ლევილის სასაფლაოზე სამგლოვიარო წირვა-ლოცვა ჩაატარა პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მოძღვარმა - დეკანოზმა არჩილმა, რის შემდეგ ქალბატონმა ნუცამ და მისმა მეუღლემ ორეხოვმა ქელეხი გამართეს ლევილის ქართულ მამულში, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. მთამაგონებელი სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა თამაზ ნასყიდაშვილმა, რომელმაც აღნიშნა გარდაცვლილის დიდი დამსახურება ქართული ემიგრაციის განსაკუთრებით ახალი თაობის წინაშე.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

- . - . - . - . - . -

## ალექსანდრე(ალიოშა) ბალათურიას გარდაცვალება

1995 წლის 16 სექტემბერს, მიუნხენში(გერმანია) გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე(ალიოშა) ბალათურია, რომელიც დაკრძალულ იქნა მიუნხენიდან 150 კილომეტრით მოშორებულ დაბა - პოლცკირხენში, რომელსაც არა მარტო თითქმის მთელი ამ დაბის ცხოვრებლები დაესწრნენ და ამით პატივი სცეს ჩვენს ალიოშას, რომლის ცერემონიალს აცილებდა სამგლოვიარო მუსიკითა და პოლცკირხენის ტრადიციული ალმები, არამედ მრავალი ქართველობაც.

ალიოშა ბალათურია დაიბადა 1917 წლის 30 სექტემბერს ქალაქ სოხუმში, და გასაგებია, რომ ის განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა ქართველობის უთოწყალო განდევნას ამ ძირძველი ქართული მიწიდან, რომელთა შორის იყვნენ და არიან ალიოშა ბალათურიას ახლო ნათესავები. მისი შვილი და შვილიშვილი კი ცხოვრობენ იტალიაში; ასე რომ, ალიოშა ბალათურიას დიდი ოჯახი უკვე სოხუმში აღარ იმყოფება, რასაც, ვიმეორებთ, ღრმად განიცდიდა იგი. მაგონდება, როცა გამწვავებული ბრძოლები იყო სოხუმში ერთი-ორი აფხაზ ექსტრემისტებსა და მათ მფარველ რუსებსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის, ალიოშამ არაერთხელ ინანა, რომ ის ამ ბრძოლებში მონაწილეობას არ ღებულობდა, რომ დაეცვა ქართული მიწა-წყალი. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ყოველი ემიგრანტი ქართველი ანალოგიურად ფიქრობდა, როცა 1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა ქალაქი სოხუმი და ჩვენ მიწა-წყალს დროებით დაეპატრონა აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, რუსის ჯარი, რასაც მოყვა, როგორც ცნობილია, სამას-ათასამდე ქართველთა ეთნოგრაფიული წმენდა, რადგან ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მათი სახ-კარი, რომელთა შორისაა, როგორც აღვნიშნეთ, ალიოშა ბალათურიას ახლო ნათესავებიც.

ალიოშა ბალათურიას ამგვარი მებრძოლი სული ყოველთვის გააჩნდა, როცა იგი გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში; მოექცა რა გერმანიის ტყვეობაში, მან მოხალისედ წავიდა გერმანულ არმიაში და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ომის დამთავრების შემდეგ კი ჯერ ცხოვრობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუნხენში, და პენსიაზე გასვლის შემდეგ ბავარიის მშვენიერ დაბა პოლეკირხენ-ში, რომელიც მდინარე დუნაის ნაპირზე მდებარეობს ქალაქ პასაუსთან ახლოს. ალიომას ღრმად ჰქონდა გამჯდარი ჩვენი სამშობლოს დიდი სიყვარული, როგორც ყოველ ქართველს და მისი ეს სიყვარული მჟღავნდებოდა მის სტუმართ-მოყვარეობა და ქართული, განსაკუთრებით მეგრული ხალხური სიმღერების შესანიშნავ შესრულებაში. ერთხელ, ასეთი ქართული წვეულების დროს, - ვმღეროდით რა "ჭიდოუდონანას" - დარბაზში ცეცა არ იყო, გარეთ, ბაღში კი წვიმდა, და როცა ამ შესანიშნავი მეგრული სიმღერის ჰანგმა გაიჟღერა, გვანიშნა "გარეთ გავიდეთო"; სიმღერის შეწყვეტის გარეშე გავედით გარეთ და მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკად წვიმდა, სიმღერა მაინც ბოლომდე ვიმღერეთ, თუმცა სასტიკად დავსველდით. აი, ასეთი ძალა აქვს ქართულ სიმღერას არა მარტო ემიგრაციაში მყოფ ქართველთათვის.

ალიომა ბაღათურიას დაკრძალვას დაესწრო მისი შვილი მეუღლით, რომელიც სასწრაფოდ ჩავიდა იალტიდან გერმანიაში, და ამით ანუგეშა, გერმანიაში მცხოვრებ ყველა ქართველთან და მათი ოჯახის წევრებთან ერთად, ალიომა ბაღათურიას მეუღლე - ელისაბეთი, რომელმაც 50 წელიწადი ზიდა ცოლქმრობის უღელი ჩვენს ალიომასთან ერთად.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

- . - . - . - . - . - . -

## "ჩვენი ბიბლიოთეკა" მდიდრდება

ლევილის ქართული მამულის "ჩვენი ბიბლიოთეკა" თანდათანობით მდიდრდება. ბატონმა ოთარ აბაშიძემ, რომელიც მიმდინარე 1995 წელს გარდაიცვალა, მისი ბიბლიოთეკა დაუტოვა ლევილის "ჩვენს ბიბლიოთეკას", რომელსაც ბატონმა აკაკი რამიშვილმა უკვე გადასცა ოთარ აბაშიძის წიგნები. ოთარ აბაშიძის არქივი კი გადაიბარა მისმა მემკვიდრეებმა, რომლებიც საქართველოდან ჩამოვიდნენ განსვენებულის დაკრძალვაზე.

ბატონმა კოკი ჯაყელმა მისი ბიბლიოთეკის "ქართული ნაწილი" თვითონ ჩამოიტანა ლევილის ქართულ მამულში და გადასცა "ჩვენს ბიბლიოთეკას". ამგვარად ქართული მამულის ბიბლიოთეკა თანდათანობით მდიდრდება. ამან მოითხოვა ბიბლიოთეკის გადიდების აუცილებლობა. ლევილის შატოს უკანმდებარე ნაგებობაში უკვე ორი ოთახი გარემონტებულია, რაც იძლევა ბიბლიოთეკის გადიდების საშუალებას; გათვალისწინებულია სულ ექვსი ოთახის გარემონტება და მათი შესაფერისი თაროებით აღჭურვა. ამას გარდა, შატოს "გრენიერში" უკვე დამთავრდა ორი დიდი დარბაზის გაწმენდა-გასუფთავება; წიგნების მტვერისაგან გაწმენდა და დალაგება. ახლა ხდება საჭირო თაროების თანდათანობითი მოძებნა, რომ ყველა წიგნი აქ იქნეს თავმოყრილი, რომლებიც ბიბლიოთეკაში უკვე ვეღარ ეტევა. სხვათა შორის, შატოს ეს ნაწილი ძალზე კარგია წიგნების შესანახავად, რადგან მშრალია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართული მამულის "სოსიეტე" და ადმინისტრაცია ყოველმხრივ ხელს უწყობს "ჩვენი ბიბლიოთეკის" გასრულყოფილებას. კარტოტეკის შედგენა კი მომავლის საქმეა.

კ.ი., ლევილი, 1995 წლის დეკემბერი

## ბ ა ლ ა ნ ს ი

"მებრძოლი საქართველოს" (ნომერი 18-36, 1 იანვარი, 1996 წელი) ხარჯები:

დაბეჭდვა, გამრავლება, ფოსტა..............................3 541 ფრანკი.

შემოსავალი (შემოწირულება კარლო ინასარიძისა)................3 541 ფრანკი.

- . - . - . - . - . - . -


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში
პირობითი აღნიშვნები
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1986 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი, 1995 წელი, 17 აგვისტო):

"მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

"მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

"პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო".

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

1 იანვარი 1996 წელი - Nr.18/36 - JANVIER 1996

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონი მამია ბერიშვილი
CHATEAU DE LEUVILLE
91310 - Leuville suc Orge
FRANCE
Tél: (331)-6084-6151

მ-760